საქართველოს მეცნიერებათა აკადემია
ივანე ჯავახიშვილის სახ. ისტორიისა და
ეთნოგრაფიის ინსტიტუტი

როლანდ თოფჩიშვილი

# როდის წარმოიქმნა ქართული გვარსახელები

თბილისი
1997

ქართულ გვარსახელებს საუკუნეების ისტორია აქვთ თითოეული მათგანი ჩვენი ქვეყნის ისტორიის ერთი პატარა აგურია; ყველა ერთად კი ამ ისტორიის მნიშვნელოვანი ნაწილი. გვარსახელთა ისტორიული, ეთნოგრაფიული და ენათმეცნიერული შესწავლა საშუალებას გვაძლევს გავარკვიოთ საქართველოში ისტორიულად მიმდინარე არაერთი პროცესი. ამავე დროს, ყველას აინტერესებს თავისი გვარის ისტორია. სამწუხაროდ, ქართული გვარების საუკუნეების სიღრმეში წარმოქმნა მავანისა და მავანის მიერ კითხვის ნიშნის ქვეშ იქნა დაყენებული — ეს სოციალური ინსტიტუტი რუსეთიდან შემოტანილად მიიჩნიეს. წინამდებარე ნაშრომი ამ „აღმოჩენის" უარსაყოფად დაიწერა. წიგნში მკითხველი არაერთ ქართული გვარის ისტორიას გაეცნობა, რომელთაც საფუძველი საუკუნეების წინ ჩაყრიათ.


**რედაქტორები:** აკად. მიხეილ ქურდიანი
პროფ. ჯუმბერ ოდიშელი

**რეცენზენტები:** აკად. ზურაბ ჭუმბურიძე
პროფ. ჯულიეტა რუხაძე
პროფ. ანრი ბოგვერაძე

**შეკვეთა № 820, ტირაჟი 100**

**ფასი სახელშეკრულებო**

**აიწყო და დაიბეჭდა ს/ს კეგელში**
**ვაჟა-ფშაველას 29ა**

„ქართული სახელებისა და გვარების შესახებ შეიძლება მთელი ტომები დაიწეროს და მაინც არ იქნეს ამოწურული მთელი სიღრმე-სიგანით ეს მეტად საინტერესო უბანი ქართული ენისა, სადაც ქართველი ერის ისტორიის ესა თუ ის მხარეა ასახული"

**აკაკი შანიძე**

დღემდე ქართველი მეცნიერებისათვის ცხადი იყო, რომ ქართული გვარსახელები დიდი ხნის წარმოქმნილია. ჩვენ ვართ იმ ერებს შორის (ბერძნები, იტალიელები, ფრანგები, ინგლისელები, გერმანელები, ჩინელები...), რომლებშიც საზოგადოების ეს სოციალური ერთეული საუკუნეებს ითვლის. მოულოდნელად ქართველი ავტორი (გ.ხორნაული, ქართული გვარების საკითხი, — „ონომასტიკური კრებული", თბ., 1994, გვ. 82-89) ქართული გვარსახელების შესახებ ახალ დასკვნას გვთავაზობს: **ქართველებს გვარები საერთოდ არ გვქონდა და სულ ახლახანს, XIX ს-ის მეორე ნახევრიდან ის რუსებმა დაგვიწესეს და მისი ფორმირება საბოლოოდ XX ს-ის 30-იან წლებში მოხდაო.** ეს დასახელებული ავტორის წერილის დედააზრია. უმჯობესია მის ნაწერს თავიდან ბოლომდე გავყვეთ და დავრწმუნდებით, რომ ეს „აღმოჩენა" მხოლოდ აკვიატებულ აზრებს ეყრდნობა და არაფერი აქვს საერთო მეცნიერებასთან.

საქმეში ჩახედულთათვის ცნობილია: მეცნიერება ანთროპონიმების შესახებ შედარებით ახალგაზრდა მეცნიერებაა, ერთი უბრალო მიზეზის გამო — ანთროპონიმების სრულყოფილ კვლევას კომპლექსური ცოდნა სჭირდება. მკვლევარი უნდა ფლობდეს მეცნიერების რამდენიმე დარგის, მათ შორის, პირველ რიგში, ენათმეცნიერების, ისტორიისა და ეთნოგრაფიის საფუძვლებს. სამწუხაროდ, ამ სფეროში, სწორედ ამ მიზეზით, ასეთი კვლევა-ძიების დეფიციტს განვიცდით. არადა, ანთროპონიმების ცალკე ენათმეცნიერული, ცალკე ისტორიული და ცალკე ეთნოგრაფიული შესწავლა ერთგვარი დაუკმაყოფილებლობის გრძნობას იწვევს და დიდია ცდუნება „დაუკრეფავში გადასვლისა". ალბათ მიმიხვდით, ზემოთ დასახელებული ენათმეცნიერი ვალდებული იყო მხოლოდ ლინგვისტურად შეესწავლა ქართული გვარსახელები. მან ეს საქმე გააკეთა თუ არა, ანდა როგორ გააკეთა, ვერაფერს გეტყვით (თუმცა, ჩემი რწმენით, განსახილველ წერილში ის საერთოდ არ შეეხო ქართულ გვართა ენათმეცნიერული კვლევის ასპექტებს). მხოლოდ იმას აღვნიშნავ, რომ გ.ხორნაული დიდი რიხით შეიჭრა სხვა მეცნიერებათა კვლევის

სფეროში (ისტორია, ეთნოლოგია) და იმდენი გაუგებრობა შემოგვთავაზა, რომ მისი დასკვნები ისტორიული და ეთნოლოგიური მეცნიერების თვალსაზრისით ანტიმეცნიერულია და ანტიეროვნულიც.

მანამ ძირითად სათქმელს ვიტყვით, კიდევ ერთი პატარა ექსკურსის გაკეთება დაგვჭირდება. მეცნიერი, რომელიც გვარსახელის კვლევა-ძიებას იწყებს, რა თქმა უნდა, პირველ რიგში უნდა ერკვეოდეს რა არის გვარსახელი. გ.ხორნაულის სტატიის გაცნობამ დაგვარწმუნა, რომ მას გვარსახელის შესახებ საერთოდ წარმოდგენა არა აქვს. მეცნიერებაში არსებობს ამ სოციალური ტერმინის ზოგადი განსაზღვრება. მოკლედ, გვარსახელს უწოდებენ საზოგადოების პირველადი უჯრედის — ოჯახის მემკვიდრეობით სახელს, რომელიც თაობიდან თაობაზე გადადის. ჩვენ გვგონია, ეს განმარტება მაინცდამაინც მთლად ზუსტი და სრულყოფილი არაა. იგი შეიძლება მიესადაგებოდეს იმ ქვეყნების გვარსახელებს, სადაც ის შედარებით ახალი, XVIII-XIX სს-ის წარმონაქმნი მოვლენაა, მაგრამ არავითარ შემთხვევაში იმ ქვეყნებს, რომლებშიც საუკუნეების განმავლობაში ტრადიციულად გადაეცემა თაობიდან თაობას. მოკლედ, აქ იმას აღვნიშნავ, რომ გვარსახელი ქართული სინამდვილისათვის მხოლოდ ოჯახის — ამ პირველადი სოციალური უჯრედის დამახასიათებელი მოვლენა არ არის. ის უფრო დიდი სოციალური ერთეულის რამდენიმე ათეული და ხშირად ასეული ოჯახის სახელწოდებაა; სახელწოდება იმ სოციალური ორგანიზმისა (ერთეულისა), რომლებიც თავიანთი გვარის წარმომავლობას ერთი პიროვნებიდან ანგარიშობენ და აქვთ საერთო თვითშეგნება ნათესაობის შესახებ. საქართველოში გვარსახელს ერთგვარი ფსიქოლოგიური დატვირთვაც აქვს. ასე რომ, გვარსახელი ჩვენში მხოლოდ ერთი ან რამდენიმე ოჯახის სახელწოდება როდია. ის ოჯახზე უფრო მსხვილი ნათესაური გაერთიანების მემკვიდრეობითი სახელწოდებაა. ამ გაგებით გვარსახელის განმარტება თითქოს უახლოვდება პირველყოფილი გვარის (род) განმარტებას. მაგრამ, თუ ღრმად ჩავუკვირდებით, გვარსახელი პირველყოფილი გვარისაგან ბევრი სხვა ნიშნითაც განსხვავდება, რომლის შესახებ აქ მსჯელობის ადგილი არაა. აღვნიშნავთ ჩვენში გვაროვნული გვარისა და გვარსახელის მხოლოდ ერთ საერთო ნიშანს. როგორც ერთი, ისე მეორე სოციალური უჯრედისათვის დამახასიათებელი იყო ეგზოგამია — გვარის შიგნით ქორწინების აკრძალვა. აქვე, ბარემ იმასაც ვიტყვით, რომ ამ ნიშანს უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს ქართული გვარსახელების წარმოშობის კვლევის თვალსაზრისით. მოკლედ, ეგზოგამიურობის შენარჩუნება იმის დამადასტურებელია, **რომ ჩვენში მოხდა ტრადიციული გადასვლა გვაროვნული გვარისა (род) გვიანდელ გვარში (поздный род)**

და გვიანდელი გვარისა — გვარსახელში (фамилия). ქართული ეთნოგრაფიული მასალების გააზრებას ამ დასკვნისაკენ მივყავართ. ტრადიცია ეგზოგამიისა საკმაოდ მყარი იყო. მიუხედავად იმისა, რომ მართლმადიდებელი ეკლესია შვიდი თაობის შემდეგ დაქორწინების ნებას რთავდა, ქართველისათვის წარმოუდგენელი იყო თავის მოგვარეზე დაქორწინება. გვარსახელი იმითაც განსხვავდება პირველყოფილი გვარისაგან, რომ ეს უკანასკნელი კლასობრიობამდელი (და ადრეკლასობრივი) საზოგადოების მდგრადი სოციალური ერთეული იყო, საერთო წარმომავლობისა და ნათესაობის თვალსაზრისით; პირველს ეს ნიშანთვისება აღარ ახასიათებს. კლასობრივი საზოგადოების გვარსახელი შეიძლება წარმოიშვას და გარკვეული ხნის, თუგინდ საუკუნეების შემდეგ, სხვადასხვა სოციალური, პოლიტიკური მოვლენების შედეგად, გაქრეს, ახალი გვარსახელები წარმოიქმნას, ერთი გვარსახელი რამდენიმე ახალ გვარსახელად დაიშალოს, დედა-გვარს შტო-გვარები გამოეყოს და ისინი იურიდიულად ახალ გვარსახელებად გაფორმდნენ. დავასკვნით, რომ გვარსახელი არის ის მემკვიდრეობითი სახელი, რომელიც სულ ცოტა სამი თაობის განმავლობაში მაინც გადაეცემა თაობიდან თაობას.

თავიდანვე უნდა აღვნიშნო, რომ იძულებული ვარ დასახელებული ავტორის „ნალვანიდან" ვრცელი ამონაწერები მოვიყვანო. ფაქტიურად მოგვიხდება მთელი სტატიის ციტირება. ავტორი ასე იწყებს: „დამკვიდრებულია აზრი, თითქოს გვარები უხსოვარი დროიდან მომდინარეობენ. სინამდვილეში კი ქართული გვარებიც ისევე, როგორც ბევრი სხვა ხალხებისა, გვიან ჩამოყალიბდა". მეცნიერი ასეთი სტილით და ასე არ უნდა წერდეს. სად, ან ვის მიერ არის დამკვიდრებული ასეთი აზრი, ის წყაროს, ლიტერატურას უნდა უთითებდეს. ისტორიზმის შემგრძნები მეცნიერი არასოდეს დაწერს: „უხსოვარი დროიდან". ისტორიამ არ იცის, რა იყო ე.წ. „უხსოვარ დროს". ასეთი ტერმინები, თუ არ ვცდები, მხოლოდ ზღაპრებში და სხვა ლიტერატურულ ნაწარმოებებში იხმარება. დავანებოთ ამას თავი. ყველაზე მთავარი ისაა, დასაწყისიდანვე ავტორი გვმოძღვრავს და გვეუბნება, რომ ახალ სიტყვას ამბობს ქართული ანთროპონიმების კვლევის საქმეში — ქართველებს გვარები არა გვქონდა და ის ჩვენში გვიან ჩამოყალიბდაო. შემდეგ მოდის ერთგვარი ექსკურსი, თუ როდის გაჩნდა ევროპის ქვეყნებში გვარსახელები და წერს: „საქართველოში ამ ტალღამ (გვარების გავრცელების ტალღამ! — რ.თ.) აღორძინების დასაწყისში, XVI საუკუნისათვის მიაღწია, როგორც ამას ისტორიული დოკუმენტები მოწმობენ (რომელი საისტორიო საბუთები მოწმობენ XVI საუკუნისათვის საქართველოში გვარების გავრცელების ტალღის მოღწევას, ეს ავტორის საიდუმლოე-

ბად რჩება — რ.თ.). მონღოლთა ბატონობით დაკნინებული და მიწასთან გასწორებული საქართველო ამ დროიდან იწყებს ეკონომიურ და კულტურულ აღმასვლას, მიუხედავად სპარს-ოსმალთა მოძალებისა. თურქთაგან ბიზანტიის იმპერიის დამხობისა და ამით გაწყვეტილი კავშირის შემდეგ დაიწყო ახლებური კონტაქტები ევროპასთან. ამას განაპირობებდა თვით ევროპაში დაწყებული მძლავრი სოციალური გარდაქმნები, კაპიტალისტური წარმოების ჩასახვა-განვითარება. მსოფლიო სავაჭრო-საქარავნო გზაჯვარედინებზე მყოფი საქართველო ძალაუნებურად ჩართული იყო ამ პროგრესულ პროცესებში და თითქმის ყველაფერზე ახდენდა რეაგირებას. დიდაქტიკური იდეების აღზევება იყო და გამოძახილი პოვა, გვარის სიახლე იყო და ისიც უყურადღებოდ არ დარჩენიათ. ამ დროისათვის რუსეთთან მყარდება კონტაქტები, სადაც ასევე ჩასახვას იწყებს გვარი. ევროპასთან, რუსეთთან კავშირები უწყობდა ხელს სამკომპონენტიანი წოდების (სახელი, მამის სახელი, გვარი) ჩამოყალიბებას. მანამდე (ქრისტემდე) საქართველოში ერთშემადგენლობიანი წოდება უნდა ყოფილიყო ძირითადად, შემდეგ — ორშემადგენლობიანი: სახელი, წოდება ან მამის სახელი, ან მეტსახელი" (გვ. 82).

საიდან დავიწყო არ ვიცი. არც ის ვიცი, რომელი გამოვარჩიო და გავხადო მკითხველის ყურადღების ღირსად. გ.ხორნაულის გაგებით, გვარის (გვარსახელის) წარმოქმნა-გავრცელება ამა თუ იმ ქვეყანაში ტალღისებურად ხდებოდა. ის XI ს-ში წარმოიქმნა ჩრდილოეთ იტალიაშიო. ამ ტალღებმა XVI ს-მდე ევროპა დაფარა და როგორც იქნა XVI ს-თვის საქართველოსაც მოაღწიაო. გ.ხორნაულის ამ ფრაზებიდან ისე გამოდის, რომ გვარსახელის გავრცელება უბრალო მოდასთან, მოდის აყოლასთან იყო დაკავშირებული და მის წარმოქმნას საზოგადოების სოციალურ განვითარებასთან არავითარი კავშირი არ ჰქონია. თურმე საქართველო XVI ს-დან იწყებს ეკონომიკურ და კულტურულ აღმავლობას. ნამდვილად ეს ქართულ ისტორიოგრაფიაში „აღმოჩენად" უნდა მივიჩნიოთ. აქამდე კი სულ სხვა რამ იყო ცნობილი. გ.ხორნაულით ევროპულ აღორძინებას ქართული აღორძინება არ ჩამორჩა და ჩვენშიც ეს აღორძინება XVI ს-ში დაიწყო. მკითხველს შევახსენებ, რომ XVI ს. იყო საქართველოს ისტორიის ერთ-ერთი შავბნელი პერიოდი, არამარტო პოლიტიკური, არამედ ეკონომიკური და კულტურული თვალსაზრისით. XVI ს-ში საბოლოოდ გაფორმდა საქართველოს დაშლა სხვადასხვა სამეფო-სამთავროებად (წვრილ პოლიტიკურ ერთეულებად). ამ დროს დასამარდა ერთ-ერთი მსხვილი და ძლიერი პოლიტიკური ერთეული — სამცხესაათაბაგო და დაიწყო ნგრევა, საქართველოს ამ პროვინციაში, ქართული სოციალური სისტემისა, და შესაბამისად, ქართული კულტუ-

რისა და შეგნების დალმასვლა. ამ დროიდან იწყება გაპარტახებულ, პოლიტიკურად, ეკონომიკურად და კულტურულად დაცემულ საქართველოში დემოგრაფიული კატასტროფა, თითქმის ერთგვაროვანი მოსახლეობის შეცვლა და სხვადასხვა ეთნოსების შემოსახლება. გ.ხორნაულის თქმით, თურმე ბიზანტიის იმპერიის დამხობას არავითარი როლი არ უთამაშია საქართველოს ისტორიაში, პირიქით, ამ დროიდან ევროპასთან ახლებული კონტაქტები დაწყებულა. არ ვიცი, ავტორს რა საისტორიო წყაროები და საბუთები გააჩნია ამ „დებულების" დასასაბუთებლად, იქნებ ის ისტორიკოსებს მიაწოდოს. პირიქით კი იყო. ჩვენი ყველა უბედურების ერთ-ერთი მიზეზი ბიზანტიის იმპერიის დაცემა და მის ტერიტორიაზე მძლავრი მაჰმადიანური იმპერიის შექმნა იყო. ამ დროიდან ფაქტიურად ჩვენ კონტაქტს ველარ ვამყარებდით ევროპასთან და ჩაკეტილ, დაჩეხილ, ცივილიზებული სამყაროსაგან მოწყვეტილ ქვეყანას არაფრის მიღება აღარ შეეძლო და, მათ შორის, ევროპიდან გვარის გავრცელების მოდაც გამორიცხულია. ჩანს, გ.ხორნაული ზოგიერთი ქართული სახელმწიფოებრივი ერთეულის რუსეთთან სპორადულ კავშირს გულისხმობს. რუსეთი ნამდვილად იყო ევროპისაკენ საქართველოს გასვლის ერთ-ერთი საშუალება, მაგრამ თავად აზიური ქვეყანა — რუსეთი ჩვენ ამის საშუალებას ნაკლებად გვაძლევდა. თურმე მსოფლიო სავაჭრო-საქარავნო გზაჯვარედინზე მყოფი საქართველო ძალაუნებურად ჩართული იყო ევროპაში მიმდინარე პროგრესულ პროცესებში და თითქოს ყველაფერზე ახდენდა რეაგირებას და არც გვარსახელი — ევროპაში დაბადებული ახალი ფენომენი, დარჩენიათ ქართველებს უყურადღებოდ. თურმე ამ პერიოდში რუსეთთან დამყარებულ კონტაქტებს, სადაც ასევე წარმოქმნას იწყებდა გვარი, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოსათვის. აქ მხოლოდ იმას აღვნიშნავთ, რომ XVI საუკუნისათვის რუსეთში გვარსახელი კვლავ უცნობი იყო. ეს სოციალური კატეგორია პრივილეგირებულ ფენას პეტრე I-მა დაუმკვიდრა. იმდროინდელ და არა მხოლოდ იმდროინდელ დოკუმენტებში რუსები მხოლოდ სახელითა და მამის სახელით, ან მეტსახელით („პროზვიშჩეთი") არიან ჩაწერილი. მემკვიდრეობითი სახელის (გვარსახელის) წარმოქმნა რუსეთში მხოლოდ XIX ს-ის მეორე ნახევართანაა დაკავშირებული და ოქტომბრის გადატრიალების შემდეგაც კი მთელ მასებს გვარები არ ჰქონდათ.

ევროპას რაც შეეხება, არ შეგვიძლია მოკლედ არ აღვნიშნოთ, რომ მემკვიდრეობითი სახელი აქ წარმოიქმნა არა XI საუკუნეში, არამედ საკმაოდ ადრე. ძველ რომში ძველი წელთაღრიცხვის 600 წლის შემდეგ ერთწევრიანი ანთროპონიმული სისტემა შეიცვალა ორწევრიანით, რომელიც შედგებოდა ინდივიდუალური სახელისა

(„პრენომენ") და მემკვიდრეობითი სახელისაგან (საგვარო სახელისაგან — „ნომენ გენტილე"). ძვ.წ. 300 წლის შემდეგ ძველ რომში ანთროპონიმული სისტემა სამწევრიანი ხდება: სახელსა და მემკვიდრეობით სახელს მეტსახელი (თიკუნი) ემატება, ე.წ. „კოგნომენ" ეს უკანასკნელი შემდეგ გვარის დანაყოფის სახელწოდებად იქცა, რომელიც ასევე მემკვიდრეობით გადაეცემოდა და რომელიც ფაქტიურად მეორე მემკვიდრეობით სახელწოდებად გარდაიქმნა. ამ ე.წ. კოგნომებმა (გვარის დანაყოფის სახელებმა) შემდეგ უმეტესად ახალ გვარებს ჩაუყარეს საფუძველი (იხ. Системы личных имен у народов мира, М., 1986, с. 370-373; Лидия Винничук, Люди, нравы и обычай древней Греции и Рима, перевод с польского В.К. Ронина, М., 1988, с. 187-190). თუ დავაკვირდებით, ქართული ანთროპონიმული სისტემა ბევრ რამეში წააგავს ძველი რომის ანთროპონიმულ მოდელს. ამ შემთხვევაში განსაკუთრებით ვგულისხმობთ ქართულ გვარში მეორე მემკვიდრეობითი სახელის — გვარის დანაყოფის სახელის გაჩენას, რომელიც ჩვენში საკმაოდ ტრადიციულია და რომელიც ზოგჯერ ახალ გვარსახელად გარდაიქმნებოდა. დავსძენთ: მეცნიერთა მიერ შენიშნულია, რომ აღნიშნული ანთროპონიმული სისტემა ძველ რომაელებს ეტრუსკებისაგან ჰქონდათ შეთვისებული და რომაული საგვარსახელო ფორმულა თავისი ორწევრიანი სახით (სახელი+გვარსახელი) საფუძვლად დაედო ბევრ თანამედროვე ანთროპონიმულ მოდელს.

დასახელებული ავტორის მტკიცებით, ევროპასთან და რუსეთთან კავშირები თურმე ხელს უწყობდა სამკომპონენტიანი წოდების (სახელი, მამის სახელი, გვარსახელი) ჩამოყალიბებას. მანამდე კი (ქრისტემდე) საქართველოში ძირითადად ერთშემადგენლობიანი წოდება უნდა ყოფილიყო, შემდეგ კი ორშემადგენლობიანი (სახელითა და წოდებით ან მამის სახელით, ან მეტსახელით). არავითარი მეცნიერული არგუმენტაცია მის ამ „დებულებას" არ ახლავს. უფრო დავაზუსტოთ გ.ხორნაულისეური ქართული ანთროპონიმული მოდელი. „ქრისტემდე" (ქრისტეს დაბადებამდე თუ საქართველოში ქრისტიანობის გავრცელებამდე? — რ.თ.) ქართველებს, მისი სიტყვებით რომ ვთქვათ, მხოლოდ „ერთშემადგენლობიანი წოდება" ჰქონდათ. აქ რას ნიშნავს „წოდება", ვერ გეტყვით. დღესაც ქართველი ქართველს სახელით მიმართავს. ასე იყო ყოველთვის. ჩვენი წინაპრები ერთმანეთს სახელითა და მამის სახელით არ მიმართავდნენ, ანდა სახელითა და მეტსახელით, ან სახელითა და წოდებით. ანდა, საერთოდ, რა კავშირი აქვს მიმართვის ფორმულას ანთროპონიმულ მოდელთან, ვერაფერს ვიტყვით. ქართული გვარების უარმყოფელს რომ გაეთვალისწინებინა შესაბამისი ეთნოგრაფიული ლიტე-

რატურა, ალბათ არ დაწერდა იმას, რაც დაწერა. მეცნიერულად არგუმენტირებული არ არის და არავითარ წყაროსა და საბუთს არ ეყრდნობა ქართული ანთროპონიმული მოდელის გ.ხორნაულისეული კლასიფიკაცია და მის მიერ გამოყოფილი პერიოდები (1. ქრისტემდე; 2. ქრისტიანული პერიოდი; 3. XVI (XVII) ს-დან 1921 წლამდე — ისე, საინტერესოა, XVI-XVII სს-დან 1921 წლამდე ქრისტიანები არ ვიყავით? — რ.თ. 4. საბჭოთა პერიოდი). ავტორის მიერ გამოყოფილი სამი (თუ ოთხი?) პერიოდი უაღრესად ხელოვნურია და მხოლოდ ახირებულ ვარაუდს ემყარება (აბა, სხვა რა არის მისი წინადადება: „მანამდე (ქრისტემდე) საქართველოში ერთშემადგენლობიანი წოდება უნდა ყოფილიყო ძირითადად"). გ.ხორნაული ვერ განასხვავებს ერთმანეთისაგან მიმართვის ფორმას და პიროვნების მოხსენიებას. ქვემოთ ჩვენ ვნახავთ, რომ ქართველთა მიერ ქრისტიანობის მიღებამდე და მიღების შემდეგაც, პიროვნებას ახსენებდნენ სახელითა და მამის სახელით, ანდა სახელითა და მამიშვილობით (გვარის დანაყოფის სახელით). გვარით პიროვნების მოხსენიების (და მიმართვის) პრაქტიკული საჭიროება არ იყო. რაც შეეხება მიმართვას, არავინ არასდროს სახელითა და მამის სახელით და მამიშვილობით არ მიმართავდა, არც გვარით. ზემოთაც აღვნიშნეთ, რომ, როდესაც ერთი ადამიანი მეორეს მიმართავდა, მიმართავდა მხოლოდ სახელით. მაგრამ, როდესაც ქართული ონომასტიკის შესახებ განმაზოგადებელი ნაშრომი იწერება (მითუმეტეს, როდესაც ავტორს აქვს პრეტენზია ეთნოისტორიული თვალსაზრისითაც შესწავლისა), აუცილებლად უნდა გათვალისწინებული იყოს ჩვენი მთიანეთის ეთნოგრაფიული მონაცემები, რომ ძველად საქართველოში პიროვნებებს მხოლოდ ერთი სახელი როდი ერქვათ. ფშავის, ხევსურეთის, მთიულეთის, გუდამაყრის, ხევის ეთნოგრაფიულ მასალებზე დაყრდნობით ვ.ბარდაველიძეს ნაჩვენები აქვს, რომ ჩვენში პიროვნებას რამდენიმე სახელი ერქვა. ერთი სახელი იყო ჯვარისა (სალოცავის), რომელსაც დაბადებისთანავე დედა არქმევდა შვილს (ვაჟსაც და ქალსაც). მეორე სახელი იყო სულისა, რომელსაც დაბადებიდან რამდენიმე თვის შემდეგ არქმევდნენ. ეს იყო წინაპრისა ან გარდაცვლილი ნათესავის სახელი. მესამე სახელი იყო თიკუნი ანუ ზედმეტი სახელი და მონათვლის შემთხვევაში ერქმეოდა მეოთხე, ნათლობის სახელიც (იხ. ვ.ბარდაველიძე, ქართველი ხალხის რელიგიური აზროვნების ისტორიიდან (მრავალსულიანობის კონცეფცია) — „მიმომხილველი", I, 1949). დ.ბაქრაძე წერდა: „გურიაში იშვიათი არ არის, როცა ერთსა და იმავე ადამიანს ორი სახელი ჰქვია, ერთი ნათლობისა, და ერთიც შერქმეული" (დ.ბაქრაძე, არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში, ბათუმი, 1987, გვ. 128). სხვათა შო-

რის, ერთზე მეტი სახელის რქმევის ტრადიცია ფეოდალური პერიოდის ქართულმა წყაროებმაც შემოგვინახა. აქ შეიძლება გავიხსენოთ „ლაშა-გიორგი", „დავით-სოსლანი" და სხვ. სოსლანი და ლაშა, რა თქმა უნდა, ნათლობამდელი სახელები იყო ამ პიროვნებებისა, გიორგი და დავით კი ნათლობის სახელები. ბოლო დრომდე ყველა ქართველს ხომ ორი სახელი მაინც ერქვა: ერთი — ოფიციალური, ქრისტიანული (ნათლობისა) და მეორე — ზედმეტი სახელი.

ახლა გ.ხორნაულის „სადისერტაციო მაცნეში" ჩავიხედოთ. „ქართული ანთროპონიმიის" მეორე ანუ ქრისტიანულ პერიოდში სახელს ერთვოდა ზედწოდება ან მეტსახელი. გასაოცარი ისაა, რომ ჩამოთვლილ მაგალითებს შორის ასახელებს „დავით აღმაშენებელს", „გიორგი ბრწყინვალეს". კი, ბატონო, „აღმაშენებელი", „ბრწყინვალე", „თავდადებული" „ზედწოდებებია" შესანიშნავი ქართველი მეფეებისა (თანაც ამ ეპითეტებით ისინი შთამომავლებმა შეამკეს და არა თანამედროვეებმა), მაგრამ მათ გვარები არა ჰქონდათ? ისინი ბაგრატიონები არ იყვნენ? ქართული საისტორიო წყაროები და საბუთები მათ გვარსახელით — ბაგრატიონით არ მოიხსენიებენ? ეს სახელი — „ბაგრატიონი" მემკვიდრეობითი სახელი (ანუ გვარსახელი) არ იყო? იქვე, ბაგრატიონებთან დაკავშირებით ახალ კურიოზს გვთავაზობს ავტორი: „ქართული ანთროპონიმიის" ქრისტიანული პერიოდი ორად („ა" და „ბ") აქვს გაყოფილი. „ბანის" ქვეშ წერს: „სახელს ემატება მამის სახელი ან მამად ჩამომავლობა, ან თანამდებობა: იოანე საბანისძე, ვახუშტი ბაგრატიონი, აშოტ კურაპალატი" (გვ. 29). კი, ბატონო, დავუშვათ, რომ „იოანე საბანისძეში" „საბანისძე" მამის სახელია, მაგრამ „ვახუშტი ბაგრატიონში" „ბაგრატიონი" რაღაა? როგორც ჩანს, ესაა გ.ხორნაულისებური „მამად ჩამომავლობა". სახელი თუ მემკვიდრეობით გადადის თაობიდან თაობაზე, ის გვარსახელი არაა? თუ გინდ „მამად ჩამომავლობა" („გვარსახელის" შესატყვისი ერთ-ერთი დიალექტური ფორმა, სიტყვა) უწოდე მას და თუ გინდ სხვა რამე. ამასთანავე, გასაოცარია, XVIII ს-ის პირველი ნახევრის მოღვაწის — ვახუშტი ბაგრატიონის სახელი და გვარი ჩვენმა ავტორმა როგორ მოახვედრა „ქართული ანთროპონიმიის" მისეული პერიოდიზაციის მეორე პერიოდში, რომელიც, თურმე, ქრისტიანობის მიღებიდან XVI (XVII) ს-მდე გრძელდებოდა. რაც შეეხება „აშოტ კურაპალატს", ის VIII-IX საუკუნეების მოღვაწე იყო და მისი გვარიც (გ.ხორნაულისებური „მამად ჩამომავლობა") ხომ ბაგრატიონი იყო? „კურაპალატი" კი ბიზანტიის იმპერიის ხელისუფალთაგან ბოძებული მაღალი ტიტული იყო.

ქრისტიანობამდელი და ქრისტიანობის შემდგომი პერიოდის ქართულ ანთროპონიმიაში განსხვავება უდავოდ იყო. ოღონდ საქმე

ეხება მხოლოდ სახელების რქმევას. ქრისტიანობის მიღებამდე ქართველ ხალხში ძირითადად ადგილობრივი, ქართულ-ქართველური სახელები იყო გავრცელებული (სოციალურად დაწინაურებულ წრეებში ზოგიერთი მეზობელი ქვეყნის ანთროპონიმები გვხვდებოდა, მაგალითად, სპარსული). ქრისტიანობის მიღების შემდეგ ფართოდ მოიკიდა ფეხი კანონიზებულმა ქრისტიანულმა (ებრაულმა, ბერძნულმა) სახელებმა. მაგრამ საუკუნეების განმავლობაში ქართულ-ქართველური სახელები კვლავ წარმოადგენდა რქმევის სახელებს. მათ ერთგვარად მეორე პლანზე გადაიწიეს და ე.წ. ზედმეტ სახელებად (თიკუნებად) იქცნენ. მოსახლეობა ხშირად უფრო ამ თიკუნებს გამოიყენებდა, ვიდრე ოფიციალურ კანონიზებულ ქრისტიანულ სახელებს. ამის ერთგვარი დადასტურებაა ქართული გვარსახელების ძირები. ბევრ ქართულ გვარსახელს საფუძვლად ხომ ასეთი არაქრისტიანული სახელები უდევს საფუძვლად. ქართულ ანთროპონიმიაში ქრისტიანობამ სწორედ ამ თვალსაზრისით რომ გაავლო ხაზი, ეს შენიშნულია მეცნიერებაში (იხ. ალ. ღლონტი, ქართველური საკუთარი სახელები, თბ., 1986; ზ.ჭუმბურიძე, დედაენა ქართული, თბ., 1987) და გ.ხორნაული ვალდებული იყო ამ თვალსაზრისით გამოეხატა თავისი დამოკიდებულება.

გ.ხორნაულს საქმე იქამდე მიყავს, რომ თურმე დღევანდელი ქართული ანთროპონიმული მოდელი (სახელი+მამის სახელი+გვარსახელი), რომელიც ასახვას პოულობს ოფიციალურ იურიდიულ დოკუმენტებსა და სხვა სახის წერილობით საბუთებში, რუსთაგან (და ევროპელთაგან) შეგვითვისებია. არაა ეს ასე. ჯერ ერთი, ბერძენთა გამოკლებით, ევროპელთათვის საბუთში პიროვნების მამის სახელით ჩაწერა უცნობია. მართალია, ევროპაში გვქონდა სამწევრიანი (და, ხშირად, ოთხწევრიანი) ანთროპონიმული მოდელი, ორი სახელისა და გვარსახელის შეთანაწყობით, მაგრამ არავითარ შემთხვევაში ეს კომპლექსი მამის სახელს არ გულისხმობდა. მეორე, არა ერთი და ორი საისტორიო სახის საბუთი გაგვაჩნია, რომლებშიც პიროვნებანი სახელით, მამის სახელით და გვარსახელით არიან მოხსენიებულნი. ამ საკითხის შესახებ ჩვენ სპეციალური წერილი („ქართული ანთროპონიმული მოდელის შესახებ") გვქონდა დაბეჭდილი გაზ. „ლიტერატურულ საქართველოში" (N26, 1991 წ., 28 ივნისი) და აქ სიტყვას აღარ გავაგრძელებთ. მხოლოდ ორიოდე მაგალითს მოვიყვანთ ძველი ქართული საისტორიო საბუთებიდან. XII ს-ის საბუთში „დაწერილი ჭიაბერისა მღვიმისადმი" ვკითხულობთ: „...ჩემსა ჟინოვნისა ქონებასა შინა ვჰკადრე და მოვაჴსენე ღმრთისა სწორსა მეფეთ-მეფესა თამარს და მათ მიერ ბრძანებითა და კითხვითა გკადრე და მოგახსენე შენ, წმინდასა შიოს, და შენთა ცრემლთა მიერ ალ-

შენებულთა უდაბნოსა მღუიმესა, და მუნ-შინა დამკუიდრებულთა მამათა და ძმათა ჟინოვნით მიხითარაისძენი დავითის შვილნი ოქრაი და მახარაი, ბრაჭი და იოვანე..." (ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, I, თბ., 1984, გვ. 96). „გიბედნიერნენ ღმერთმან მიუკუნისამდე ჟინოვნით მიხითარაისძენი დავითის შვილნი: ოქრაი, მახარაი, ბრაჭი და იოვანე..." (იქვე). აი, ასეთი გახლდათ ქართული ანთროპონიმული მოდელი XII ს-ში. თანამედროვე ყაიდაზე ის ასე დაიწერებოდა: ოქრაი, მახარაი, ბრაჭი და იოანე დავითის ძე მიხითარაიძეები. ამ საბუთში „დავითის შვილნი" ოთხი ძმის: მახარეს, ბრაჭის, იოანეს და ოქრაის მამის სახელია, მიხითარაისძე კი გვარსახელი. როგორც ვხედავთ, ქართველებს გვარსახელი და ანთროპონიმული მოდელი რუსებისაგან კი არ შეუთვისებიათ, არამედ ის, რაც დღეს რუსეთშია, პიროვნების ჩაწერა სახელით, მამის სახელით და გვარსახელით, ჩვენთან XII ს-ში იცოდნენ. ასე რომ, XII ს-ში ჩვენ გვარებიც გვქონდა და ჩამოყალიბებული ანთროპონიმული სისტემაც. ერთმანეთის პარალელურად მოქმედებდა ორწევრიანი (სახელი+გვარსახელი) და სამწევრიანი (სახელი+მამის სახელი+გვარსახელი) ანთროპონიმული მოდელი. ვინმემ ეჭვი რომ არ შეიტანოს „მიხითარაისძის" გვარსახელობაში და არ გვითხრან: რა იცით, თუ ის მემკვიდრეობით ბრაჭის, ოქრაის, მახარეს და იოვანეს შვილებზეც გადავიდაო, ჩვენ შეიძლება არაერთი სხვა მაგალითი მოვიყვანოთ ქართული მემკვიდრეობითი სახელის თაობიდან თაობაზე და საუკუნიდან საუკუნეზე გადასვლისა. მაგალითად შეიძლება ტოხაიძეების (ტოხაძეების, შემდეგდროინდელი ტოხიშვილების) და ჭარმაულების გვარები მოვიყვანოთ. 1189/1200 წლებით დათარიღებულ „დაწერილში მღვიმის კრებულისა ტოხაჲსძეებისადმი" ვკითხულობთ: „...ესე დაწერილი და სიმტკიცე დაგიწერეთ და მოგაჴსენეთ ჩუენ, მღვიმისა ლავრისა ყოველმან კრებულმან... თქუენ, ტოხაჲსძეთა: იოვანეს, ნიკოლოზს, ნინიას და ყოველთა მომავალთა სახლისა თქუენისათა და ნათესავთა მიუკუნისამდე და უკუნით-უკუნისამდე" (ქისკ, I, გვ. 83). „სანირველოჲ გბოძებოდა სიგლითა მკუიდრად კჳრიკე კახთა მეფისაგან და ჩუენცა მოგეცით და მოგაჴსენეთ სამამულოდ და მკჳდრად, ამად, რომე თქუენისა გვარისა მოძღუარი ყოფილიყო კჳრიკე კახთა მეფისაჲ, ბასილი ტოხაჲსძე, და მას მისითა მოძღურობითა შემოეწირვინა წმინდისა შიოსთჳს, რჩევით, მთათა შინა დაოთი და ბართა შინა რუეთი" (იქვე). ამ ციტატაში დასახელებულია იოვანე, ნიკოლაოზ და ნინია ტოხაიძეების წინაპარი ბასილი ტოხაჲსძე, რომელსაც გაცილებით ადრე, XI ს-ის დასაწყისში, კახეთ-ჰერეთის მეფის კვირიკე III-ის დროს უცხოვრია. ტექსტში ხომ პირდაპირაა ნათქვამი თქვენი გვარის კაცი ბასილ ტოხაიძე კვირიკე კახთა მეფის მოძღვა-

რი იყოო. ტოხაიძის გვარს ატარებდა ბასილი XI ს-ის დასაწყისში, ტოხაიძის გვარს ატარებდნენ მისი მემკვიდრეები თითქმის ორი საუკუნის შემდეგ, XII ს-ის დასასრულს. ყველაზე საგულისხმო ისაა, რომ ტოხაიძეების გვარი თითქმის ყველა მომდევნო საუკუნის საბუთში და, რაც მთავარია, ამავე რეგიონშია დასახელებული. 1260/1270 წწ. ორ საბუთში გვხვდება ტოხაიძეების გვარი (ქსძ, III, გვ. 165, 169). ერთ-ერთ მათგანში ვკითხულობთ: „...ესე დაწერილი დაგიწერეთ ჩუენ, **ბურჯულთა კავთულამა და თევდორემა** და ჩუენთა შვილთა ბასილამა და მშუიდამა. დაგუექირა ჰავისა ჟამისაგან და ხარაჯობისაგან და ავიღეთ თქუენ, **მოძღურისაგან დემეტრესაგან ტოხუაისძისაგან** სამოცი თეთრი, დეკენბერსა ათსა..." იმავე რეგიონში ტოხაძეების გვარი ფიქსირებულია 1579 წ. საბუთში (ქსძ, III, გვ. 199). გვიან პერიოდში ტოხაძეების გვარის ფინალი (-ძე) სხვა ფინალით (-შვილი) შეცვლილა. XVIII ს. დასაწყისის აღწერაში ქორდს და მატანს მითითებულია შესაბამისად ოთხი და ორი კომლი „ტოხაშვილი აზნაურშვილი" (ივ.ჯავახიშვილი, სეიძ, I, 1967, გვ. 71).

სამწევრიანი ანთროპონიმული მოდელითაა დასახელებული 1297/98 წწ. საბუთში ჭარმაულების გვარი: „მოვიდა ჩუენ წინაშე **ჭარმაული ჭაჭნიაშვილი გრიგოლ...**" (ქისკ, I, გვ. 183). „დაგუაჯერა ღმერთმან და ვისმინეთ ჰაჯაი და მოჴსენებაი ჭაჭნიაშვილისა გრიგოლ ჭარმაულისაი და მიუბოძეთ ჟინოვნის პირს სოფელი ლაუშაი..." (იქვე). „ჰქონდეს **ჭარმაულსა ჭაჭნიაშვილსა გრიგოლს**, შვილთა და ყოველთა მომავალთა მისთა შუანის ჴევს სოფელი ლაუშაი" (იქვე). დღევანდელ პირობებში ეს პიროვნება ასე ჩაიწერებოდა: გრიგოლ ჭაჭნიას ძე ჭარმაული. ჭარმაულების გვარი არაერთგზის გვხვდება მომდევნო საუკუნეების საბუთებში. მაგალითად, ჭარმაულების გვარი დასახელებულია 1516-1537, 1537, 1628, 1675, 1678, 1718 წლების დოკუმენტებში (ქსძ, III, გვ. 257, 488, 580, 699; ტ. IV, გვ. 136). 1779 წლის ანტონ I-ის წყალობის წიგნში ვკითხულობთ: „...მოგიბოძეთ სუეტიცხოვლის ალაიანის სოფლის მელალეობა და მეკულუხობა ყოვლისა კაცის შეუცილებლად... ამოწყვეტილის აზნაურშვილის... ჭარმეულის სახლში ძველითგანვე ნაქონი სახელო მეჯინიბეთუხუცესობა..." (თ.ჟორდანია, ქრონიკები, III, თბ., 1967, გვ. 365). საბუთიდან აშკარაა, რომ ჭარმეულებმა (ჭარმაულებმა) არსებობა XVIII ს-ის დასასრულს შეწყვიტეს. ქართული საისტორიო საბუთები კი საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ ჭარმაულების გვარი ხუთ საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში გადადიოდა მემკვიდრეობით თაობიდან თაობაზე.

საყურადღებოა 1780 წლის „სიგელი ანტონ კათალიკოზისა ბოძებული თაზიშვილებისადმი" („საქართველოს სიძველენი", ტფ., ტ. III,

1910, გვ. 167), რომელშიც ვკითხულობთ: „მტკიცე და უცვალებელი წიგნი და სიგელი დაგიწერეთ და გიბოძეთ თქვენ, ჩვენის ეკლესიის აზნაურშვილთ, თაზიშვილებს, მგალობლის ზაზაშვილს თეოდოსის, იორამიშვილს სვიმონს და მოსეს, მოსეს შვილთ პაატას და ზურაბს..." საბუთიდან აშკარაა, რომ საუბარია თაზიშვილების გვარსახელზე. რაც შეეხება მასში მოხსენიებულ ზაზაშვილს, იორამიშვილს და მოსეშვილს, ისინი მამის სახელებია. საკათალიკოსო აზნაურები თაზიშვილები „დასტურლამალსა" და გიორგიევსკის ტრაქტატის დანართშიც არიან მოხსენიებულნი (ქსძ, II, 486). ყველაზე ადრინდელი საბუთი, რომელშიც თაზიშვილების გვარია მოხსენიებული, 1634 წელს განეკუთვნება (პალ, II, გვ. 270-271). ასე რომ, ზემონახსენებ საბუთში პიროვნებები მოხსენიებულნი არიან გვარსახელით, მამის სახელით და სახელით, ე.ი. ჩვენ საქმე გვაქვს სამწევრიან ანთროპონიმულ მოდელთან. სამწევრიანი ანთროპონიმული მოდელით პიროვნებათა მოხსენიება იშვიათი არ იყო ქართულ საბუთებში. მაგალითად, 1691 წლის დოკუმენტში დასახელებულია „წოდორელი ხუციანთ მარკოზაშვილი ივანე". ამ შემთხვევაში „ხუციანთ" (ხუციშვილი) გვარსახელია, მარკოზაშვილი — მამის სახელი, ივანე — საკუთარი სახელი.

ახლა 1774 წლის ერთ საბუთში ჩავიხედოთ („წყალობის წიგნი იმერეთის მეფის სოლომონ I-ისა ბოძებული კარის მწირველ ონოფრე ჯაფარიძისათვის"): „გიბოძეთ სევას გლეხი დემეტრაშვილი, დათუას შვილები გოგიტა და ივანიკა, ბერუკი და მისი შვილი გელიტა და მისი ძმის წული ქრისტესია, მათის ცოლ-შვილით... კიდევ კაჭუნი დემეტრაშვილი" („საქართველოს სიძველენი", III, გვ. 253). რაჭის სოფელ სევაში დემეტრაშვილები ნახსენები არიან 1785, 1808 წლების საბუთებში (იქვე, გვ. 255, 263). დემეტრაშვილები სევაში აღირიცხებოდნენ 1904 წელსაც. კომენტარის გარეშეც ცხადია, რომ ვსაუბრობთ გვარსახელზე (დემეტრაშვილზე), რომლის წარმომადგენელნიც, გვართან ერთად, ჩაწერილი არიან მამის სახელითაც. ყოველივე ეს კი ხდებოდა მაშინ, როდესაც რუსებს ჯერ საქართველოში ფეხი არ ჰქონდათ დადგმული.

ჩვენამდე მოაღწია მორიგე ლაშქრის რამდენიმე ნუსხამ. 1774 წლის ერთ-ერთ ნუსხაში („ჟინვანიდამ და არანისიდამ") პიროვნებანი ჩაწერილი არიან გვარსახელით, მამის სახელით და სახელით. რაც ყველაზე მთავარია, ის გვარები, რომლებიც ამ დოკუმენტში არიან მოხსენიებული, დღესაც მკვიდრობენ ჟინვანში, არანისსა და მათ მიმდებარე სოფლებში (მაგალითად, ჩინთში), ოღონდ, როგორც სხვაგან, აქაც გვარსახელებს ფინალები შეუცვლიათ (-ურ→-შვილი, -ძე→შვილი). მაგალითები: „ჯინვანიდამ ჯაბნიაური ქურციკის შვი-

ლი გელია"; „ჟინვანიდამ ბოგანო ჩინთელი მანგაური ზურაბის შვილი დემეტრე"; „ჟინვანიდამ სისველაური ბერის შვილი გიორგი"; „არანისიდამ ზანდუკელი გიორგის ყმა თეთრაული ბერის შვილი მამუკა"; „არანისიდამ ზანდუკელი ზურაბის შვილი მამუკას ყმა მოძმერაძე შიოს შვილი ბერი"; „ზანდუკელი ოთარის შვილი გლახას ყმა მოძმანაძე ქრისტესიას შვილი პეტრე"; „ზანდუკელი გიორგის ყმა ლომიძე გამახარეს შვილი რუხი"; „ზანდუკელი გიორგის ყმა ხიტალიძე გამიხარდის შვილი მამუკა"; „ზანდუკელი გიორგის ყმა უთურგაძე პაპას შვილი ჩიტა"; „ზანდუკელი პაპუნას შვილი გიორგის ყმა ჭინჭარაძე ცოცხალას შვილი დათუნა" (ივ.ჯავახიშვილი, სეიძ, ნ. II, 1974, გვ. 118-120). XVIII ს-ის მეორე ნახევრის სოფ. არბოს მორიგეთა ნუსხიდან: „ბუზალაძე მამუკას შვილი ბერი"; „გვიმრაძე დავითის შვილი დეკანოზი გიორგი"; „ხიზანი სახასო სურამელი ჯობაძე ზურაბას შვილი ოქრუა"; „კაპანაძე სეხნიაშვილი სვიმონა" და სხვ. (დოკუმენტები... II, ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, თბ., 1953, გვ. 81-82). ვფიქრობთ, კომენტარი აღარ სჭირდება იმას, რომ მოყვანილ მაგალითებში პირველი კომპონენტი გვარსახელია, მეორე — მამის სახელი და მესამე — სახელი. ამასთანავე, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, აღნიშნულმა გვარსახელებმა უკვე XIX ს-ის დასაწყისიდან სუფიქსები შეიცვალეს: ჯაბნიაურები ჯაბნიაშვილებად იწერებიან (გადმოსახლებულნი არიან ხევსურეთიდან. ძირი-გვარია გაბური), მანგაურები — მანგოშვილებად, სისველაურები — სისველაშვილებად (ძირი-გვარია ზარიძე. გადმოსახლებული არიან ღუდიდან), თეთრაულები — თეთრუაშვილებად (მთიულეთიდან. ადრინდელი გვარია ბუჩუკური), მოძმერაძეები (მოძმანაძეები) — მოძმანაშვილებად, ლომიძეები — ლომაშვილებად, ხიტალიძეები — ხიტალიშვილებად (ხევსურეთის სოფელ ხიტალედან. თავდაპირველი გვარია არაბული), უთურგაძეები — უთურგაშვილებად, ჭინჭარაძეები — ჭინჭარაშვილებად (ადრინდელი გვარია ჭინჭარაული).

ქართული საბუთებით არაერთი გვარის ისტორიის გარკვევის საშუალება გვეძლევა. მაგალითად, დიდი ხნის ისტორია აქვს დედაბრიშვილების გვარს. 1412 წლიდან მოყოლებული ეს გვარი მოხსენიებულია არაერთგზის (XV ს. I ნახ., 1509, 1542, 1578, 1626-1647, 1656, 1682, 1700... წლები). 1412 წ. „სითარხნის წიგნში, მიცემული შოთა, სიაოშ და მირიან ზევდგინიძეთა მიერ გიორგი დედაბრიშვილისადმი" კონკრეტულად ვკითხულობთ: „ქ. ჩუენ, პატრონთა შოთაჲან და სიაოშ და მირიან, ესე უკუნისამდინ ჟამთა გასათავებელი წიგნი და სიგელი გიბოძეთ თქუენ, მლვიმისა ყმათა, დედაბრიშვილთა: მოძღვარსა გიორგის და თქუენთა შვილთა: მღვდელსა მახარებელს და ნაცვალსა და ყოველთავე გუარისა თქუენისა მომავალთა..." (დო-

კუმენტები, I, ნ.ბერძენიშვილის რედაქციით, გვ. 1). რაც ყველაზე მთავარია, საისტორიო დოკუმენტებში ფიქსირებული ეს გვარი იმ დასკვნის საშუალებას გვაძლევს, რომ აღმოსავლეთ საქართველოში გვარის მაწარმოებელი -შვილი და -იან სუფიქსები ერთმანეთს ენაცვლება. 1531 წ. დედაბრიშვილები დედაბრიანებად არიან ჩაწერილი. -იან ფორმანტით გვხვდება ერთ-ერთ საბუთში ტატიშვილების გვარიც — „ტატიანი" (საქართველოს სიძველენი, III, გვ. 27).

ორიოდე სიტყვით „მცხეთისშვილების" შესახებ. როგორც ირკვევა, 1470 წლამდე ეს საეკლესიო სამოხელეო თანამდებობა ივანიასძეების პრეროგატივა ყოფილა, ისე რომ, „მცხეთისშვილობა" და „ივანიასძეობა" ერთმანეთის იდენტური ტერმინები იყო. უდროოდ გარდაცვლილი ივანიასძის მამული (აქ სახელი დაკონკრეტებული არაა. არც იყო საჭირო. ლაპარაკია გვარზე) დავით V ქართლის კათალიკოსს უწყალობებია ქადაგ დიმიტრი მაღალაძისათვის. ისიც უძეოდ გარდაცვლილა და საყდრიშვილობა, როგორც ტექსტშია — ივანიასძეობა (ივანიასძედ დასვა), კვლავ მაღალაძეთა გვარის კაცისათვის, მღვდელ მახარებელ მაღალაძისათვის უბოძებია („საქართველოს სიძველენი", III, გვ. 13), უბოძებია ივანიასძისეული და დიმიტრისეული მამული: ოჩლიურში — ორი კომლი სვანიანები, გორს — ფუშრუკაული არმაზი და დიაკონისძენი (გვ. 14). საყურადღებოა, რომ ქართლში 1470 წლისათვის ორი კომლი სვანიანის გვარს ატარებდა და არა სვანიძისას (ან სვანიშვილისას). ესეც ერთ-ერთი დამადასტურებელია იმისა, რომ ქართლშიც გვარების საწარმოებლად -იან(-ან) ფორმანტი იყო გავრცელებული. ფუშრუკაული და დიაკონიძეც გვარსახელებია. ასევე ცვლიდნენ ერთმანეთს -ძე და -შვილი სუფიქსები. მაგალითად, ზემოთ დასახელებული მაღალაძეები 1472 წლის საბუთებში მაღალაშვილებად არიან ჩაწერილი. საბოლოოდ დამკვიდრდა მაღალაშვილი. არაერთი შემთხვევა გვაქვს, როდესაც ქართულ საისტორიო საბუთებში ერთი და იგივე პიროვნების გვარი ხან ჩაწერილია -ძე და ხან -შვილი სუფიქსებით. 1776 წ. 24 მაისის საბუთში ნახსენებია „იოვანე თათქირიძე". იმავე წლის 16 ივნისის საბუთში იგივე პიროვნება „იოვანე თაქთაქიშვილადაა" ჩაწერილი (დოკუმენტები..., II, ნ.ბერძენიშვილის რედ., გვ. 94, 96). ორივე საბუთში განხილულია ერთი და იგივე დავა. დოკუმენტების ურთიერთშეჯერებით აშკარაა, რომ თაქთაქიშვილების გვარის ადრინდელი ფორმა იყო **თათქირიძე**. 1715 წლის რუისის სამწყსოს დავთარში სოფელ ზემო·ძვიმლეთში გვხვდება „ფეხაშვილი ნასყიდა" და „ფეხაძე ლაზარე". რუისელი **რაზმიაშვილები** ჩაწერილი არიან **რაზმაძეებადაც**. მაგალითად, ერთი და იგივე პიროვნება — თევდორე 1690 წელს რაზმაძედ ჩაუწერიათ, ხოლო 1696 წელს — რაზმიაშვილად.

ეთნოგრაფიული მასალებითაც რუისელი რაზმიაშვილების ადრინდელი გვარია რაზმაძე. გადმოსახლებული არიან რაჭიდან დაახლ. XVII ს. შუა ხანებში. 1700 წლის ერთსა და იმავე საბუთში ერთი და იგივე პიროვნება ხან ჭილიკაძედ და ხან ჭილიკაშვილად იხსენიება. სოფელ დიღომში 1690 წლის ორ სხვადასხვა საბუთში ერთი და იგივე კაცი — ესტატე მოხსენიებულია მარინდაულადაც და მარინდაშვილადაც (პალ, II, გვ. 79, 207, 404). 1793 წლის ბატონყმობის წიგნში ძმები ჯერ „ჯინჭარაძე გიორგად და თევდორედ", შემდეგ კი „ჯინჭარაშვილ გიორგად და თევდორედ" მოიხსენებიან (დოკუმენტები..., II, ნ.ბერძენიშვილის რედ. გვ. 168-169). ალ. ჭინჭარაულს გარკვეული აქვს, რომ რაზიკაშვილის გვარის თავდაპირველი ფორმა იყო „რაზიკაული" (ალ. ჭინჭარაული, ვაჟა-ფშაველას ზოგი პერსონაჟის საკითხისათვის, „ონომასტიკა"-I, თბ., 1987, გვ. 349). უფრო მეტიც, გიორგიევსკის ტრაქტატის შემდეგ ქართველი თავადაზნაურები თავიანთ გვარებს რუსული სუფიქსითაც იფორმებენ. მაგალითად, 1794 წ. დოკუმენტში ლუარსაბ ზაზას შვილი (ე.ი. ზაზას ძე) თარხნიშვილი, იქვე, ორი სტრიქონის შემდეგ თარხანოვად არის მოხსენიებული (დოკუმენტები..., II, გვ. 172).

არც ისაა სწორი, რომ ქრისტემდე „საქართველოში ერთშემადგენლობიანი წოდება უნდა ყოფილიყო". გაუგებარია, რას ნიშნავს ეს „წოდება". ქრისტემდე და ახლაც, პიროვნებას მხოლოდ სახელით მიმართავდნენ. ხოლო როცა პიროვნებას მოიხსენიებდნენ, მას სახელითა და მამის სახელით მოიხსენიებდნენ, შემდეგ — სახელითა და მამიშვილობით. გვარით მოხსენიება საჭირო არ იყო. პიროვნების მოხსენიების ასეთი ორწევრიანი მოდელი (მამის სახელი+სახელი; მამისშვილობა+სახელი) არაერთია ცნობილი ქართული ფოლკლორულ-ეთნოგრაფიული მასალებით. ასეთ შემთხვევაში საჭირო არ იყო გვარსახელების მოხსენიება. ის ისედაც ცნობილი იყო ამა თუ იმ სოფლის, თემის თუ სხვა რიგის ტერიტორიული ერთეულისათვის. ზემოთ თქმულის დასადასტურებლად უპრიანი იქნება გაგვეხსენებინა ერთი ქართული ხალხური ლექსი „ლუის ლუხუმი", რომელშიც ლუხუმის მამის სახელია ლუი. ეთნოგრაფთათვის, ვინც სისაურთა (ლიქოკელთა) გვარით დაინტერესებულა, ცნობილია ამ გვარის საფუძველჩამყრელი „სანაგის სანაგი". ერთ ხევსურულ გადმოცემაში სოფ. მუცოს ადრინდელ მკვიდრთა შორის მოიხსენიება „არღუმის ჩარღუმი". მსგავსი მაგალითების მოყვანა არაერთი შეიძლება თუშური ფოლკლორიდან. ეს მომენტი ჯერ კიდევ ჩვენი საუკუნის დასაწყისში შეამჩნიეს: „თუშური გვარების დაბოლოებანი არიან: შვილი, ძე, ური, ული და იანი. ხშირად გვარის მაგიერ ლექსებში მოხსენიებულია მამის სახელი ამნაირად: ქავთარ ლუხუმის ძე, მიქელ ზუ-

რაბის ძე ან ციგუს სულთანი (ე.ი. ციგუს ძე სულთანი), ხოსიკის ივანე (ე.ი. ივანე ხოსიკის ძე), აბალოს დავითი (ე.ი. დავით აბალოს ძე..." („ძველი საქართველო", II, ტფ., 1911-1913, გვ. 115). თანამედროვე სამეცნიერო ლიტერატურაშიც იგივეს აღნიშნავენ: „...თუშეთში, როცა კაცი ან ქალი მამისახელით მოიხსენიებოდა, მას ძე და ასული არ ერთვოდა, იყო მხოლოდ მამისახელი ნათესაური ბრუნვის ფორმით. ამის უხვ ილუსტრაციებს ხალხურ პოეზიაში ვადასტურებთ" (გ.ცოცანიძე, თუშეთში გავრცელებული გვარები და სახელები საეკლესიო ჩანაწერების მიხედვით, „ონომასტიკა I", თბ., 1987, გვ. 322). ალ.ჭინჭარაულის სამართლიანი მოსაზრებით სახელდების მთაში ბოლო დრომდე შემორჩენილი ასეთი სახე ნაშთია ძველი ქართული სახელდების წესისა, რომლის უძველესი ნიმუშები შემორჩენილი გვაქვს უძველეს ლიტერატურულ ძეგლებსა და სახარების ტექსტებში (ალ.ჭინჭარაული, დასახელებული ნაშრომი, გვ. 324).

ხალხურ სამეტყველო ენაში დღესაც ორწევრიანი სისტემაა გამეფებული, ოღონდ მამის სახელს მამისშვილობა (გვარის დანაყოფის სახელი) ცვლის. მაგალითად, სოფელ ძველანაგაში მოსახლე ჩალაბაშვილების გვარი ხუთ ძირითად მამიშვილობად (დანაყოფად) იყოფა: „ღოღაძიანი", „ზურიკიანი", „კაკლიჭიანი", „ქიტელაანი", „აპრისიანი". ჩვეულებრივ იტყოდნენ: „ღოღაძიანთ დათა", „ქიტელაანთ გიო", „კაკლიჭიანთ გიორგი" და სხვ. გვარსახელით პიროვნებას იშვიათად მოიხსენიებდნენ. გვარსახელი მხოლოდ ოფიციალურ დოკუმენტებში ფიგურირებდა. აქ ს.მაკალათიას დავესესხები: „სოფელში თითოეულ საგვარეულოს მისი ერთი უბანი უჭირავს, რომლის სახელსაც ეს უბანი ატარებს. გვარი შედგება რამდენიმე კომლისაგან. თითოეული კომლი ატარებს თავის განსაკუთრებულ სახელწოდებას, რომელიც დაკავშირებულია წინაპრისა თუ ოჯახის უხუცესი პაპის ან მამის სახელთან, ზოგჯერ წარმოშობის ადგილთან და სხვ. ამ მხრივ სოფელში მოსახლე გვარები, მაგალითად, ლობჯანიძეები იყოფიან: ხოშიტიანი, ნანუკიანი, ლაშხეენი, ზვიადეენი, ჯოტეენი, სვანეენი, ჯოჯოენი და სხვ.; გობეჯიშვილები: ქაოზეენი, ნასხიდეენი, გოტოიანი, გივიტიანი, ქუტუნეენი, ჯამოეენი, ოთუკეენი და სხვ.; გოგრიჭიანი: ჩხუტეენი, ლეჩხუმელეენი, საგიეენი, მამუჩიანი და სხვ. მხოლოდ ამ კომლობრივი სახელით შეიძლება აქ ადამიანის მონახვა. მაგალითად, თქვენ თუ იკითხავთ ივანე ლობჯანიძეს, მას ვერ გიჩვენებენ. უნდა იკითხოთ ივან ზვიადეენთ ლობჯანიძე, რომელი სახელით ეს კომლია ცნობილი და მაშინ კი გაიგებენ. მათში გვარს არ იხსენიებენ და ხშირად არ იციან ამა თუ იმ პირის გვარი, არამედ ჩვეულებრივ იტყვიან: მიხა ერმილეენთი, მამუკო ნინუკიანთი და სხვ." (ს.მაკალათია, მთის რაჭა, თბ., 1987, გვ. 50).

გ.ხორნაულს სურს თავისი „დებულება", ქართული გვარების სულ ახლახანს წარმოშობის შესახებ, ახალ-ახალი საისტორიო და ეთნოგრაფიული მასალით განამტკიცოს. ის წერს: „ქართულ ისტორიულ წყაროებში არის შემთხვევები, როცა სახელს მამის სახელი, წოდება ან ზედმეტი სახელი ერთვის. ისინი ჩვენს მკვლევარებს ხშირად შეცდომით გვარებად მიაჩნდათ და მიაჩნიათ დღესაც" (გვ. 83). ასეთი შემთხვევები მართლაც არის, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ქართველებს გვარსახელები არ გვქონდა. მეცნიერის მოვალეობაა ერთმანეთისაგან გამიჯნოს გვარსახელი და მამის სახელი. დასახელებული პიროვნება ვერ ახერხებს ამას. მამის სახელით, პროფესიით ანდა ზედმეტი სახელით პიროვნების მოხსენიება განპირობებული იყო სხვადასხვა ფაქტორებით. დღესაც საქართველოს სოფლებში, როდესაც ამა თუ იმ პიროვნებას ახსენებენ, მას გვარითა და სახელით როდი ასახელებენ. აქ არ იყო ამისი პრაქტიკული მოთხოვნილება, მითუმეტეს ერთი ან რამდენიმე გვარით დასახლებულ სოფელში. ზემოთაც აღვნიშნე და აქაც გავიმეორებ, რომ ქართულ სოფელში პიროვნებას მოიხსენიებენ სახელით და მამის სახელით ანდა მამიშვილობით. ხშირად ესეც არ იყო საჭირო და ესა თუ ის პირი მხოლოდ ზედმეტი სახელით მოიხსენიებოდა. ზოგჯერ კი, თუ კაცს გამორჩეული პროფესია ჰქონდა, სახელითა და პროფესიით მოიხსენიებდნენ. ვიმეორებთ, ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ქართველებს გვარები არა გვქონდა. პიროვნებათა ასეთი ფორმით მოხსენიება დოკუმენტებშიც ხდებოდა.

გ.ხორნაული ჩასჭიდებია „პირთა ანოტირებული ლექსიკონის" პირველი ტომის წინასიტყვაობის ერთ ადგილს: „პირთა ანოტირებული ლექსიკონის" წინასიტყვაობაში **შემდგენელ-რედაქტორები გაკვირვებულები წერენ** (ხაზგასმა ჩვენია — რ.თ.): „ისტორიული გვარ-სახელების სიცოცხლის ხანგრძლივობა იზომება ხშირად ერთი თაობით. ეს მოვლენა განსაკუთრებით კარგად ჩანს პატრონიმიული მოდელის გვარსახელებში. მრავალი მაგალითი მოიპოვება იმის საილუსტრაციოდ, რომ მამა და შვილი სხვადასხვა გვარსახელით აღინიშნება (მაგ.: რომელიმე გაბრიელა ბათიაშვილის (უ.ი. ბეთიაშვილი — რ.თ.) შვილის, განონას, გვარსახელია გაბრიელაშვილი" (გვ. 83).

ზემოთ ჩვენ ნათქვამი გვქონდა, თუ რა არის გვარსახელი. ის არის მემკვიდრეობითი სახელი, რომელიც სულ ცოტა სამ თაობას მაინც გადაეცემა. რა თქმა უნდა, „პირთა ანოტირებული ლექსიკონის" შემდგენელ-რედაქტორებს გვარსახელის განსაზღვრება შეეშალათ. ერთი თაობის სახელი გვარსახელი არ არის, ის მამის სახელია. რამდენადაც ჩვენ დაწვრილებით შევისწავლეთ მნიშვნელოვანი და საჭირო გამოცემის „პირთა ანოტირებული ლექსიკონის" ორი ტომი,

დავასკვნით: ქართულ საისტორიო საბუთებში პირთა მამის სახელით მოხსენიების მხოლოდ მცირე შემთხვევები გვაქვს. ერთეულ შემთხვევებზე ხომ მეცნიერები თავიანთ დასკვნებს არ აგებენ. გ.ხორნაული თავიდანვე არამეცნიერული გზით წავიდა. მრავალრიცხოვან და ზღვა მასალაზე თვალები დახუჭა (თუ საერთოდ უნახია ისინი) და ერთეულ, გამონაკლისს შემთხვევებზე ააგო თავისი „თეორია".

გ.ხორნაული ქართული საისტორიო წყაროებისა და საბუთების სრულ უცოდინარობას ამჟღავნებს, როცა წერს, რომ „ისტორიულ დოკუმენტებზე დაკვირვება ყოველთვის ნათლად გვიჩვენებს: თუ თავადები, მოწინავე ფენა საზოგადოებისა აჰყვა მოდას (როგორც ეს ჩვეულებრივ ხდება ხოლმე) და ისიც კანტი-კუნტად, ახლებურად იკეთებდნენ წოდებას, დაბალი ფენებისათვის ეს ახლებური მოდა დიდ საჭიროებას არ წარმოადგენდა და კვლავ ძველებურად განაგრძობდა სახელდებას. ივ.ჯავახიშვილის მიერ გამოქვეყნებულ XVIII ს-ის დემოგრაფიული დოკუმენტების კრებულში, სადაც დასახელებულნი არიან მეკომურეთა თავკაცები, არცერთ მათგანს გვარი არა აქვს. სახელთან ერთად მეორე კომპონენტად მოყვანილია მხოლოდ ან მამის სახელი, ან ხელობის, ან ზედმეტი სახელი (სადაურობით, ფიზიკური ნაკლის) და მისთანები" (გვ. 84). შემდეგ მოაქვს 44 მაგალითი ამოწერილი „საქართველოს ეკონომიური ისტორიის ძეგლების" პირველი წიგნიდან, მაგალითად, ასეთები: „გამიხარდი ავთანდილის შვილი", „მახარა სალირას შვილი", „ხახონა იმერელი", „გოგია მელვრეკელი", „თუში გიორგი", „ჯავახი პაპუნა", „უსტია მზარეული", „ფეტვია გზირი", „შიო ტაბარუკი", „დათუნა კუტი", „გიორგი ნაბიჭვარი", „წითური პაპია" და მისთანანი. ძირითად სათქმელს სანამ ვიტყვი, ორიოდე სიტყვით ბოლოს დასახელებული „წითური პაპიას" შესახებ. ავტორს ეს მაგალითი ამოწერილი აქვს პანკისის აღწერიდან (გვ. 68). „წითური", როგორც ჩანს, გ.ხორნაულს ადამიანის ფიზიკური მდგომარეობის გამომხატველი ჰქონია. ეს რომ ასე არაა და რომ ის ნამდვილად გვარია, იმავე აღწერიდან დასტურდება. იქვე, „წითური პაპუას" (შეცდომით „პაპიად" წაიკითხა) გარდა მოხსენიებული არიან „ნასყიდა წითური" და „წითური წითურისშვილი".

გვარსახელების წარმოქმნა, რაც საქართველოში ღრმა-სოციალური პირობებით იყო განპირობებული, გ.ხორნაულს ევროპიდან შემოსულ ახალ მოდად მიაჩნია. მოვლენის ამაზე მეტად გაუბრალოება წარმოუდგენელია. იქნებ, საერთოდ, საზოგადოების პროგრესი, წინაკლასობრივი საზოგადოებიდან კლასობრივ საზოგადოებაზე გადასვლაც მოდა იყო? მოდა ხომ არ იყო ქართული სახელმწიფოებრიობის ჩამოყალიბება? თანაც ჩვენი თავადაზნაურობა მხოლოდ

კანტი-კუნტად აყოლია გვარების გავრცელების მოდას. იქნებ გ.ხორნაულს გადაეხედა ქართული თავადაზნაურული გვარების ისტორიისათვის, რომელიც მეტ-ნაკლებად შესწავლილია ქართულ ისტორიოგრაფიაში (ო.სოსელია, გ.ჯამბურია, ნ.შოშიაშვილი, დ.კლდიაშვილი...), ანდა ვახუშტი ბაგრატიონის ნაშრომში ჩაეხედა, ანდა გიორგიევსკის ტრაქტატი გადაეთვალიერებინა. არაერთი ფეოდალური ქართული საგვარეულოს შესახებ დაწვრილებითი ინფორმაციებია ქართულ ენციკლოპედიაში. თითოეული თავადაზნაურული გვარის ისტორია სინამდვილეში საუკუნეებს ითვლის. დაბალი ფენებისათვის კი ეს ახლებური მოდა თურმე დიდ საჭიროებას არ წარმოადგენდა და კვლავ ძველებურად განაგრძობდა სახელდებას, ე.ი. გვარსახელები მათ არ ჰქონდათ. როგორც ალვნიშნეთ, ხორნაულს ამ თავისი „დებულების" დასადასტურებლად ამონაწერები მოაქვს XVIII ს-ის აღწერის დავთრიდან (როგორც ალვნიშნეთ, 44 მაგალითი). მაგრამ ივ.ჯავახიშვილის მიერ გამოცემულ აღწერის დავთარს თუ თვალს გადავავლებთ, რომელიც 270 ნაბეჭდ გვერდს შეიცავს, დავრწმუნდებით, რომ მასში გვარსახელებია ფიქსირებული.

სანამ XVIII ს-ის დასაწყისის აღწერის დავთარში ჩავიხედავთ, არ შეიძლება არ ითქვას, რომ საბუთში დასახელებული პიროვნება, ვთქვათ, „გიორგი კარიჭას შვილი" სულაც არ ნიშნავს იმას, რომ გიორგი არის კარიჭას ძე, კარიჭას შვილი. ეს უბრალოდ გვარსახელის დაწერის მაშინდელი ფორმა იყო. საინტერესოა, მკვლევარმა რატომ ვერ შეამჩნია, მაგალითად, გარე კახეთის ერთ-ერთ სოფელში გოგილასშვილების 23 კომლი? აღწერის დავთარში გოგილაშვილები ასეთი ფორმით არიან ჩაწერილი: „გოგილას შვილი ხუცია", „გოგილას შვილი გიუნა", „ოქრუა გოგილას შვილი", „ოსია გოგილას შვილი", „სამუკა გოგილას შვილი" (გვ. 24) და სხვ. იქნებ გვითხრას გ.ხორნაულმა, რომ აღწერის დავთარში შეტანილი 23 კომლი „გოგილას შვილი?? „გვარი არ არის? და იმის მტკიცება დაგვიწყოს, ეს „გოგილას შვილები" ერთი ვინმე გოგილას ძენი არიანო? სხვათაშორის, ქართული გვარების უარმყოფელ მეცნიერს „საქართველოს ეკონომიური ისტორიის ძეგლების" (წ. I) გამომცემელთა ბოლოსიტყვა რომ ენახა, ამოიკითხავდა: „გვარების მართლწერისას ნათესაობითი ბრუნვის სანიანი გვარები ორად გავყავით: იმედას შვილი, ოდანას შვილი, ბეროს შვილი; შეკვეცილი სანიანი გვარები კი: ირემაშვილი, ჟამუტაშვილი, საგინაშვილი — ერთად დავწერეთ" (გვ. 272). საერთოდ, ცნობილია, რომ ქართულ ხელნაწერებში, გვარსახელის დაწერის მართლწერა არავითარ კანონზომიერებას არ ემორჩილება. ნათესაობითი ბრუნვის ს-ანიანი ფორმა შეიძლება ორნაირად იყოს ჩაწერილი (ვთქვათ „იმედასშვილი" და „იმედას შვილი"). ასევე ითქმის

შეკვეცილ ს-ანიან გვარებზე: „ჟამუტა შვილი" და „ჟამუტაშვილი". ჩვენი აზრით, რადგან ორივე შემთხვევაში საქმე გვაქვს გვარსახელთან, უმჯობესი იყო გამომცემლებს ნათესაობითი ბრუნვის ს-ანიანი გვარები ორად არ გაეყოთ, ცალ-ცალკე არ დაეწერათ გვარის ფუძე და ფორმანტი, ანდა ყველა შემთხვევაში გვარსახელის დანერის დედნისეული ფორმა დაეცვათ და არ მოეხდინათ მათი ცალ-ცალკე უნიფიცირება. იმასაც უნდა გაესვას ხაზი, რომ, რა თქმა უნდა, თავდაპირველი ფორმა გვარსახელის დაწერისა „ს"-ანიანი ფორმა იყო, რომელიც მხოლოდ გვიან, თანდათან იქნა ხმარებიდან გამოდევნილი. გ.ხორნაული კი წერს, რომ „ივ.ჯავახიშვილის მიერ გამოქვეყნებულ XVIII ს-ის დემოგრაფიული დოკუმენტების კრებულში, სადაც დასახელებულნი არიან მეკომურეთა თავკაცები, არც ერთ მათგანს გვარი არა აქვს" (გვ. 84). როგორც ჩანს, ავტორს ზერელედაც არა აქვს ეს წიგნი წაკითხული და ფეოდალური საქართველოს არც ერთ სხვა აღწერის დავთარსა და სულთა მატიანეს არ იცნობს. გადავშალოთ ამ წიგნის 183-ე გვერდი, საიდანაც იწყება ქსნის ხეობის 1774 წ. მოსახლეობის აღწერა, რომელიც აღწერის შესანიშნავი ნიმუშია იმ თვალსაზრისით, რომ აქ პიროვნებები დასახელებული არიან გვარსახელით, მამის სახელით და სახელით. მოვიყვანოთ მაგალითები. ჭურთისხევს ილურთკარს 15 კომლი ილურიძე მკვიდრობდა: „ილურიძე ნიკოლოზის შვილი, თავი გ, მღვდელი გივი, კიკოლა და იოსებ"; „ილურიძე ბიბილას შვილი, თავი ა, გიორგი", „ილურიძე შიოს შვილი, თავი ბ, ტუხია და ბაცაცა", „ილურიძე შიოს შვილი, თავი ბ, ლომკაცი და ილური" და სხვ. ჭურთისხევს ბუჯიანთ კარს (გვ. 184): „ბუჯიძე გიორგის შვილი, თავი ა, ღვთისავარ", „ბუჯიძე ნადირის შვილი, თავი დ, ბერუა, ღ~თისია, პეტრე და მუსა". ჭურთისხევს დორეულთკარს: „დორეული ოქროპირის შვილი ნინია"; შველიეთს: „შერმადინი ქიტიას შვილი თადილა და ოთარა", „შერმადინი ქიტიას შვილი იმედა"; გავაზს: „ბუთხუზი ქოროღლის შვილი, თავი დ, მამუკა, ვეფხია, ბუთხუზი და ბერი" (გვ. 185); თინიკაანთკარს: „თინიკაანთ დათუნას შვილი, თავი ვ, გელა, გიორგი, ბერი, იმედა, ზურაბ და დათუნა" (გვ. 188); შატაკთ კარს: „შატაკანთ ბალიას შვილი წიკვლია" (გვ. 190); ჩიტიანთკარს: „ჩიტიანთ ბერის შვილი კაცია" (გვ. 190).

XVIII ს. პირველ მეოთხედში, თიანეთის სოფ. ჯიჯეთში ათი კომლი ჯანგირაშვილი მკვიდრობდა (გვ. 40). ოთხი კომლი ჯანგირაშვილი დუშეთის მახლობლად სოფ. არღუნშიც ცხოვრობდა (გვ. 133). ორივე სოფელში ჯანგირაშვილები დღესაც მოსახლეობენ. ვეკითხები ქართული გვარსახელების უარმყოფელ ავტორს: რა ნიშნით არ თვლით ჯანგირაშვილს გვარსახელად?

რადგან ზემოთ თიანეთის რეგიონი ვახსენეთ, აქვე ვიტყვით, რომ

დღევანდელი დაბა თიანეთის ახლოს იყო სოფელი **თანგანთკარი.** აშკარაა, რომ თანგანთკარში თანგიაშვილები მკვიდრობდნენ. დღეს ეს გვარი, რამდენადაც ვიცი, აღარ არღებობს. XVIII ს-ის დასაწყისის აღწერის დავთრით ამ სოფელში მხოლოდ ერთი ოჯახიღა ცხოვრობდა თანგიაშვილებისა. უმეტესობას თანგანთკარში ფშავ-ხევსურეთიდან მიგრირებული სხვადასხვა გვარები წარმოადგენდნენ. ერწოში იყო სოფელი **ბოროტაძეები.** XVIII ს-ის დასაწყისში ამ სოფელში აღარცერთი ბოროტაძე აღარ მკვიდრობდა. ისინი (აგრეთვე, თანგიაშვილები) კახეთში იყვნენ გადასახლებულნი. ამავე რეგიონიდან შეიძლება დავასახელოთ სოფელი **მაკუჭაძენი.** XVIII ს-ის პირველ მეოთხედში მასში ოთხი კომლი მაკუჭაძე კვლავ მკვიდრობდა. საუკუნის ბოლოს კი ყველა მაკუჭაძე ახმეტაში გადასახლდა. ეს ოიკონიმები 1722 წლის „ღმრთაების გუჯარშიცაა" ნახსენები (ქსძ, II, გვ. 366). ამავე რეგიონიდან „ღმრთაების გუჯარში" სხვა ოიკონიმებიცაა ფიქსირებული, რომლებიც გვარის სახელს ატარებდნენ: **ჯილაურნი** (თავის დროზე ჯილაურთა გვარით დასახლებული; ისინი XVIII ს-ის დასაწყისში უკვე გარე კახეთის სოფელ ბერთუბანში იყვნენ გადასახლებულნი); **დევენაანთკარი** (დღევანდელი დევენაანთხევი. XVIII ს-ის პირველ მეოთხედში ორი კომლი დევნაშვილი კვლავ მკვიდრობდა. უფრო ადრინდელი, XVII ს. II ნახევრის ერთი საბუთით კათალიკოსმა ღვთაების ტაძარს ერწოში განუახლა დევენაანთკარისა და იქ მოსახლე დევნაშვილთა წყალობა — პალ, II, გვ. 65); **ნადირაანთკარი** (დღევანდელი ხევსურთსოფელი; მკვიდრობდნენ ნადირაშვილები); **ბერაკაანთკარი** (მკვიდრობდნენ ბერაკაშვილები); **ჯოთენური** (ცხოვრობდნენ ჯოთენურები. 1584 წ. ერთი საბუთით ჯოთენურები ახმეტაში დიდი ხნის გადასახლებულები ჩანან); **ჩეკურნი** (დღევანდელი ჩეკურაანთგორი; ცხოვრობდნენ ჩეკურაშვილები). არაგვის ხეობის მთისწინა ზოლიდან: **ლაფანაანთკარი** (ლაფანაშვილების სოფელი. ლაფანაანთკარში ლაფანაშვილები 1460, XVI ს. II ნახევრის, 1660 და 1689 წლების საბუთებში არიან დასახელებულნი); **ბულაჩაური** (ბულაჩაურთა გვარის სოფელი). ერწო-თიანეთისა და მის მოსაზღვრე რეგიონებში ანთროპონიმული წარმოშობის ტოპონიმების, გვარსახელის მატარებელი სოფლის სახელების შესახებ მნიშვნელოვანი მასალაა მოყვანილი გ.ბედოშვილის წიგნში „ერწო-თიანეთის ტოპონიმია" (თბ., 1980). თითოეული ეს ანთროპოოიკონიმი შესწავლილია ქრონოლოგიურ ჭრილში და ნაჩვენებია, რომ მათი მნიშვნელოვანი რაოდენობა ფიქსირებულია ფეოდალური პერიოდის ქართულ საისტორიო საბუთებში, ე.ი. რამდენიმე საუკუნისანი არიან (იხ. აგრეთვე, რ.თოფჩიშვილი, აღმოსავლეთ საქართველოს მთიელთა მიგრაცია XVII-XX სს., თბ., 1984).

თითქმის მთელი საქართველო მოფენილი იყო გვარსახელური წარმოშობის ოიკონიმებით. ასეთ ტოპონიმებს ხომ მეცნიერები ანთროპოოიკონიმებს უწოდებენ. ამ საკითხს განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია ივანე ჯავახიშვილმა, რომელიც წერდა, რომ „...უძველეს ხანაში თავისდათავად, იბადება აზრი, რომ მოსახლეობაც საქართველოში გვაროვნებათა მიხედვით უნდა ყოფილიყო დაშენებული" (ივ.ჯავახიშვილი, თხზ., ტ. VI, თბ., 1982, გვ. 138). თუმცა ასეთმა ე.წ. მონოგენური დასახლების სოფლებმა ჩვენს დრომდეც მოაღწია. ქართულ მეცნიერებაში ისიცაა შენიშნული, რომ სვანეთში მონოგენური დასახლებების რღვევა საკმაოდ ადრე დაიწყო. მაგალითად, XIII ს-ის პირველ ნახევარში სვანეთის სოფელ სეტში ოთხ გვარზე ნაკლები არ ცხოვრობდა (ჯაფარიძე, სეტიელი, მუშკუდიანი, ხერგიანი) (იხ. რ.ხარაძე, ალ.რობაქიძე, სვანეთის სოფელი ძველად, თბ., 1964, გვ. 47-48). თავისთავად ცხადია, ეს სოციალური პროცესი ბარში ბევრად უფრო ადრე იყო განხორციელებული. მიუხედავად ამისა, როგორც ალვნიშნეთ, ერთი გვარით დასახლებული სოფლები (მითუმეტეს, გვარის სახელის მატარებელი ოიკონიმები) გვიან პერიოდამდე არაერთი შემოგვრჩა.

გვარით სახელდებული არაერთი სოფელი შეიძლება დავასახელოთ დღევანდელი და ისტორიული საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან. ჩვენ მხოლოდ ზოგიერთ მათგანს ჩამოვთვლით. 1781 წ. მთიულეთის აღწერიდან: **ბენიანთკარი, ბეგოთკარი, მიდელათკარი, სვიანანთკარი, ციხიანთკარი, შარუმიანთკარი, ზაქათკარი, კაიშაურთკარი, ჯალუშიანთკარი, სეთურთკარი, ჭიკათკარი, ამირთკარი, ქავთურთკარი**, რომლებშიც შესაბამისად ბენიაიძეები, ბეგოიძეები, მიდელაურები, სვიანაიძეები, ციხიშვილები-ციხიაურები, შარმაიძეები, ზაქაიძეები, კაიშაურები, ჯალმაიძეები, სეთურიძეები, ჭიკაიძეები, ამირიძეები და ქავთარაძეები მკვიდრობდნენ. აღნიშნული აღწერით სეთურთკარში 17 კომლი სეთურიძე მკვიდრობდა, ჭიკათკარში — 13 კომლი ჭიკაიძე, ამირთკარში — 15 კომლი ამირიძე. 1774 წლის აღწერით კი მთიულეთის სოფელ ქავთურთკარს და მის მეზობელ რამდენიმე სოფელში 40 კომლამდე ქავთარაძე მოსახლეობდა. ამით არ ამოიწურებოდა არაგვის ხეობაში ოიკონიმები, რომლებიც გვარის სახელს ატარებდნენ. რადგან გ.ხორნაული მთიულეთ-გუდამაყარს მეტ-ნაკლებად იცნობს და ამ რეგიონის ტოპონიმების სპეციალისტად ითვლება, მას კიდევ შევახსენებ რამდენიმე ანთროპოოიკონიმს 1774 წ. აღწერიდან: **როსტიანთკარი** (მოსახლეობდნენ როსტიანი), **დათვიანთკარი, ბექიანთკარი** (მემკვიდრეობდნენ ბექიაურები, ახლანდელი ბექიშვილები), **ყველანთკარი** (ყველაიძეები), **ნადიბანთკარი** (ნადიბაიძე), **ჩოქურნი** (ჩოქური), **კობი-**

ანთკარი (კობაიძე), ძმიანთკარი, ბატატიანთკარი; ხანდოში: ჯუხარაანთკარი, ვეშაგურთკარი, ჯირაურთკარი. ცოტა უფრო ქვემოთ, არაგვის ხეობის მთისწინა ზოლიდან, შეიძლება პავლეური დავასახელოთ, რომელიც თითქმის მთლიანად პავლეურებით იყო დასახლებული. ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ანთროპოოიკონიმი ძირითადად XVIII ს-ის დასაწყისით და შუა ხანებით თარიღდება. თუ ამით არ დაკმაყოფილდება გ.ხორნაული, შეიძლება მთიულეთის კიდევ ერთი სოფლის სახელი შევახსენოთ, რომელიც XVIII ს-ში უკვე ნასოფლარად იყო ქცეული და მისი მკვიდრნი ზემო მლეთაში და ქსნის ხეობის სოფელ ყანჩაეთში იყვნენ გადმოსახლებულნი. ლაპარაკია გაგაძეების საგვარეულო სოფელ გაგაძენზე. ზემო მლეთის ზევით, ალპურ ზონაში დღესაც ჩანს ეს ნასოფლარი. რაც ყველაზე მთავარია, ტოპონიმი „გაგაძენი" ნახსენებია XIV-XV სს. მიჯნის „ძეგლი ერისთავთა"-ში (ქსძ, II, გვ. 106). უფრო ადრინდელ, 1260/67 წლების დაწერილში დასავლეთ საქართველოში გვხვდება სოფელი „ჯიქეფონი". ს.ჯანაშია ამ ოიკონიმის შესახებ აღნიშნავდა: „მისი ქართული, წარმოების თვალსაზრისით, შესატყვისია ჯიქეთ-უბანი..." ჯიქეთუბანი, რომელიც დღეს ვაკე-იმერეთშია, XVI ს-ის საბუთშიცაა დასახელებული (პალ, II, გვ. 10). რა თქმა უნდა, ეს ტოპონიმი იმაზე მიუთითებს, რომ მასში გვარად ჯიქიები (თუ ჯიქიძეები) მკვიდრობდნენ.

ქსნის ხეობის სოფლებიდან დავასახელებთ **ილურთკარს** (1774 წ. 15 კომლი ილურიძე მკვიდრობდა), **ბუჯიანთკარი** (11 კომლი ბუჯიძე), **დორეულთკარი** (14 კომლი დორეული), **ქენქანთკარი** (34 კომლი ქენქაძე), **მიდელანთკარი** (11 კომლი მიდელაშვილი), **თინიკანთკარი** (17 კომლი თინიკაშვილი. ასეთი სახელწოდებით ნასოფლარი დასახელებულია ტანას ხეობაში 1695 წ. საბუთში — პალ, II, 596); **პავლიანთკარი** (10 ოჯახი პავლიაშვილი); **შატაკთკარი** (შატაკიშვილების სოფელი); **ჩიტიანთკარი** (ჩიტიშვილების სოფელი).

სამცხეში გვქონდა და არის სოფელი **მინაძე**, რომელიც თავის დროზე, მინაძეებით იყო დასახლებული. ქართლის სოფლებიდან: **სარმანიშვილის კარი, ზადიანთკარი, ბაჩანთკარი, ხადურიანთკარი, ყიფიანთკარი, ბარნაბიანთკარი, ელბაქიანთკარი, ინაური.** არაგვის ხეობის დაბლობის სოფლებიდან: **ზოტიკიანთკარი, ბიჩლინგაურთკარი, ქუბრიანთკარი, გრიგოლაანთკარი, კობიანთკარი, ჩრდილელიანთკარი, დუდაურთკარი, ინიანთკარი, პირმისაანთკარი, ბუჩანთკარი, ყარსიმაანთკარი, ბანცურთკარი, თანდილაანთკარი, კოტორაანთკარი, ნავდარაანთკარი.** XVI ს-ის საბუთით ქვემო ქართლში იყო სოფლები **ბუყღულეთი** და **აბრამეთი**, რომლებშიც შესაბამისად ბუყღულაშვილები და აბრამიძეები მო-

სახლეობდნენ. 1721 წ. აღწერით აბრამეთში სამი კომლი აბრამიძე კვლავ მკვიდრობდა (ე.თაყაიშვილი, მასალანი საქართველოს სტატისტიკურის აღწერილობისა მეთვრამეტე საუკუნეში, თბ., 1907, გვ. 75, 77).

ახლა იმერეთში გადავინაცვლოთ: **საკოპაძეო, დვალიშვილები, კიკნაველეთი, ღელაძისეული, მახარათუბანი, კენჭაშვილები, თაბაგრები, ნებიერეთი...** ამ უკანასკნელ სოფელში ნებიერიძეების მკვიდრობა დასტურდება 1628 წლის საბუთით (პალ, II, 560). მთიანი აჭარის ოიკონიმიიდან: **ვაშაყმაძეები, მახარაშვილები, მეკეიძეები, ხოზრევანიძეები, ხუციშვილები, შავაძეები, აბულაძეები, გობაძეები, მელაძეები, ცენტერაძეები, ირემაძეები, სტეფანაშვილები, ცინცხალაშვილები, ღორჯომელაძეები, მგელაძეები, ცივაძეები, ინწკირველები, ხაბელაშვილები, ლომსიანიძეები, გიორგაძეები, ხალვაშები...** სამეგრელოში გვარის სახელის მატარებელი ოიკონიმი ბევრი გვაქვს. მხოლოდ ზოგიერთ მათგანს ჩამოვთვლით: **სამიქავო, საკაჭარავო, საბოკუჩავო, საგვაზაო, საელიავო, ლეხაინდრავო, ლეძაძამე, საჩიქობაო, სახარბედიო, სალვამიჩაო, საქორქიო, საწულეისკირო, ლესიჭინე, ლეწურწუმე, ლეჯიქე...** აქ არ შეიძლება არ გავიხსენოთ პ.ცხადაიას ნაშრომი „ლე-ე და სა-|| სა-ო აფიქსების შემცველი ანთროპოტოპონიმები მთიან-სამეგრელოში" („ტოპონიმიკა", I, 1976, გვ. 352-396). საგულისხმოა, რომ მარტო მთიანი სამეგრელოს ტოპონიმიაში მეცნიერმა ათასამდე ანთროპოტოპონიმი დაითვალა. ავტორი წერს: „ამათგან ლე-ე აფიქსებით გაფორმებულია 450 სახელი (ე.ი. 45%). თითქმის ყველა შემთხვევაში ფუძე წარმოადგენს ადამიანის გვარს, რომელიც ზოგჯერ ფონეტიკურად არის სახეცვლილი" (გვ. 357). ისიც უაღრესად საყურადღებოა, რომ მთიან სამეგრელოში გვარის სახელით ნაწარმოები არა მარტო სოფლის სახელები გვაქვს, არამედ უბნის სახელწოდებებიც: „დამოწმებულ ტოპონიმთათვის ამოსავალია გვარი, რომელიც დამკვიდრებულია, ან იყო დამკვიდრებული დასახელებულ სოფელსა თუ უბანში" (გვ. 358). ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანი მასალაა მოყვანილი გ.ელიავას წიგნში „აბაშისა და გეგეჭკორის რაიონების ტოპონიმიკა", თბ., 1977. მაგალითად, სოფელ კინიის უბნები შემდეგ სახელწოდებებს ატარებენ: „ლემირცხვიე" (მირცხულავების უბანი), „ლეძაგანე" (ძაგანიების უბანი), „ლექუთელე" (ქუთელიების უბანი), „ლებარამე" (ბარამიების უბანი), „ლეკაკულე" (კაკულიების უბანი), „ლეწიფურე" (წიფურიების უბანი) — გვ. 153-155. აქვე იმასაც აღვნიშნავ, რომ სამეგრელოს ბევრი ანთროპოოიკონიმი საისტორიო საბუთებშიც არის შეტანილი. მაგალითად, 1642 წლის დოკუმენტით ლევან II დადიანმა მთაწმინდის ხარების ღმრთისმშობელს სოფელ

ლესარეში შესწირა ხჭაბაი სარია (პალ, II, გვ. 7). 1621 წლის საბუთში სამეგრელოში ფიქსირებულია სოფლები „საქუჩულორიო" და „ნაგვაზაუ" (ქსძ, III, გვ. 412, 413). ასეთი პრეფიქსიანი (ნა-) ოიკონიმები სამეგრელოში დღეს არაერთი გვაქვს. „ნაგვაზაუ" მიუთითებს იმაზე, რომ ადრე ამ სოფელში გვაზავები ცხოვრობდნენ, რომ ეს სოფელი ოდესღაც გვაზავებით იყო დასახლებული და სოფელს ეს სახელი შეერქვა მას შემდეგ, რაც გვაზავები აქედან აიყარნენ და სხვაგან გადასახლდნენ.

ქართულ მეცნიერებაში შენიშნულია, რომ ანთროპოტოპონიმების ამოსავალი ერთ შემთხვევაში თუ თვით ანთროპონიმია (გვარსახელია), როდესაც სიმონიშვილებით დასახლებულ სოფელს ჰქვია სიმონეთი, გვაზავებით დასახლებულს — საგვაზაო, ილურიძეებით დასახლებულს — ილურთკარი, ზარიძეებით დასახლებულს — ზარიძეები, მეორე შემთხვევაში ტოპონიმი (სოფლის სახელი) თვით ხდება ამოსავალი ანთროპონიმის (გვარსახელის) საწარმოებლად. ასეა მიღებული ოიკონიმ ყანჩაეთიდან გვარსახელი ყანჩაველი, ჩოხიდან — ჩოხელი, ლიჩიდან — ლიჩელი და სხვ. (იხ. ბ.ჯორბენაძე, ტოპონიმთა კლასიფიკაციისათვის, იკე, ტ. XXV, თბ., 1986, გვ. 20-21, 28-30. სხვათა შორის, ეს მნიშვნელოვანი ნაშრომი გ.ხორნაულს სადოქტორო დისერტაციის — „ქართული ონომასტიკის საკითხები" — გამოყენებული ლიტერატურის სიაშიც კი არა აქვს შეტანილი).

ორიოდე სიტყვით უნდა შევჩერდეთ შიდა ქართლის კიდევ ერთი სოფლის სახელზე — „ჩოჩეთი". ეს სოფელი პირველად 1031-1033 წლების მელქისედეკ კათალიკოსის მოსახსენებელში არის მოხსენიებული (ქისკ, I, თბ., 1984, გვ. 26). რა თქმა უნდა, სოფლის სახელი იმაზე მიუთითებს, რომ მასში ჩოჩიშვილების გვარისანი მკვიდრობდნენ, რომლებიც შემდეგ შიდა ქართლის მთიან მხარეში — დვალეთში ასახლებულან და რომლებიც მოგვიანო პერიოდში აქ ოსთა მიგრაციის შემდეგ გაოსებულან. მათი განაყრები ხევში XVIII ს-ში ჩოჩოურის გვარს ატარებდნენ.

ამრიგად, ქართულ ტოპონიმიაში ასახულია დასახლების ტიპიც, რომელიც საქართველოში საუკუნეების წინ იყო ჩამოყალიბებული. იმედია, ონომასტიკოსი გ.ხორნაული იმის მტკიცებას არ დაგვიწყებს, რომ დასახლების ტიპიც რუსების რომელიღაც „უკაზითაა" შექმნილი.

მნიშვნელოვანია, რომ გვარსახელის მატარებელი ტოპონიმებით მოფენილი იყო სამხრეთ-დასავლეთი საქართველო. 1886 წ. ართვინის მხარე რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შედიოდა და 1886 წ. აღწერა აქაც ჩატარდა. საყურადღებოა, რომ ქართველი მაჰმადიანებით დასახლებული ეს მხარე, სადაც გვარები უკვე აღარავის

სჭირდებოდა, კვლავ ინარჩუნებდა ქართული გვარებისაგან ნაწარმოებ სოფლის სახელებს. ამ სოფლებში ხომ ბევრნი ამ გვარისანი აღარც ცხოვრობდნენ, ანდა გვარს ფუნქცია აღარ ჰქონდა. ყოველივე ეს ხომ იმაზე მიუთითებს, რომ თურქთაგან დაპყრობამდე და გამაჰმადიანებამდე აქაურ ქართველებში გვარსახელები დიდი ხნის წარმოქმნილი იყო. აი, ისინი: **მახლუძე, დეპანიძე, თურმანიძე, ტოკაძე, გელსაძე, გოგებიძე, გოგელიძე, გოგიანიძე, პოპაძე, ურუმიძე, არუშიძე, კატაკიძე** (ალბათ, ქადაგიძე — რ.თ.), **ნიკობაძე, დუღაბიძე, ლახურიძე, ხილვაძე, გურვაძე, კოპაძე, ხილაძე, არემაძე, ფუტკარაძე, თულაძე, ჯარბიძე, ჩიკორიძე, დავითიძელარ, გორგაძელარ, აბნაძე, ზიალიძე, კოკლიძე, კუმაშიძე, მაჩხატიძე, ნიოლიძე, ლიონიძე, შუბლაძე, ჩხაპიძე...**

ვფიქრობთ, ამ მრავალრიცხოვანი ანთროპოიკონიმების მოტანა საკმარისია იმის ნათელსაყოფად, რომ ქართველებს გვარები რუსთა შემოსვლამდე დიდი ხნით ადრე გვქონდა.

ამ მხრივ ფრიად მნიშვნელოვანია ის მასალები, რომელიც თავის წიგნში აქვს მოყვანილი გ.ბოჭორიძეს („მოგზაურობა სამცხე-ჯავახეთში", თბ., 1992). წიგნში საყურადღებო მასალაა მოცემული სამცხე-ჯავახეთის არა მარტო ისტორიული გეოგრაფიისა და ტოპონიმიკის, არამედ ანთროპონიმების შესახებაც. თითოეული წარწერა, რომელიც გ.ბოჭორიძემ გადმოიღო, მნიშვნელოვანია იმ მხრივაც, რომ მათში გვხვდება ქართული გვარსახელები და სახელები. ერთ-ერთ წარწერაში იკითხება: „ქრისტე, ორბიძეს ნიკოლოზს გალატოზთ უხუცესს შეუნდვენ ღმერთმან, ამინ" (გვ. 26). ეპიგრაფიკული ძეგლის სხვა მაგალითი: „ქ., მე თოჯაძემან ზაალ აღვაშენე..." (გვ. 37). ზარზმის ეკლესიის წარწერიდან: „ქ. ამისა აღმაშენებელსა წინამძღვარსა **ხურციძესა** გაბრიელს შეუნდვენ ღმერთმან" (გვ. 146). „ქრისტე, ვარძიისა ღმრთისმშობელო, შემიწყალე მე წინაშე ძისა შენისა ფრიად ცოდვილი ბლორძელი ბრ~" (გვ. 199). ზედა თმოგვის ეკლესიის წარწერიდან: „ქრისტე, შეიწყალე სული ფარსმან ერისთავთ-ერისთავისაჲ იოვანეს ძისაჲ ჭიმჭიმელისაჲ" (გვ. 215). ამ შემთხვევაში ერისთავთ-ერისთავის სახელია ფარსმან, მამის სახელი — იოვანე და გვარსახელი — ჭიმჭიმელი. საყურადღებოა, რომ ყველა ეს წარწერა სამცხის ეკლესიებზე ასომთავრულით და ზოგჯერ ხუცურითაც არის შესრულებული. გ.ბოჭორიძის წიგნი იმ მხრივაცაა საყურადღებო, რომ ავტორმა ჩაიწერა და დააფიქსირა არა მარტო ქართველ მართლმადიდებელთა და ქართველ კათოლიკეთა გვარსახელები, არამედ ქართველ მაჰმადიანთა გვარებიც. მიუხედავად იმისა, რომ ქართველ მაჰმადიანებში გვარსახელს ფუნქცია აღარ ჰქონდა, ყველა მათგანს კარგად ახსოვდა თავისი გვარი, შორეული წინაპრი-

საგან თაობიდან თაობას გადმოცემული. ვიმეორებთ, ამ მხრივ წიგნში ზღვა მასალაა მოტანილი. ეს, რა თქმა უნდა, იმაზე მიუთითებს, რომ ქართველებს მაჰმადიანობის მიღებამდე დიდი ხნით ადრე გვარსახელები ჰქონდათ და მაჰმადიანურ სარწმუნოებაზე გადასვლამაც ვერ ამოაგდო ისინი, იმდენად ძლიერი იყო ქართველ ხალხში მემკვიდრეობითი სახელის (გვარსახელის) ტრადიცია. გ.ბოჭორიძეს რამდენიმე ასეული გვარი აქვს მოყვანილი თავის წიგნში. ჩვენ მხოლოდ რამდენიმე მათგანს ჩამოვთვლით: ოქროპირიძე, შარავანდიძე, გოჩიაძე, მახარაძე, ონიაძე, ჭეჭელაძე, ღონიაძე, თეთრაძე, ხუციშვილი, ტატაძე (ტატიშვილი), კუჭიაძე, ისპირიანი, თამაზიანი, პანაკიანი, ხმალაძე, გვარამაძე, ტუღუშაძე, კოტაძე, ყაყუნაშვილი, ნადირაძე, გოგალაძე, კაპანაძე, ზურაბაძე, ჩიტაძე, ბიბინაშვილი, დადაძე, ტოტორაძე, გორგაძე (იმერელი გორგაძეები აქედან, ჯაყისმანიდან გადასახლებულან), ბარათაშვილი, ავალიშვილი, კანჭაძე (იგივე კანჭათი), ბერიძე, აბულაძე, პეტაშვილი (პეტათი), ელაშვილი (ელათი), ბაქრაძე, კანჩაძე, კიკნაძე, ვარდიძე, ცენტერაძე, ლორთქიფანიძე, კოკობაშვილი, მუსხელიშვილი (ბეგი), კოტეტიშვილი, მაისურაძე, ბოლქვაძე... ასპინძაში გ.ბოჭორიძისათვის უთქვამთ: „ერთმა ბერმა კაცმა მითხრა: ზუბალა არის ჩემი გვარიო" (გვ. 18). ბოლოს ერთ ციტატას მოვიყვან ნ.მარის ნაშრომიდან: „В Дабацврили (სოფელი დღევანდელი თურქეთის ტერიტორიაზე — რ.თ.) имеются фамилии Гопадзе и Халадзе. Местные по грузинской фамилии себя не называют. Только когда спросите, они сообщают свою грузинскую фамилию" (Н.Я. Марр, Дневник поездки в Шавшетию и Кларджетию, С.-П., 1911, с. 5. იხ. აგრეთვე, 25, 26, 31-32, 36).

სრული გაუგებრობაა გ.ხორნაულის მსჯელობა, რომ XVI ს-თვის თავადაზნაურებში გვარების წარმოქმნა მოხდა კანტი-კუნტადო. ორიოდე მაგალითი: აზნაური გარაყანიძეები რაჭიდან წარმომავლობენ და განსახლებულნი იყვნენ აღმოსავლეთ საქართველოშიც. ეს აზნაურული გვარი პირველად 1260/67 წლების საბუთშია დასახელებული (პალ, I, 602). აქედან მოყოლებული ეს გვარი თითქმის ყველა საუკუნის საბუთებში რამდენიმეჯერაა შეტანილი. გარაყანიძეების გვარს ქართლში სოფელიც ჰქონდათ დაფუძნებული. სამთავისის სამწყსოს დრამისა და შესავლის წიგნის (XV ს.) XVII ს-ის დანართში დასახელებულია სოფელი „გარეყანთუბანი" (ქსძ, III, 205). შედარებით გვიან წარმოიქმნა ბარათაშვილების გვარი, რომელთა წინაგვარიც, როგორც ცნობილია, ქაჩიბაძე იყო. ბარათაშვილის გვარი პირველად 1484 წ. საბუთში გვხვდება (პალ, I, 391). გვიანფეოდალურ პერიოდში ბარათაშვილების გვარს ათამდე სხვადასხვა გვარი გამოეყო (ორბელიშვილი — იგივე ორბელიანი, ყაფლანიშვილი, აბაშიშვი-

ლი, გოსტაშაბიშვილი, გერმანოზიშვილი...). იქნებ ბარათაშვილთა გვარიდან სხვადასხვა შტო-ნაყარი გვარების წარმოქმნაც რაიმე მოდასთან იყო დაკავშირებული? არა, ახალი გვარსახელების წარმოქმნას, როგორც თავადაზნაურთა, ისე გლეხთა შორის, ღრმა სოციალური მიზეზები განაპირობებდა.

გ.ხორნაული გვმოძღვრავს, რომ „ამ პერიოდში (გულისხმობს XVIII საუკუნეს, რ.თ.) არამც თუ „მდაბიოთ", თავადსაც ბევრს ჯერ კიდევ არა ჰქონდა გვარი" (გვ. 84), რის დასადასტურებლადაც ვახუშტი ბაგრატიონს იხმობს, მოაქვს რა ციტატა მისი ნაშრომიდან, რომელსაც საკუთარ, მისთვის სასურველ, ინტერპრეტაციას აძლევს. ვახუშტი ჩამოგვითვლის ქართველ მთავართა ძველ გვარებს. ჩამოთვლილი აქვს 35 ასეთი გვარი და ამბობს „სხვანი მრავალნიო". გ.ხორნაული ხელოვნურად წყვეტს ვახუშტის აზრს და წერს, რომ სხვა მრავალთ გვარები არა ჰქონდათო. სინამდვილეში მეცნიერი, რამდენიმე მთავართა შესახებ, რომლებიც ერისთავობით იხსენიებიან (ქართლის ერისთავი, სურამელი, ხორნაბუჯის ერისთავი, კალმახის ერისთავი, მაჭის ერისთავი, პანკისის ერისთავი, სამცხეს გუზანის ერისთავი, წუნის ერისთავი) ამბობს, რომ მათი გვარები ჩვენთვის ცნობილი არააო. სხვას არაფერს ნიშნავს მისი სიტყვები: „რომელნი ერისთობით იწერვიან და გუარნი არა წარიწერებიან ცხადად საცნობელად" (ქც, IV, გვ. 28). ვახუშტი შემდეგ აგრძელებს, რომ თავდაპირველად ასევე გვარი არ იყო დადიანი. ის სამეფო სამოხელეო თანამდებობა იყოო.

განსახილველი სტატიის ავტორი, აქედან გამომდინარე, ასკვნის, რომ „როგორც ვხედავთ, **ვახუშტი ბატონიშვილი მძიმე დღეში ვარდება** (sic — რ.თ.) იმის გამო, ვისაც გვარი არა ჰქონდა ჯერ გაფორმებული და იმასღა წერს, გვარს არ მოიხსენებენ, ზოგი უბრალოდ ერისთავად მოიხსენიება, ზოგი სხვა თანამდებობითო. ხაზგასმით ამბობს, დადიანიც არ არის გვარი, არამედ თანამდებობაო. **ვახუშტი ბატონიშვილი (ბაგრატიონი) თავისი სამეფო დინასტიის სიძველისდამიხედვით და რუსეთში უკვე გვარიანი თავადების მიხედვით, რასაც ის იქ ხედავდა თავისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის დროს ვერ დაუშვებდა, რომ ქართველ თავადებსაც გვარები არა ჰქონდა**" (გვ. 85). მეცნიერებაში მკრეხელობის სხვა მსგავსი ფაქტის მოყვანა წარმოუდგენელია. ჯერ ერთი, გ.ხორნაულის მიერ მოყვანილ ციტატაში სულაც არაა საუბარი თავადების შესახებ. ვახუშტი მხოლოდ ქართველ მთავართა გვარების შესახებ საუბრობს. თავადობის სოციალური ინსტიტუტი კი შედარებით გვიან წარმოქმნილი მოვლენაა (XV ს.). თუ ისტორიამ არ იცის უბრალოდ ადრეფეოდალური პერიოდის ზოგიერთი რეგიონის ერისთავის გვარი, ეს იმას

დალური პერიოდის ზოგიერთი რეგიონის ერისთავის გვარი, ეს იმას არ ნიშნავს, რომ მათ გვარები არა ჰქონდათ. მაშინ ერისთავად ხან ერთი და ხან მეორე გვარის წარმომადგენელი შეიძლება მჯდარიყო. მაგალითად, „ქართლის ცხოვრების" მიხედვით, ცნობილია არტანუჯის ერისთავი გვარად აბუსერიძე (ქც, I, გვ. 293, 300, 302), ქართლის, — არჩილის დროს, — ადარნასე ადარნასიანი (ქც, I, გვ. 242), თუხარისის ერისთავი — ბეშქენ ჯაყელი (ბაგრატ გიორგის ძის მეფობის დროს) — (ქც, I, გვ. 298), ოძრხის ერისთავი — ბივრიტიანი (ქც, I, გვ. 185, 189, 200, 204), ჰერეთის ერისთავნი — კოლონკელისძენი (ქც, II, გვ. ), ხორნაბუჯის ერისთავნი — მახატლისძეები (ქც, II, გვ. 55, 130). 27-ე-28-ე გვერდების იქითაც რომ გაეხედა გ.ხორნაულს, 33-37-ე გვერდებზე, ნახავდა: ვახუშტი ბაგრატიონი საკმაოდ ვრცლად მიმოიხილავს ქართველ თავადთა გვარების ისტორიას, საქართველოს პროვინციების მიხედვით. ცნობილია, რომ საქართველოში ბევრი სამოხელეო თანამდებობა, დროთა განმავლობაში (გვიან ფეოდალურ პერიოდში), გვარსახელად იქცა. ასე იქცნენ გვარებად ერისთავი, ამილახვარი, ამირეჯიბი...

ვრცლად შევჩერდებით დადიანზე. დადიანი პირველად ნამდვილად გვარი იყო. შემდეგ ეს გვარი სამოხელეო თანამდებობად იქცა. ეს ყველა ისტორიკოსისათვის ცნობილია. დადიანის გვარის თანამდებობად გადაქცევის შემდეგ ოდიშის მთავარ დადიანთა თავდაპირველი გვარი ლიპარტიანი იყო, გვიანდელი დადიანებისა — ჩიქოვანი. ნ.ბერძენიშვილმა გაარკვია, რომ „დადიანი" თავდაპირველად მართლაც გვარი იყო და შემდეგ მოხდა ამ საგვარეულო სახელწოდების თანამდებობის სახელად გარდაქმნა. ნ.ბერძენიშვილი წერდა: „...გვიან ხანაში (ვთქვათ, ლევან II დადიანი ან სხვა რომელიმე) ტერმინი დადიანი უკვე „საგვარეულო სახელწოდება" აღარაა ისევე, მაგალითად, როგორც არაა „საგვარეულო სახელწოდება" „გურიელი" ან „შარვაშიძე". ყველა ესენი ამ გვიან ხანაში მხოლოდ პოლიტიკური შინაარსის ტერმინებია, თანამდებობის („მთავრის") აღმნიშვნელია. ამიტომაც იყო შესაძლებელი, მაგალითად, რომ ზოგიერთი „გურიელი" „დადიანიც" იყო და პირუკუ (=„დადიან"- „გურიელი"), როცა ესა თუ ის გურიელი ოდიშსაც ფლობდა, ანდა როცა ესა თუ ის დადიანი გურიასაც იჭერდა" (ნ.ბერძენიშვილი, სის, I, გვ. 339). ჩვენი მხრით შეიძლება დავუმატოთ იერუსალიმის ჯვრის მონასტრის ალაპებში მოხსენიებული „ლომა დადიანი-გურიელი" (XIV ს. პირველი ნახევარი) — იხ. ე.მეტრეველი, გვ. 153). ნ.ბერძენიშვილისავე დასკვნით, „დადიანის საგვარეულო სახელწოდებას" საფუძვლად უდევს მამაკაცის საკუთარი სახელი „დად" (გვ. 140-141), რომელიც საშუალო საუკუნეების სვანეთში გავრცელებული სახელი იყო. XIII-XIV სს.

სვანეთში დადისძეების (დადის შვილთა) გვარიც მკვიდრობდა. იმავე სვანეთის XIV ს. მეორე ნახევრის სულთა მოსახსენიებელში ჩაწერილია „ერისთავთ-ერისთავი გიორგი დადიანი" (პ.ინგოროყვა, გვ. 157). ამ შემთხვევაში, რა თქმა უნდა, „ერისთავ-ერისთავი" თანამდებობაა გიორგისა, რომლის გვარიც იყო დადიანი. ჯვრის მონასტრის ალაპებში იკითხება: „ალაპი და პანაშვიდი ერისთავისა შერგილ დადიანისა" (XIII ს.). „ალაპი და პანაშვიდი ერისთავ-ერისთავის გიორგი დადიანისა", რომელიც 1348 წელს გარდაცვლილა (ე.მეტრეველი, გვ. 145, 146). როგორც ჩანს, საჭიროა კიდევ ერთხელ დავესესხოთ ნ.ბერძენიშვილს და კიდევ ერთი ციტირება მოვახდინოთ: „ორბელიანი (საერთოდ გულისხმობს -იან(-ან) ფინალიან გვარებს — რ.თ.) იმის მოწმობაა, რომ „საგვარეულო სახელწოდება" სხვაგანაც საქართველოში, ისევე როგორც სვანეთში და სამეგრელოში, ადამიანის საკუთარ სახელთან დაკავშირებით, გვარის სახლის მეთაურის სახელთან დაკავშირებით იწარმოებოდა და ამ პირის მიკუთვნებას აღნიშნავდა ხსენებული კრებულისადმი" (გვ. 341). ბარემ აქვე ვიტყვით, რომ ქართულ საისტორიო საბუთებზე და წერილობით ძეგლებზე დაკვირვება გვაძლევს დასკვნის საშუალებას, რომ ქართული გვარსახელების მაწარმოებელი თავდაპირველი სუფიქსი -იან(-ან) იყო -ეთ, -ურ(-ულ) და -ელ სუფიქსებთან ერთად. პირველი სამი სუფიქსით იწარმოებოდა გვარები, რომლებსაც საფუძვლად მამაკაცის სახელები ედოთ, მეოთხე სუფიქსით — ტოპონიმისმიერი გვარსახელები. პირველ ეტაპზე -ძე ფორმანტს (შემდეგ -შვილს) მხოლოდ მამისძეობის (მამისშვილობის) მწარმოებლის ფუნქცია ჰქონდა და მხოლოდ შემდეგ, როდესაც -იან(-ან), -ეთ, -ურ სუფიქსიანი გვარებიდან ახალი გვარები გამოიყო, სხვანაირად რომ ვთქვათ, აღნიშნული ფინალიანი გვარების მამისშვილობები იურიდიულად ახალ გვარებად რომ გაფორმდნენ, ჯერ -ძე და შემდეგ -შვილი სუფიქსებმა თანდათან ქართული გვარსახელის მწარმოებლის ფუნქცია იკისრეს, ადრე არსებულ სხვა (ზემოთ დასახელებულ) სუფიქსებთან ერთად. ამ დასკვნის საშუალებას გვაძლევს ქართული ეთნოგრაფიული მონაცემების გააზრებაც.

ამ ვრცელი ექსკურსის შემდეგ გავაგრძელოთ. ქსნის ერისთავების გვარი ქვენიფნეველი იყო, რომლებიც აქ დამკვიდრებამდე ბიბილურის გვარს ატარებდნენ. არაგვის ერისთავები თავდაპირველად (XIII ს-დან XVI ს-მდე) შაბურისძეები იყვნენ, რომლებიც მემკვიდრეობით ფლობდნენ ამ სახელოს. XVI ს-დან არაგვის ერისთავობა სიდამონიძეების ხელში გადავიდა. X ს-დან მოყოლებული რამდენიმე საგვარეულო ფლობდა რაჭის ერისთავთა სახელოს: ბაღვაშები, ბაღვაშთა გვარიდან შტონაყარი გვარი — კახაბერისძეები, ჭარელიძეები

(XIV ს-ში), ჩხეტიძეები (1488 წლიდან). ერისთავი გვარად შედარებით გვიან იქცა. ერისთავის გვარს (თუ წოდებას) მხოლოდ ერთი — ერისთავი ატარებდა, დანარჩენები, მისი სახლიკაცები და შვილები ერისთავისშვილებად იწერებოდნენ (და იწოდებოდნენ). 1783 წლის ქართლ-კახეთის თავადებისა და აზნაურების ნუსხაში შემთხვევით კი არ წერია „თავადი ერისთვისშვილი ერისთავი" (ქსძ, II, 483). იგივე შეიძლება ითქვას ამილახორ-ამილახორიშვილებზე (ძირი-გვარი ზედგენიძე), ამირეჯიბ-ამირეჯიბიშვილებზე (ძირი-გვარი ჩიჯავაძე) და სხვ.

ასევე აგდებით ეკიდება გ.ხორნაული იოვანე ბაგრატიონის ნაშრომს, რომელიც, თურმე, აკვიატებული რწმენის ნაყოფი ყოფილა.

„რუსეთთან შეერთების შემდეგ (1801 წლიდან), როცა ყველაფერი რუსულ კანონებს დაუქვემდებარეს, გვარი, ჩანს, აუცილებლად გამოცხადდა" (გვ. 85). ჯერ ერთი, საქართველო რუსეთს არ შეერთებია. ის რუსეთმა დაიპყრო და არც რუსულ კანონებს დაუქვემდებარებია გვარსახელი საქართველოში. გ.ხორნაული განაგრძობს: „გვარი აუცილებელი იყო დაბალი ფენის წარმომადგენლებისთვისაც" (გვ. 86).

ზემოთ მოყვანილი გვქონდა რამდენიმე ციტატა XI-XIII სს-ის საქართველოში გვარსახელების შესახებ. ყველა ქართული საისტორიო წყარო, საბუთი, ეთნოგრაფიული მონაცემი მიუთითებს, რომ ქართველ ხალხს გვარსახელები ოდითგანვე ჰქონდა. თავი რომ დავანებოთ დღეს უკვე გამოქვეყნებულ მოსახლეობის აღწერის მასალებს XVII-XVIII საუკუნეებისა, რომლებშიც გვარსახელებია ფიქსირებული და ეს გვარები იმავე სოფლებში მკვიდრობენ, როგორც აღწერის დავთრებშია შეტანილი, შეიძლება დავასახელოთ არა ერთი ქართული საისტორიო საბუთი. გვარსახელია ფიქსირებული IX ს-ის მეორე ნახევრით დათარიღებულ, ჩვენამდე მოღწეულ პირველ ქართულ წერილობით ძეგლში: „დაწერილი ფავნელისა მღვიმისადმი" (ქისკ, I, გვ. 17-19). საბუთში ვკითხულობთ: „მას ჟამსა, ოდეს ბარდავს შევიბენით, ერთი ლომისა მსგავსი ფავნელი მკვდარი დარჩა და ერთი ცოცხალი. ესე უარესი წამეკიდა: ერთი უხუცესი შვილი ქავთარ შინა შამიკუდა. ვთხოვენ ჩემნი მკუიდრნი მამული მეფესა და მიბოძა, რომე ტყუენი დავიჴსნე და მკუდრისა სული ვაურვო. ვთხოვენ ოთხი სოფელი ცხევერეთი, გუელდისითურთ, გავაზნელნი კოტმითურთ, ქუემო გუელდეს ორი გლეხი: შულლიასძე და ტარიკასძე" (ქისკ, I, 17-18). აზრი ნათელია. ტექსტიდან ჩანს, რომ ფავნელის გვარის წარმომადგენელს ორი ვაჟიდან ერთი ბარდავის ბრძოლაში დაღუპვია, მეორე ცოცხალი გადარჩენილა. მაგრამ ფავნელს უარესი წაკიდებია: უფროსი შვილი, სახელად ქავთარი, შინ მოჰკვ-

დომია. ფავნელს მეფისათვის უთხოვია, მათი კუთვნილი მამული — ოთხი სოფელი მეფეს კვლავ ებოძებინა, რათა ტყვეები დავიხსნა და მკვდრის სული ვაურვოო. მეფეს ფავნელისათვის უბოძებია აგრეთვე სოფელ ქუემო გუელდეს ორი გლეხი: შულლიასძე და ტარიკასძე. საბუთიდან აშკარაა, შულლიასძე და ტარიკასძე გვარსახელებია. შეიძლება შემოგვედავონ, რომ შულლიასძე და ტარიკასძე გვარსახელები არ არის, საქართველოში ასეთი ფორმის -ძე სუფიქსიანი სახელებიც იყო გავრცელებულიო (მაგალითად, ხევსურეთში: ბერიძე, ნანაიძე, თამარიძე...). ამ შემთხვევაში კომლის მხოლოდ მამაკაცის სახელით მოხსენიება გამორიცხულია, რადგან საბუთში ლაპარაკია გლეხის ორ კომლზე, რომელსაც მემკვიდრეობა ჰქონდა მიწაზე და ფეოდალ ფავნელთა საგვარეულოსათვის საჭირო იყო მის გლეხებსაც მემკვიდრეობითი სახელი (გვარსახელი) ჰქონოდათ. ასეთ შემთხვევაში, ფავნელთა შემდეგი თაობებიც ადვილად დაასაბუთებდნენ ტარიკასძეთა და შულლიასძეთა მათდამი კუთვნილებას. მეორე, არცთუ ისე გავრცელებული იყო -ძე სუფიქსიანი სახელები, რომ ორი გლეხიდან ორივეს ასეთი სახელი ეტარებინა. არც იმის თქმა შეიძლება, თითქოს საბუთში გლეხები მამის სახელით არიან მოხსენიებული. არც ერთი ქართული დოკუმენტი არ იცნობს პიროვნების (თანაც საგლეხო კომლის) მოხსენიებას მხოლოდ მამის სახელით. ასე რომ, ჩვენ საქმე გვაქვს, IX ს-ში ტიპიურ მემკვიდრეობით სახელებთან (გვარსახელებთან), რომლებიც მემკვიდრეობით გადადიოდა მამიდან შვილზე.

არაერთი გვარსახელია დასახელებული 1071/80 წლების საბუთში „დაწერილი ნიკოლაოს წმინდისა წინამძღვრისა" (ქისკ, I, 39-44). მასში გვხვდება გვარები: ლიპარიტისძე, წირქუალელისძე, დებორიანისძე, კასალისძე, ჯინჭარაისძე, ჯიჯონიძე, წორბელი, აბულათაისძე, კეპოისძე, აქშემოისძე, ქველაისძე, შუბავთი, რუსისძე, ცისკარაისძე, ჴკდილიანი, ნერჩელი, კლარჯეთი, სგოჯაისძე, ოტაბოისძე, კოროფხიშვილი, ეფრემისძე, ჭარტლისძე, სქელაეთი, კვიკაისძე, ფარსმანისძე, გუნაფაისძე, ზოსქელელი...

1104-1118 წლების „სიგელი დავით მეფისა ნიანია ნიანისძისადმი" (გვ. 50-51): „ანცა მოვიდა ჩუენ წინაშე არიშიანი და გუეჰაჯა, რაითამცა გაუშუით და გავათავისუფლეთ ნიანია, გრიგოლ მაოჴრებლისა შვილი, მისითა მამულითა ვეძისჴევითა.

დაგუაჯერა ღმერთმან და ვისმინეთ მოჴსენებაი და ჰაჯაი არიშიანისი და გაუშუით ნიანია ნიანიასძე, გრიგოლ მაოჴრებლისა შვილი, მისითა მამულითა ვეძისჴევითა..." საბუთიდან აშკარაა, რომ ნიანია გვარად არის ნიანიასძე, რომლის მამასაც ერქვა გრიგოლი და ჰქონდა ზედწოდება (მეტსახელი) „მაოხრებელი". ასე რომ, აღნიშნულ სა-

ბუთში პიროვნება მოხსენიებულია სახელით, მამის სახელითა და გვარსახელით. არიშიანი კი, როგორც ცნობილია, XI-XII სს-ში ჰერეთის დიდებულ აზნაურთა გვარი იყო.

1170 წლის სიგელში გიორგი მეფისა მღვიმისადმი გვხვდება გვარი -ეთ სუფიქსით (ლიპარიტეთი) — ქისკ, I, 68. „ლიპარიტეთის" მსგავსი გვარების შესახებ ქართულ ისტორიოგრაფიაში მნიშვნელოვანი გამოკვლევა გაგვაჩნია (იხ. ვ.დონდუა, „ლიპარიტეთისა" და ანალოგიური გვარსახელებისათვის ქართულ ისტორიულ წყაროებში — „საისტორიო ძიებანი", I, 1967, გვ. 101-140). სხვათა შორის, ამ ნაშრომში ვ.დონდუა წერს: „ეს სათაური გულისხმობს ერთ წყებას გვარების მნიშვნელ სახელებისას, რომლებიც ჩარჩენილია XI-XII-XIII საუკუნეთა ძეგლებში დამახასიათებელი -ეთ სუფიქსით..." დავსძენთ, რომ ვ.დონდუას -ეთ სუფიქსიანი მხოლოდ რამდენიმე მაგალითი აქვს მოტანილი. მას შემდეგ კი არაერთი ქართული საისტორიო საბუთი გამოვლინდა, რომლებშიც გვარსახელები აღნიშნული სუფიქსით არის გაფორმებული. ამ თვალსაზრისით ტბეთის სულთა მატიანისა და იერუსალიმის ჯვრის მონასტრის აღაპების დასახელებაც იკმარებდა. ქართული გვარსახელები დიდი ხნის წარმოქმნილად მიაჩნდათ ივ.ჯავახიშვილს, ს.ჯანაშიას და ნ.ბერძენიშვილს. ეს უკანასკნელი მცირე მოცულობის ნაშრომში „გურიის ისტორიულ-გეოგრაფიული შესწავლისათვის" წერდა: „ქვეყნის თავგადასავლის არანაკლები სიძველის მაჩვენებელია მხარეში უხვად დაცული საგეოგრაფიო სახელები და **ადამიანთა ძველი გვარსახელები** (ხაზგასმა ჩვენია — რ.თ.). საჭიროა მათი ზედმიწევნით შეგროვება, დახარისხება, მკაცრი სამეცნიერო ხერხებით გაანალიზება და ჩვენ მოვიპოვებთ არაერთ ძვირფას ცნობას ამ მხარის სამეურნეო ეკონომიურის თუ პოლიტიკურ-კულტურული და ეთნიკური წარსულის შესახებ. კერძოდ, ერთხელ კიდევ უეჭველობით დავიდასტურებდით ამ მხარეში ზანურს (და შეიძლება, კიდევ უფრო ადრინდელ) სუბსტრატს, რომელზედაც გარკვეულ დროს გაიშალა სხვა მოძმე ქართველური ტომი, შევიცნობდით აწინდელი გურულის რთულ ეთნიკურ შედგენილობას" (სის, V, 65).

1200 წლის „დაწერილში მღვიმის კრებულისა, ზოსიმესადმი" გვხვდება გვარები: კვირიკაისძე, გარისელაისძე, ივანბერი წუერგრძელიძე, სტეფანეთი (სტეფანესძე), როსტომისძე, მჭედლისძე, ბასილ თავაური, ბრუკაული ნიკოლაოზ.

1200 წ. საბუთში: „ესე დაწერილი დაგიწერეთ ჩუენ, ჴარაისძეთა **კუირიკე და ბასილმან შენ, გიორგი მუშერისძესა"**. ეს საბუთი სხვა მხრივაცაა მნიშვნელოვანი. მასში უშუალოდ საუბარია იმაზეც, რომ ჴარაისძე გვარია: „აწ დღეისითგან წალმართ არავინ იყოს ჩუენისა

გუარისა, არცა ჩუენ, კუირიკე და ბასილი და არცა ჩუენნი შვილნი და მომავალნი ამის სახლისანი. და ვინცა, რამანცა გუარმან ჩუენმან დღისით გთხოვოს და ანუ გერჩოდეს, კრულმცა, არს დაუსაბამოისა ღმრთისა პირთა მკუდარი და ცოცხალი" (გვ. 93).

XIII ს-ის შუა წლების დაწერილში ჯარაისძეთა გვარი სხვა გვარებთან ერთად (ბურჯული, ტოხუაისძეები, ნამალაისძეები) კიდევაა დასახელებული: „...ესე დაწერილი დაგიწერეთ ჩუენ, **ბურჯულთა: კავთულამა და თევდორემა** და ჩუენთა შვილთა: ბასილამა და მშუიდამა. დაგუეჭირუა ჰავისა ჟამისაგან და ხარაჯობისაგან და ავიღეთ თქუენ მოძღუარისაგან **დემეტრესაგან ტოხუაისძისაგან** სამოცი თეთრი დეკენბერსა და გაგიჩინეთ ოცი კოკაჲ ტკბილი წელიწადსა შიგა მზაი, რომე უსიტყუელადა ჴელთა მოგაჴსენებდეთ, ვიდრემდისცალა ამა თეთრსა შენსა ჴელთა მოგაჴსენებდეთ. ამისი მოწამენი არიან **ჯარაისძე ებაი და ნამალაისძე ი ~აი**" (ქისკ, I, 94).

1195/96 წლების თამარ მეფის სიგელში მლვიმისადმი სოფელ სხალტბაში დასახელებული არიან გლეხნი **ქოსაისძენი** „მინად ერთი და კუამლად ორი, სვიმონ და გიორგი და იაბერი და შვილნი და შვილიშვილნი მათნი..." (ქისკ, I, 100). ამავე საბუთში დასახელებულია სხვა გლეხიც, გვარად **ქაჩაბურაისძე.**

1247/60 წწ. იხსენიებიან: ჩაფქვაისძეები, ვერხუაისძეები, უნდილაისძეები, უჩურისძე ინაი, ბოჭორისძე ვეფხაი (ქისკ, I, 135).

1259 წ. საბუთიდან: „...დაგიწერე და მოგაჴსენე დაწერილი ესე თქუენ, ყოველთა მამათა თუალსა და მნათობსა წმინდასა მამასა შიოს და მღუიმეს შინა დამკუიდრებულთა წმინდათა მამათა, მე **აბულეთისძემან, ძაგანამან,** ძემან ერისთავთ-ერისთავისა იოვანესმან..." (გვ. 139-140). ვფიქრობთ, ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშეც ცხადია, რომ საქმე გვაქვს სამწევრიან ანთროპონიმულ მოდელთან. პიროვნება საბუთში თავის თავს ასახელებს სახელით, მამის სახელით და გვარსახელით (ძაგან იოვანეს ძე აბულეთისძე). ამასთანავე, ჩანს, რომ ქართლის ერისთავობა მაშინ აბულეთისძეების სახელო ყოფილა.

1259/93 წლების „დაწერილში იაკობ დეკანოზისა ხახულის ღმრთისმშობლისადმი" იმერეთში, არგუეთსა და რაჭაში დასახელებულნი არიან გვარები: ქიჯგუსძე, ვაშიბერისძე, ხაკოსძე, ხელისძე, არსენისძე, გოგლისძე, ტირლილუსძე, ღილუსძე, ჯალალუსძე, ბოგუერაისძე, ღავთუსძე, მიქაისძე, დათუისძე, გვერექისძე, ბერიანისძე (ქისკ, I, 143). 1260 წ. საბუთში („დაწერილი კახა თორელისა რკონის ღმრთისმშობლისადმი") — მორბედისძე, ხოხალაისძე, აბუსაისძე, გუერაისძე (ქისკ, I, 148-149). 1260-1267 წ. საბუთში გვხვდებიან: ქობულისძე ბელე, კვედუროსძე, ციბალასძე, კუპრასძე (ქისკ, I, 161-

162). 1260/67 წლების დოკუმენტში „დაწერილი თამარ დედოფლისა გელათისადმი" ვკითხულობთ: „ემენელისძის ასულმან, ვიყიდე სოფელი ჯიქეფონე ცოტნე გარაყანისძისაგან" (იქვე, 163). გარაყანისძეებზე ზემოთ გვქონდა საუბარი. ემენელისძეც ტიპიური გვარსახელია.

1281/82 წ. „დაწერილში ნიკოლაოზ ქართლისა კათალიკოზისა არვანბეგ საბაისძისადმი" ვკითხულობთ: „და უკუნის ჩუენ მოვედით და ყოველნივე საქონებელნი მცხეთისანი მოვიკლენით და შეუბანიც დავიჭირეთ. და თქუენ მოხუედით და ღმრთისსწორთა სიგელნიც მოიხუენით სამამულოდ ბოძებულობისანი. და შეუბანსა აბუსერეთ საერისთავოი და ბეგარი ზედა სდებოდა და იგი მათგან გეყიდა, და გელათისა რავდენიმე ცუილი და ბეგარი ზედა სდებოდა, იგი მათგან გეყიდა. ესე ყუელაი წინაი დავიდევით და აღარ ეგებოდა ამისი შეცვალებაი, ამად, რომე დიდი წანაგები ჩანდა და მონასყიდიც იყვენით გელათის და აბუსერეთაგან" (ქისკ, I, 177-178). ამავე საბუთში დასახელებულნი არიან: ზოსიმე ივანისძე, მახასძე, დემეტრე ფრომელი, გუარამისძე გუირგუინაი, მარკოზ თადეოზისი, ხეხელისაძე არსლან, იბო ობლისძე.

ახლა ერთი წუთით ჩავკრათ თვალი „ქართლის ცხოვრებაში". „მატიანე ქართლისაიში" ტაო-კლარჯეთის მთავრის ბაგრატ I კურაპალატის დროს (826-876 წწ.) იხსენიებიან ძმები გაბრიელ და სამოელ დონაურები: „და ქორეპისკოპოსი იყო გაბრიელ დონაური, ძმა სამოელ ქორეპისკოპოზისა" (ქც, I, 257). ეს უკანასკნელი — სამოელ დონაური ქორეპისკოპოსის თანამდებობაზე გაბრიელზე ადრე, IX ს-ის დასაწყისში იყო. „და ვითარ მოკუდა კახთა ქორეპისკოპოსი გაბრიელ დონაური, დაჯდა ქორეპისკოპოსად ფადლა არევმანელი..." (გვ. 259). ვახუშტი ბაგრატიონი მთავართა ძველ გვარებს შორის დონაურების (და აგრეთვე სხვა გვარებს: არელმანელი, ბაღუში — ლიპარიტისძე, მარუშისძე, ქაჩიბაძე, კავკასიძე, ჯაყელი, ირუფაქისძე, კორინთელი, მახატელი, შარვაშიძე...) გვარსაც მოიხსენიებს (ქც, IV, 27-28). X ს-ის პირველ ნახევარში „ქართლის ცხოვრებაში" დასახელებული არიან კახი აზნაურები: გოდერძი მგდეური, მამა ყანჩაელი, დაჩი კორინთელი, დაჩი და ივანე სხვილოსელნი, ძმები სარა და გრიგოლ ფხუენელნი (ქც, I, 269). არაფერს ვიტყვით გვარსახელ მგდეურის შესახებ. რაც შეეხება ყანჩაელს, კორინთელს, სხვილოსელს, ფხუენელს, ესენიც გვარსახელებია. ყველა ეს გვარი სადაურობის ტიპის ქართული გვარია. ისინი ნაწარმოებია -ელ სუფიქსით. ეს აზნაურები კახი აზნაურები არიან, მაგრამ წარმომავლობით — ქართლელები. მათ გვარებს საფუძვლად უდევთ სოფლების სახელები (ოიკონიმები), რომლებიც ქართლში იყო მაშინაც

და ახლაც. ყანჩაეთი, კორინთა, სხვილოსი და ფხვენისი შიდა ქართლის სოფლებია. როდის უნდა წარმოქმნილიყო ზემოთ ჩამოთვლილი აზნაურული გვარსახელები კახეთში? ამის შესახებ პირდაპირი მითითებაა „ქართლის ცხოვრებაში". ჯუანშერი მოგვითხრობს, რომ მეფე არჩილმა (VIII ს. I ნახევარი) კახეთში თავისი ტაძრეულები დაასახლა და აზნაურობა უბოძაო: „ამის შემდგომად მოვიდა არჩილ კახეთად, და ყოველთა ტაძრეულთა მისთა მიუბოძა კახეთი, და აზნაურ ყვნა იგინი" (ქც, I, 243).

აქვე არ შეიძლება ერთი ამონაწერი არ მოვიყვანოთ ა.ბოგვერაძის წიგნიდან „ქართლის პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური განვითარება IV-VIII საუკუნეებში" (თბ., 1979): „ამასთან დაკავშირებით ყურადღებას იქცევს „ელ" სუფიქსით ნაწარმოებ ფეოდალური გვარსახელების გამოჩენა VIII-IX სს-ში, რომელიც ნ.ბერძენიშვილის დაკვირვებით იმის მაჩვენებელია, რომ ინდივიდის გვარსახელი კოლექტივთან ურთიერთობით კი აღარ ხასიათდება, არამედ აზნაურთა მიერ, იმ პუნქტის მფლობელობას უკავშირდება, რომლებიც თავიანთი მხრით შესაბამის ქვეყნებს განასახიერებენ. ამის მკაფიო მოწმობაა გვარსახელი ჩორჩანელი. მწერალი საგანგებოდ განმარტავს, რომ ჩორჩანელი იმ დიდკაცის, „რომლისა ტაძარნი შენ იყვნეს სანახებსა ჩორჩანისა და ზანავისა", მეორე სახელია, და ძნელი მისახვედრი არაა, ის დაბა ჩორჩანის სახელიდან იწარმოება. ასეთი გვარების მქონე ფეოდალების მომრავლება განსაკუთრებით შესამჩნევია IX საუკუნიდან (ტბელი, საზუერელი, ყანჩაელი, კორინთელი, სხვილოსელი, ფხუენელი და სხვ.) და უნდა ჩაითვალოს ტეხილის მაჩვენებლად, როგორც ფეოდალური „ქვეყნის", ასევე ფეოდალური „სახლის" განვითარების თვალსაზრისითაც. როცა რომელიმე პირს „ელ" სუფიქსით ნაწარმოები სახელი უჩნდება მისი მფლობელობის უმთავრესი პუნქტიდან და შემდეგ მისი მემკვიდრეებიც ამ სახელით იხსენიებიან, — ეს იმას უნდა ნიშნავდეს, რომ ამიერიდან უკვე მთავარია ინდივიდის არა გვართან მიმართება, არამედ ამა თუ იმ ქვეყნისა და მისი პოლიტიკური ცენტრის მფლობელი წინაპრისაგან ჩამომავლობა. ამრიგად, „ელ" სუფიქსით წარმოებული გვარების გაჩენა ფეოდალური სახლის შიგნით ინდივიდუალური უძრავი საკუთრების შემდგომი განვითარების, და ამის შესაბამისად, ძველი დიდფეოდალური სახლების რღვევისა და ახლების, მაგრამ უკვე სხვა საფუძველზე, წარმოქმნის მაჩვენებელია, მემკვიდრეობითი უძრავი საკუთრების ანუ სამამულო სისტემის გაბატონების მაჩვენებელია" (გვ. 139-140).

იმავე მოსაზრებას იზიარებს და განავითარებს დ.მუსხელიშვილი: „ამ მოვლენის — მთავრების მიერ პოლიტიკური ხელისუფლების

მიტაცების — გამოვლენად თვლიდა ნ.ბერძენიშვილი -ელ სუფიქსით დაბოლოებული ფეოდალური გვარების გაჩენას ძველ -იან და -ურ სუფიქსებით გაფორმებულ გვარსახელებისაგან განსხვავებით, რომლებიც ინდივიდის ინდივიდთან (წინაპართან) ან კოლექტივთან (გვართან) დამოკიდებულებას გამოხატავდა და არა მიწის საკუთრებასთან (ნ.ბერძენიშვილი, სის, წ. VIII, გვ. 124-126; შდრ. ა.ბოგვერაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 139-140). ეს გვარსახელები ქართულ წყაროებში IX ს-დან და განსაკუთრებით X ს-დან მრავლდება. ამ მხრივ ფრიად დამახასიათებლად მიმაჩნია, რომ უძველესი ფაქტი ამგვარი გვარსახელის არსებობისა კვლავ არჩილის (ე.ი. VIII ს-ის პირველი ნახევარი — რ.თ.) სახელთანაა დაკავშირებული, როდესაც „გოდერძიანნი ტბელნი და მათ თანა სხუანიცა აზნაურნი მამეანნი" (ქც~ა, I, 248) მის ნეშტს ერწოში მარხავენ. ეჭვი არ არის, ეს აზნაურები კახელები არიან, ალბათ, სწორედ არჩილის მიერ მიწაზე დასხმულ ტაძრეულთაგან და ერთ-ერთი ამათგანის „სახლის" წარმომადგენელთა ორგვარი გვარსახელით აღნიშვნა („გოდერძიანნი ტბელნი") თუ, ერთი მხრივ, ტაძრეულთა „აზნაურ ყოფის" აქტის სოციალურ ბუნებას გვიხსნის, მეორე მხრივ, კიდევ ერთხელ გვიმოწმებს, რომ სწორედ არჩილის „რეფორმები" აღნიშნავს დიდ ტეხილს საქართველოს სოციალური განვითარების პროცესში" (დ.მუსხელიშვილი, ფეოდალიზმის ხანის საქართველოს ისტორიის პერიოდიზაციისათვის, „მაცნე", ისტორიის... სერია, N2, 1980, გვ. 161-162).

ეჭვი არაა, რომ ქვეყანაში მომხდარმა სოციალურმა ტეხილმა გამოიწვია -ელ სუფიქსიანი გვარსახელების წარმოქმნა. არც იმაში შეიძლება ვინმემ ეჭვი შეიტანოს, რომ ახალი გვარსახელი „ტბელი" მიღებულია ადრინდელი გვარიდან — „გოდერძიანნი" და, როგორც ჩანს, დროის გარკვეულ მონაკვეთში ისინი ორი გვარსახელით („გოდერძიანი-ტბელი") მოიხსენიებიან. აქვე შეიძლება სხვა მაგალითიც გაგვეხსენებინა საქართველოს ისტორიიდან. მხედველობაში გვაქვს ქსნის ხეობაში ერისთავად დამჯდარი „ბიბილურ-ქვენიფნეველი". „ძეგლი ერისთავთა" ხომ პირდაპირ გვეუბნება, რომ აღნიშნულ ფეოდალურ ერთეულში დამკვიდრებულ ქვენიფნეველთა ადრინდელი გვარი ბიბილური იყო. ქსნის ხეობაში გაერისთავების შემდეგ ისინი იმ პუნქტის სახელის მიხედვით, სადაც მათ რეზიდენცია ჰქონდათ (ქვენიფნევი), იღებენ ახალ ფეოდალურ გვარსახელს — ქვენიფნეველი. ასე რომ, სოციალური სტატუსის შეცვლასთან პირდაპირ იყო დაკავშირებული გვარსახელის შეცვლაც.

გარდა ზემოთ დასახელებული ჩორჩანელის, ტბელის, ქვენიფნეველის გვარსახელებისა, ასეთი ფეოდალური სახლების (გვარების) ტიპიური ნიმუშები იყო აგრეთვე თორელთა და ჯაყელთა გვარები,

ლი ქართულ ისტორიოგრაფიაში (ნ.შოშიაშვილი, თორელთა ფეოდალური სახლის ისტორია და შოთა რუსთაველი, კრებ.: „შოთა რუსთაველი", თბ., 1966; დ.კლდიაშვილი, ჯაყელ-ბოცოსძეთა საგვარეულოს ისტორიისათვის (XI-XII სს.), „მაცნე", ისტორიის... სერია, N3, 1979, გვ. 83-96). აი, რას წერს ჯაყელთა გვარის შესახებ დ.კლდიაშვილი: „ჯაყელთა საგვარეულოს შესახებ ყველაზე ადრეულ ცნობებს ალის ეკლესიის წარწერა გვაწვდის. იგი პალეოგრაფიულად და მასში მოხსენიებული პირების მიხედვით XI ს-ის I ნახევრით თარიღდება. წარწერებიდან ირკვევა, რომ ჯაყელები XI ს-ში ფოცხოვის ხეობაში სახლობენ და ალში საგვარეულო ეკლესიას იშენებენ. ალის წარწერის ცნობებს ავსებს ნარატიული წყაროების ცნობები და ამ მხარის ეპიგრაფიკული ძეგლები, რომელთა საფუძველზე შესაძლებელი ხდება XI-XII ს-ის ჯაყელთა გენიალოგიის მიახლოებითი აღდგენა" (გვ. 96). ასე იყო ქართული გვარსახელების წარმოქმნა გადაჯაჭვული ფეოდალური სოციალური ურთიერთობის მოვლენებთან. ოღონდ, დავუმატებთ იმას, რომ „ელ" სუფიქსიანი ქართული გვარების წარმოქმნა რომელიმე აზნაურის მხოლოდ ამა თუ იმ პუნქტის ფლობას როდი უკავშირდება. ზემოთ დასახელებული გვარები — ყანჩაელი, კორინთელი, სხვილოსელი, ფხვენელი — კახელ აზნაურთა გვარები იყო. ეს აზნაურები „ქართლის ცხოვრების" მიხედვით როდი ფლობდნენ სოფლებს: ყანჩაეთს, კორინთას, სხვილოსს, ფხვენისს. აშკარაა, რომ აღნიშნული გვარები ამ გვარების საფუძვლის ჩამყრელთა ქართლიდან კახეთში მიგრაციის დროს წარმოიშვა. თუმცა, არც ისაა გამორიცხული, რომ ყანჩაელის, კორინთელის, სხვილოსელის, ფხუენელის გვარები აღნიშნული სოფლებიდან გადმოჰყოლოდათ მიგრანტ აზნაურებს. ე.ი. თავდაპირველად, მართლაც, ეს აზნაურული გვარები მფლობელნი იყვნენ ზემოთ დასახელებული ქართლის სოფლებისა. მაგრამ ქართულ სინამდვილეში გვაქვს სხვა შემთხვევებიც, როცა -ელ სუფიქსიანი გვარები „კოლექტივთან ურთიერთობით" ხასიათდება. მაგალითად, ლიქოკელები ხევსურეთში, ლიქოკში მკვიდრობდნენ, ჩოხელები კი გუდამაყრის სოფელ ჩოხის მკვიდრნი იყვნენ. ამ გვარებს კი აზნაურთა სოციალურ წრესთან არაფერი ჰქონდათ საერთო. ამასთანავე, როგორც ეთნოგრაფიული მონაცემებით ირკვევა, ლიქოკელებისა და ჩოხელების გვარები მხოლოდ კოლექტივთან მიმართებაში იყვნენ წარმოქმნილი და წინაპარ ინდივიდთან (ერთ წინაპართან) დაკავშირებულნი არ იყვნენ. სხვანაირად რომ ვთქვათ, ლიქოკელები და ჩოხელები ერთი საერთო წინაპრისაგან არ მომდინარეობენ. ისინი შეყრილი გვარები არიან. ერთ ხეობასა და ერთ სოფელში მკვიდრობამ ოთხი სხვადასხვა გვარისანი ერთ გვარში გააერთიანა. აქაც უდავოდ

გარკვეულ სოციალურ მოვლენებთან გვქონდა საქმე.

გვაქვს სხვა შემთხვევებიც -ელ სუფიქსით გვარსახელების წარმოებისა. მიგრანტი თავის ახალ გვარს იმ სოფლის სახელზე -ელ ფორმანტის დართვით აწარმოებდა, საიდანაც ის იყო გადმოსახლებული. ასეთი გვარები კი შეიძლება სხვადასხვა სოციალური წრის წარმომადგენლებიც ყოფილიყვნენ. ქართული გვარსახელების განვითარებამ იქით წაგვიყვანა, რომ არაერთმა ამ -ელ სუფიქსიანმა გვარმა მოგვიანო პერიოდში სხვა ქართული სუფიქსებიც დაირთო. ასეთ გვარებს შორის შეიძლება დავასახელოთ: დიღმელაშვილი (გადასახლებულნი გარე კახეთში სოფელ დიღმიდან. ძირი-გვარი ბენებაშვილი). მაჩხანელი (მცხეთა. ადრინდელი გვარია ბოსტაშვილი. გადმოსახლებულან ზემო მაჩხაანიდან). კოშკელაშვილი (სოფელ კოშკიდან. გვიან კოშკელოვებად იქცნენ); მარტყოფლიშვილი (ზემო მაჩხაანი, მარტყოფელი ტაბლიაშვილების შთამომავალნი); ჯარიაშნელიშვილი (სოფ. ჯარიაშენიდან. ადრინდელი გვარი გოგიაშვილი); შელდელაშვილი (შაქრიანი. ძირი-გვარი დალიკაშვილი); გრემელაშვილი (შალაური. ძირად ძამუკაშვილი); ეგრისელაშვილი (ქვემო ქართლის სოფ. ეგრისიდან. ძირი-გვარი ბერიძე); ბოგველიშვილი (კონდოლი. სოფ. ბოგვიდან გადასახლებული ჩიბუხაშვილის შთამომავალნი)... გვაქვს სხვა შემთხვევებიც -ელ ფინალიანი გვარსახელების წარმოქმნისა. ერთი პროვინციიდან მეორე პროვინციაში გადასახლებული გვარსახელს იფორმებს ახალი სამოსახლო პუნქტის სახელზე -ელ ფორმანტის დართვით. მაგალითად შეიძლება ლეშკაშელის გვარი მოვიყვანოთ. სამეგრელოდან მოსული ბერიძე დასახლდა ადგილ „ლეშკაშში" და მივიღეთ სადაურობის მაწარმოებელი სუფიქსიანი გვარსახელი — ლეშკაშელი (იხ. რ.თოფჩიშვილი, ლეჩხუმური გვარსახელები, თბ., 1993, გვ. 17).

ვრცელი ექსკურსის შემდეგ ისევ გავაგრძელოთ „ქართლის ცხოვრების" დათვალიერება. „მატიანე ქართლისაში", XI ს-ის პირველი ნახევრის ამბების თხრობისას გვხვდება „იოვანე ბანელი ხარტულარი" (ქც, I, 292). ხომ არ არის იოვანე ბანელი ეპისკოპოსის გვარი ხარტულარი? სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში ასეთი ტოპონიმისმიერი -არ სუფიქსიანი გვარები, ჩანს, სხვებიც გვქონდა. მაგალითად, 1516 წლის საბუთში („კათალიკოზის სამწყსონი თავადნი და სოფელნი სამცხე-საათაბაგოში") გვხვდება გვარები: **სამძივარი** (ეს გვარი პირველად 1187 წ. თამარ მეფის სიგელშია დასახელებული — „არსენ სამძივარი" — ქისკ, I, 79). **სლესარი** (მომდინარეობს სოფ. სლესადან. სლესარების შთამომავალნი უნდა იყვნენ ქართლელი აზნაურები სრესელები. საყურადღებოა, რომ 1674 წლის ტატიშვილების გაყრის განჩინებაში „მოწმედ და დამხდურად" დასახელებულია

„ცლესარი ებიტა" (ქსძ, IV, 134). სამცხედან გადმოსულები ისევ სლესარების (ფოტენიკური ვარიანტით „ცლესარი") გვარს ატარებდნენ. ქართული ენისათვის ხომ უცხო არ იყო „ც" და „ს" თანხმოვნების მონაცვლეობა. მაგალითად, ცუხიშვილი — სუხიშვილი. ჩანს, XVII ს-ის შემდეგ გვარსახელი საბოლოოდ გაფორმდა სრესელად); ხერთვისარი; ხახულარი (ქსძ, III, 242-244) — შდრ. გვარსახელები: თაბაგარი, ხოტივარი, კოჩივარი, კუტივარი (გალმა ჩუნეშში კუტივაძეთა ზოგი წარმომადგენელი კუტივარად იწერებოდა 1904 წელს). „ტბეთის სულთა მატიანეში" ორი გვარი გვხვდება -არ სუფიქსით. ესენია: წანგ-არ-ი და გუნდ-არ-ი (გუნდ-არ-ეთ და გუნდ-არ-ი-ძე ფორმებთან ერთად. გუნდარეთი და გუნდარიძე ორმაგ სუფიქსიან გვარსახელებად მიგვაჩნია). ჩანს, ზოგჯერ გვარსახელში -არ სუფიქსს -ერ სუფიქსი ცვლიდა. ამ ფორმანტით იყო გაფორმებული ღობიერის გვარი (მოხსენიებულია იერუსალიმის ჯვრის მონასტრის აღაპებში XIV ს-ში — „მურვან ღობიერი" (იხ. ე.მეტრეველი, მასალები იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიისათვის, თბ., 1962, გვ. 160). ეს გვარი 1516 წლის საბუთში „კათალიკოსის სამწყსონი და თავადნი და სოფელნი სამცხე-საათაბაგოში" არის მოხსენიებული: „ღობიერნი, სასაფლაოთა, მონასტრითა და კარის ეკლესიითა დიასამიძეთა აქუს" (ქსძ, III, 243). აქვე იმასაც დავსძენთ, რომ -არ სუფიქსიანი ქართული გვარსახელები ძირითადად იმავე დროს უნდა იყოს წარმოქმნილი, როდესაც -ელ სუფიქსიანები. ამ ორ სუფიქსს ხომ ერთი დატვირთვა და შინაარსი ჰქონდა (იხ. ა.შანიძე, ვინაობის სუფიქსი არ ქართულ ენაში დაბეჭდილი ა.შანიძის წიგნში „ქართული ენის სტრუქტურისა და ისტორიის საკითხები", I, თბ., 1957).

ე.თაყაიშვილს ხობის მონასტრის მაცხოვრის ხატის წარწერაში ამოუკითხია: „ყოველთა ღმერთო, ღმრთისა სიტყვაო, კაცთა ცხოვნებათა და მოწყალებათა კაც ქმნილო, შენის ხატისა სურვილთი მამკობელი კახაბერისძეთ ასული თეონილა". XIII ს-ის ამ ასომთავრულ წარწერაში გასაგებად წერია „კახაბერისძეთა ასული თეონილა". მრავლობითი რიცხვი („კახაბერისძეთა ასული") პირდაპირ მიუთითებს იმაზე, რომ კახაბერისძე გვარსახელია. მამის სახელი ამ შემთხვევაში გამორიცხულია.

ახლა „პირთა ანოტირებული ლექსიკონის" უკვე დაბეჭდილი ორი ტომიდან მოვიხმოთ სათანადო მასალები, რომლებშიც აურაცხელი მაგალითია მოტანილი ქართული გვარსახელებისა. ისინი კი გ.ხორნაულს ვერ შეუმჩნევია, მიუხედავად იმისა, რომ პირველი ტომი ხელში სჭერია. აბაზაძეების გვარი პირველად ნახსენებია 1297 წელს, შემდეგ — 1440, 1606, 1613, 1635, 1700 წლებში. აბაშიძეების გვარი ქართულ საისტორიო საბუთებში პირველად 1488 წელსაა

ფიქსირებული. 1401 წელს იხსენიებიან ფალავანდიშვილები. ორივე დასახელებული გვარი არაერთგზისაა ფიქსირებული, არამარტო XV, არამედ ყველა მომდევნო საუკუნის საბუთებში. ამ გვარებზე ყურადღება იმიტომ გავამახვილეთ, რომ ზოგიერთი თავადაზნაურული გვარისაგან განსხვავებით, მათ ჩვენამდე მოაღწიეს. 1260 წლიდან ფიგურირებს საისტორიო საბუთებში აბესაძეების გვარი. ახლა, ჯავახიშვილთა გვარის შესახებ. ცნობილია, რომ ჯავახიშვილები თორელთა მთავრული გვარიდან წარმომავლობენ. თორელთა გვარიდან ჯავახიშვილების გვარი საკმაოდ ადრე წარმოშობილა. „კახა თორელ-ჯავახიშვილი" ნახსენებია 1305-08 წწ. დოკუმენტში, „ივანე ჯავახიშვილი" — 1338 წელს. შემდეგ იგივე „თორელ-ჯავახიშვილი" და „შალვა ჯავახიშვილი" — 1339 წელს. 1345 წელს დასახელებულია „გამრეკელ ჯავახიშვილი".

აფაქიძეები პირველად მოხსენიებულნი არიან იერუსალიმის ჯვრის მონასტრის აღაპებში XIV-XV სს. მიჯნაზე — „ჯავახ აფაქიძე" (ე.მეტრეველი, დასახ. წიგნი, გვ. 123), შემდეგ — 1432 წელს. ირკვევა, რომ ისინი სვანი აფაქიანების შთამომავალნი ყოფილან, რომლებიც სვანეთის სულთა მატიანეებში XIII ს-ის ტექსტებში არიან დასახელებულნი (პ.ინგოროყვა, სვანეთის საისტორიო ძეგლები, ნაკვეთი 2, თბ., 1941, გვ. 121, 128 და სხვ.). საისტორიო საბუთებში ჭავჭავაძეთა გვარიდან პირველად 1438 წელს ფაროდი ჭავჭავაძე გვხვდება. ამავე საუკუნიდანაა ფიქსირებული გუგუნავების გვარი. 1460 წელსაა ნახსენები ჟურულების აზნაურული გვარი. 1432 წლიდან იხსენიებიან რაჭველი აზნაური ბაქრაძეები. 1433 წელს საისტორიო საბუთებში პირველად არის ნახსენები იაკობიძეების გვარი. საბუთის მიხედვით გელათის მოლარეთუხუცესს იაკობ იაკობიძის (ჰყავს სახლიკაცები: რომანოზ, შალვა, ოქროპირ) წინაპრებისათვის — იაკობიძეთა გვარისათვის 120.000 კირმანეული თეთრი გაუჩენია სისხლის ფასად, როდესაც ოქროპირ იაკობიძე ციხისთავ ფულარიანს მოუკლავს (პალ, II, 394). იაკობიძეები — მამასახლისი ფრიდონ და მისი ძმები: გიორგი, პაპუნა, შვილები: სულხან, ლომი, თევდორე, ნიკოლოზ და სეხნია 1631 წლის საბუთშიც არიან დასახელებული (იქვე, გვ. 395). ინასარიძეების გვარი პირველად გვხვდება XIII ს-ში; ისინი ლეჩხუმელი ფეოდალები იყვნენ. ლეჩხუმში XIII-XIV სს. ეკლესიის წარწერაში გვხვდება ეს გვარი: „ალვაგეთ ეკუდერი ესე ჩუენ ინასარიძემან გიორგიმ და თანამეცხედრემან ჩხეტიძის ქალმა ანამ..." (ე.თაყაიშვილი, არქეოლოგიური ექსპედიცია ლეჩხუმ-სვანეთში 1910 წელს, პარიზი, 1937, გვ. 14). ინასარიძეები მოხსენიებულნი არიან XVII ს-ის წარწერაშიც. ინასარიძეები სამცხეშიც იყვნენ განსახლებულნი. ბოცოსძეთა გვარი გადაბმულად იხსენიება საისტო-

რიო საბუთებში XIII-XIV-XV-XVI საუკუნეებში. შემდეგ წყვეტენ არსებობას. გელოვანები XIII-XIV სს. დოკუმენტში არიან დასახელებული, მაჭავარიანები — 1452 წელს, მიქელაძეები („მანგასარ მიქელაძე აზნაურშვილი") — 1326 წელს. აზნაურ თულაშვილთა წინაპარი თულაძეები 1287-88 წლებში არიან პირველად დასახელებულნი. ამ გვარში ფინალი -ძე -შვილი ფინალით XV ს-ში (1493 წლიდან) შეიცვალა. დასავლეთ საქართველოს არაერთი თავადაზნაურული გვარის ისტორია შესწავლილი აქვს ო.სოსელიას. მრავალი მათგანი საისტორიო საბუთებში საკმაოდ ადრეა დასახელებული. 1413-1444 წწ. საბუთში არიან შეტანილი ჩიჯავაძეები, ლოლობერიძეები, გოშაძეები...' თუმცა, როგორც ო.სოსელიას აქვს დადგენილი, ჩიჯავაძეები X ს-ში ჩნდებიან, ლოლობერიძეები კი თავიანთ ათვლას 1253 წლიდან იწყებენ. XIV ს-შია პირველად ნახსენები (ნიგოეთის წმინდა გიორგის საყდრის წარწერაში) ნაკაშიძეთა გვარი. ი.ბაგრატიონი კი ამ გვარის ისტორიას 1231 წლიდან იწყებდა. იგივე ავტორი 1271 წლიდან იწყებდა ფალავების გვარის ისტორიას, თუმცა პირველად დოკუმენტში XVI ს-ში არიან სახელდებულნი. ო.სოსელიას სამართლიანი დაკვირვებით ფალავები ბალუაშებიდან წარმომავლობენ. ასევე ბალვაშებიდან მომდინარეობენ მხეიძეები (იგივე მხეციძეები, ფხეიძეები). მხეიძეები ათვლას XI ს-დან იწყებენ. XI-XII სს. მოღვაწე იყო „მხეციძე ბეშქენ", მოლარეთუხუცესი; XIII-XIV სს-თა ღვთისმშობლის ხატის წარწერაში დასახელებულია „მხეციძე ფირან" დოკუმენტში კი პირველად 1326 წ. იხსენიებიან. ჩხეტიძეებიდან წარმომავლობენ ჩხეიძეები. ამ საგვარეულოს ჩვენთვის ცნობილი პირველი წარმომადგენელია რუსი ჩხეტიძე, რომელიც XIII ს-ში მოღვაწეობდა. ძველ ფარჯანიანთა შთამომავალნი არიან ჯაიანები. ჯაიანი კი პირველად XV ს-ის საბუთშია ნახსენები. ამავე საუკუნის საბუთში პირველად არიან დასახელებული აგრეთვე გუგუნავები, მაჭუტაძეები, აბაშიძეები, ლორთქიფანიძეები, იაშვილები, რომელთა გვარებს ბევრად ადრე, XV ს-ზე ორი-სამი საუკუნით წინ ჩაეყარა საფუძველი. მართალია, აგიაშვილები პირველად XVII ს-ში არიან დასახელებული, მაგრამ იოანე ბაგრატიონის მიხედვით მასხარაშვილებისაგან მომდინარეობენ. უფრო ადრე კი ომათმანიძეები იყვნენ. ჩვენ მხოლოდ მოკლედ აღვნიშნეთ ზოგიერთი თავადაზნაურული გვარის ისტორია. ვფიქრობთ, მაგალითების მოყვანა საკმარისია, გ.ხორნაულის „ნააზრევის" საწინააღმდეგოდ, რომ ქართველ თავადაზნაურობაში გვარები XVI ს-დან კანტიკუნტად კი არ გაჩნდა, არამედ ისინი ადრეფეოდალური პერიოდიდანვე არსებობდნენ ჩვენში. დაბეჯითებით უნდა ითქვას, რომ საქართველოს დღევანდელ და ისტორიულ ტერიტორიაზე უგვარსახელოდ არ იყო არც ერთი ჯერ მთავარი, შემდეგ თავადი და აზნაუ-

რი. იგივე შეიძლება ითქვას ქართველ გლეხობაზეც. საქართველოში რომ შოთა რუსთაველის ეპოქაში გვარები არსებობდა, ამის დადასტურებას ვნახულობთ „ვეფხისტყაოსანში": „ძე დიდებულთა დიდგვართა, ზრდილი მეფეთა შვილობით" (1001 3 სტროფი). აქ ხომ პირდაპირ ნათქვამია დიდებულთა დიდ-გვარის შესახებ. რა თქმა უნდა, დიდებულთა დიდ-გვარების გვერდით იმდროინდელ საქართველოში ჩვეულებრივი, გლეხური გვარებიც არსებობდა.

რადგანაც მხატვრულ ლიტერატურაზე ჩამოვარდა საუბარი, ახლა ქართულ აგიოგრაფიულ ძეგლშიც ჩავიხედოთ. პროფ. ზ.ჭუმბურიძემ პირად საუბარში ჩვენი ყურადღება მიაქცია „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების" ერთ მონაკვეთზე, რომელშიც დაფანჩულის მემკვიდრეობით სახელზე (გვარსახელზეა) საუბარი. ცნობილია, რომ გიორგი მერჩულე X ს-ის მოღვაწე იყო, რომელმაც აღწერა VIII ს-ის ბოლო პერიოდისა და IX ს-ის პირველი ნახევრის მოღვაწის გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება. ერთ მონაკვეთში, როდესაც ნაწარმოებში აღწერილია აშოტ კურაპალატის დროინდელი (ე.ი. IX ს-ის 20-იან წლებამდე პერიოდის) ამბები, ავტორი წერს: „ხოლო იყო ვინმე აზნაური დიდებული წინაშე აშოტ კურაპალატისა და ერქვა მას სახელი **გაბრიელ დაფანჩული, და აწ ნათესავთა მისთა ჰრქვიან დაფანჩულნი"** („ქართული მწერლობა", I, თბ., 1987, გვ. 540). შემდეგ „ამისთვისაცა, მსგავსად აღთქმისა, **ხანძთას შინა** ელოცვების ყოველთა **დაფანჩულთა** ვიდრე დღევანდელად დღემდე" (გვ. 542) ორი აზრი არ შეიძლება არსებობდეს, სწორია ზ.ჭუმბურიძე, როცა დაფანჩულში გვარსახელი დაინახა: გიორგი მერჩულე პირდაპირ გვეუბნება: ეხლაც (ე.ი. ერთი საუკუნის შემდეგ) გაბრიელ დაფანჩულის ნათესავნი (ე.ი. ამ შემთხვევაში, შთამომავალნი) დაფანჩულის გვარს ატარებენო.

ყოველივე ზემოთ თქმული იმას როდი ნიშნავს, რომ დროთა განმავლობაში საქართველოში ახალი გვარსახელები და, მათ შორის, რა თქმა უნდა, თავადაზნაურული გვარები არ წარმოიშობოდა. ხდებოდა ზოგიერთთა აღზევება და ზოგიერთთა დამცრობა. ზოგიერთ თავადაზნაურულ გვარს კი ახალი შტო-გვარები გამოეყოფოდა, რომლებიც იურიდიულად ახალ გვარებად ფორმდებოდნენ. მაგრამ მხოლოდ ფეოდალიზმის დროს. თავადაზნაურული გვარი მხოლოდ ფეოდალური სისტემის პროდუქტი იყო. კაპიტალიზმის დროს ამ სოციალური ფენის გვარსახელები აღარ წარმოიქმნებოდა. ამდენად. გ.ხორნაულის აბსურდული განცხადება, — XVIII ს-ის ბოლოს ბევრ თავადაზნაურს გვარი არ ჰქონდაო, — სრული ნონსენია. XIX ს-დან საქართველოში ვრცელდება კაპიტალისტური ურთიერთობანი და ეს საზოგადოებრივი სისტემა ამ დროიდან უკვე გამორიცხავდა თა-

ვადაზნაურული გვარსახელების წარმოქმნას. საერთოდ, ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ მრავალი ქართული თავადაზნაურული გვარის ჩამოყალიბება XIII-XIV სს-ში მოხდა, რაც დაკავშირებული იყო აღნიშნულ დროს საქართველოში აზნაურთა ფენის სოციალურ მდგომარეობაში მნიშვნელოვან ცვლილებებთან. მიწათმფლობელობის ფორმების ერთგვარი შეცვლის შედეგად შეუძლებელი ხდება წვრილი ფეოდალური სახლების დამოუკიდებელი არსებობა; აშკარაა ამ წვრილი ფეოდალური სახლების გამსხვილების ტენდენცია. განვითარდა მიწის საერთო-საგვარეულო საკუთრება. შეიქმნა აზნაურთა ისეთი ფენა, რომელიც სოციალურად ადრინდელი აზნაურებისაგან განსხვავდებოდა. ხდება მსხვილი სათავადო სახლების ჩამოყალიბება. აზნაურთა ფენა დიდებული აზნაურების, თავადებისადმი დამოკიდებულებაში მოექცა (გ.აკოფაშვილი, ცვლილებები აზნაურთა ფენის სოციალურ მდგომარეობაში XIII-XIV სს. საქართველოში, — ისტორიის ინსტიტუტის შრომები, ტ. IV, ნაკვ. 2, 1959).

ახალი გვარსახელების წარმოქმნის სოციალური პროცესი მიმდინარეობდა გლეხებშიც, რაც რიგი სხვადასხვა ფაქტორებით იყო განპირობებული. ახალი გვარსახელების წარმოქმნა, უფრო სწორად, ერთი დედა-გვარიდან რამდენიმე შტო-ნაყარი გვარის გამოყოფა ყველა ქვეყნის გვარებისათვის დამახასიათებელი საერთო მოვლენა იყო. სწორედ ამ თვისებითაც განსხვავდებოდა კლასობრივი საზოგადოების გვარი წინაკლასობრივი საზოგადოების გვარისაგან.

მცირე ხნით შევჩერდეთ რამდენიმე გლეხურ გვარზე, რომლებიც გ.ხორნაულს XIX ს-ში, საქართველოს რუსეთთან „შეერთების" შემდეგ, წარმოშობილად, რუსეთის ხელისუფლების მიერ დაკანონებულად მიაჩნია. ედილაშვილების გვარი დღეს მკვიდრობს ბორჯომის ხეობასა და შიდა ქართლის სოფელ ბრეთში. ეს გვარი პირველად 1464 წლის საბუთშია დასახელებული. XV ს-ის საბუთშია ასევე პირველად ფიქსირებული რაჭაში შერაზადიშვილების გვარი. იმერეთის სოფელ მესხეთს ახალაძეები 1484-1510 წლების საბუთში არიან ფიქსირებული, ალვსაბაძეები — 1467 და 1492 წლებში. დილომში დღეს სხვა მრავალრიცხოვან გვარებთან ერთად მკვიდრობენ მძევაშვილები, გეგელიშვილები და თეთრაშვილები. სამივე ეს გვარი დილმის ძირძველი მკვიდრი გვარია. თეთრაშვილები და მძევაშვილები ადრე თეთრაძისა და მძევაძის გვარებს ატარებდნენ (როგორც სხვაგან, აქაც გვარის მაწარმოებელი -ძე სუფიქსი -შვილი სუფიქსით შეიცვალა). სოფელ დილომში 1382 წლის საბუთში დასახელებულნი არიან გიუნა, მამისიმედი, ზოსიმე და ხუცესი ივანე თეთრაძეები. აქედან მოყოლებული, თეთრაძეები არაერთგზის იხსენიებიან დილმის მკვიდრებად, მაგალითად, 1505-1525 წლების დოკუმენტში. ამავე

საბუთში, დილმის მცხოვრებლებად დასახელებულნი არიან მზევაძეები. ეს გვარი, დილომს, მზეოსძის ფორმით, ფიქსირებულია 1441 წლის საბუთშიც (პალ, I, 214). ესაებრ მზეოსძე ჩაწერილია 1466 წლით დათარიღებულ საბუთში (გვ. 243). დილომს სამი კომლი მზევაძე გვხვდება 1421 წლის დოკუმენტშიც (გვ. 216). დილომში „მზევაძის ვენახი" ნახსენებია 1542 წლის საბუთში (პალ, I, 328). XVIII ს-ის აღწერის დავთარში თეთრაშვილების გვარის წინაპრები კვლავ თეთრაძის გვარით არიან დასახელებულნი. 1441 წელს არის ნახსენები დილომში გეგელიშვილების გვარიც (პალ, I, 214). აგრეთვე: 1466, 1559, 1606-32, 1669, 1673, 1690, 1696, 1753, 1784 წლების საბუთებში. სამივე გვარი დილმის მკვიდრად დასახელებულია 1703-24 წლებით დათარიღებულ ქართული სამართლის ძეგლში „დასტურლამალი": „დილმელი თეთრაძე", „თეთრაძე შავერდა", „დილმელი გეგელაშვილი გიორგი", „გეგელაშვილი თამაზა", „ზევაძე გოსტამა" (ქსძ, II, 244, 247, 249). „დასტურლამალში" სხვა გვარებიცაა დასახელებული, რომლებიც ახლაც სოფ. დილომში მკვიდრობენ. ესენია: მარიამულები, შოშიტაშვილები, გილაურები, სოზიაშვილები, ნიჟელაშვილები (ახლა მიჭელაშვილები). ყველა ეს გვარი დილომში XVII ს-ის საბუთშიცაა დასახელებული. დილომში და ატენში რამდენიმე საუკუნის მანძილზე მკვიდრობდა თბილელაშვილების გვარიც. ისინი 1399-1419, 1413 წლების დოკუმენტში თბილელისძეებად არიან ჩაწერილი. თბილელაშვილები ამ ორ სოფელში გვხვდებიან 1476-1511, 1559, 1574, 1519-30, 1647, 1660, 1700 წლების საბუთებში.

სოფ. კარსანში (მცხეთასთან) ეფრემიძეების (ეფრემაძეების) გვარსახელი ფიქსირებულია 1439 და 1651 წლების საბუთში, ე.ი. 212 წლის ხანგამოშვებით. პირველი საბუთით ეფრემიძეს მეფე ალექსანდრე უწყალობებს აზნაურ ქარსიძეს, მეორეთი — ერთ-ერთ აზნაურს, დავით ქარსიძეს გაყრის დროს წილში ერგო ეფრემაძე ეფრემა (პალ, II, 162).

ქართლის მკვიდრი აზნაურები იყვნენ ქვლივიძეები, რომლებიც აქედან გარე კახეთშიც გადასახლებულან. ისინი შედარებით გვიან არიან გააზნაურებულნი. ქვლივიძეები პირველად 1397 წელს იხსენიებიან. ამავე წლის საბუთში დასახელებულნი არიან ოდიშელიძეებიც, რომლებიც დღესაც არიან განსახლებულნი არაგვის ხეობის მთისწინა ზოლში. ისტორიული ძაგნაკორას მცხოვრებლებად ოდიშელიძეები აღრიცხულნი არიან 1519-1530 და 1579 წლებში. შერგილაშვილები პირველად 1405 წელს არიან მოხსენიებულნი. 1452 წელს ჩხარის მკვიდრებად გვხვდებიან ავჟანდაძეები. 1579 წლის საბუთში ფიქსირებულია სოფელი „კვერნაძენი" (გვ. 223), რაც, რა თქმა უნდა, იმაზე მიუთითებს, რომ მასში კვერნაძეთა გვარისანი მკვიდრობდ-

ნენ. 1623 წლის საბუთში დასახელებულია სოფელი „დედუკაძენი", რა თქმა უნდა, დედუკაძეებით დასახლებული. რუისის მკვიდრი გვარი უმეკაშვილი, პირველად 1382 წლის საბუთში არის ფიქსირებული (პალ, I, 267). 1429-52 წლების დოკუმენტში არიან შეტანილნი კაპანაძეები (იქვე, გვ. 272), 1439 წელს — ქარციძეები (გვ. 293). სამცხეში გავრცელებული გვარი იყო ბალახაშვილი (ხან ბალახაძედ იწერებოდნენ). ეს გვარი პირველად XIV ს-შია სახელდებული (გვ. 384). იმერელი ბოგვერაძეები პირველად 1259-93 წლების დოკუმენტში არიან დასახელებული, მესხეთელი ბურჭულაძეები — 1484-1510 წლებში, გეგებერიები — 1455-1474 წლებში, ნიკორწმინდაში მცხოვრები გეგეშიძეები — 1544 წ., გიორგაძეები — პირველად 1392 წელს, შემდეგ: 1495, 1558, 1620 წლებში, ხორხომელიძეები — XIII-XIV სს. მიჯნის დოკუმენტში, გოშქოთელიანები — XIII-XIV სს. მიჯნაზე, XIV ს-ში, გრძელიძეები — XIV-XV სს. მიჯნაზე და 1558 და 1621 წლებში, დევდარიანები — XIV ს-დან, XV, XVI საუკუნეებში და ა.შ. გურიის ერთ-ერთი ძველი გვარია დოლიძეების გვარი. დოკუმენტში ძმები დოლიძეები: ვარდია, გოგია, მამესწარა, მიქია და მათი შვილები: მამისა, მახარებელი მოხსენიებულნი არიან 1465 წელს. ეს გვარი ფიქსირებულია 1558 წლის საბუთშიც. 1463-78 წლების საბუთში არიან აღნიშნული: ღალანიძეები, ძაგანიშვილები, ერაძეები (ბობოთს მცხოვრებნი). სოფელ ბობოთში ერაძეების გვარი უფრო ადრინდელ ბაგრატ IV-ის (1360-93 წწ.) სიგელშიც არიან დასახელებულნი. დილმელი ერემაძეები — 1453 და 1582 წლებში; რუისელი თავბერისძენი — 1413, 1447, 1530, 1559, 1669 წლებში; კახაბერიძეები — 1326 წლიდან; ქადაგიძეები — 1420 წლიდან. 1515-1535 წწ. დოკუმენტში დასახელებულნი არიან გლეხები: მოდებაძეები, კუპატაძეები, ბრეგუაძეები. ავთანდილაშვილებზე თვალის გაყოლება 1465 წლიდან ხერხდება. აზნაური ასათიანები პირველად XV ს-ში არიან დასახელებულნი, შემდეგ: 1510, 1578, 1650, 1700 წლებში. 1545 წლის ერთ საბუთში ჩამოთვლილი არიან რაჭაში მცხოვრები გლეხები: მჭედლიძე, მურუზიძე, გეგეშიძე, დონაძე, გურაბანიძე, კიკვიძე, ხელმოკლიძე, კაცითაძე, კაბილაძე, კობახიძე, ჭონაძე, სტაყაძე, მოწონელიძე, ვაწაძე, ნობერიძე, ჭუხულაშვილი, ზაზიაშვილი, ყლამაძე, კენჭაძე, მაღრიანი, ხიხაძე, მღვდელაძე, ქარიზაშვილი, ფოფხაძე, ფანჯარაძე, დვალაძე, კიკაულიანი, გვენცაძე, ივანტბელიძე, ბუაძე. ამ გვარების უმეტესობა ხომ დღესაც მკვიდრობს რაჭაში. 1458 წ. რაჭაში პირველად დასახელებულია გამყრელიძეების აზნაურული გვარი. რაჭისავე აზნაური გიგაშვილები (ღებელები) გვხვდებიან 1492-1497, 1503, 1513, 1595 წლების საბუთებში. იმავე პერიოდშია (1484-1510) ფიქსირებული სამეგრელოში აზნაურ თოფურიძეების გვარი („კაციბერ

თოფურიძე"). ყიფიანები XIV-XV სს. მიჯნიდან გვხვდებიან. ბედელიძეებზე თვალის გადევნება ხერხდება XIV ს-დან 1690 წლამდე (პალ, I, 495), ბერიძეებზე — 1411 წლიდან და ა.შ.

დღეს ლეჩხუმში განსახლებული გვარების უმეტესობა საქართველოს ამ რეგიონში უკვე მკვიდრად ცხოვრობდა XV-XVI სს-ში. აღნიშნულ საუკუნეთა საისტორიო საბუთებში, ძირითადად ლეჩხუმის იმავე სოფლებში, რომლებშიც დღესაც მოსახლეობენ, ფიქსირებულია მუშკუდიანების, ცხვედიანების, მაღრიანების, ასათიანების, სვანიძეების, მურცხვალაძეების, ლაჭყეპიანების, მამარდაშვილების, სიმსივეების, ჩაკვეტაძეების, გოირბელიძეების, სილაგაძეების, ყრუაშვილების, ყურაშვილების, ქარსელაძეების, დაშნიანების და სხვათა გვარსახელები (იხ. რ.თოფჩიშვილი, ლეჩხუმური გვარსახელები, თბ., 1993). ვრცლად შევჩერდებით ერთ-ერთი ძველი ლეჩხუმური გვარის — გელოვანების შესახებ. გელოვანები ძირითადად იყვნენ თავადები. მცირე ნაწილი აზნაურთა წოდებას ეკუთვნოდა. ამ გვარისანი ქვემო სვანეთსა და რაჭაშიც მოსახლეობდნენ. როგორც სხვა არაერთი ლეჩხუმური გვარი, გელოვანებიც ზემო სვანეთიდან იყვნენ მიგრირებულნი. შედარებით გვიან მოსულან ქვემო სვანეთის სოფ. შკედიდან ლაჯანაში მცხოვრები გელოვანები. რაც შეეხება სპათაგორელ და ჟოშხელ გელოვანებს, ისინი ლეჩხუმის ერთ-ერთ თავდაპირველ მოსახლეებად მიიჩნევიან. ჩანს, ამ უკანასკნელთა მიგრაცია სვანეთიდან საკმაოდ დიდი ხნის წინ მოხდა. ლეჩხუმში გელოვანები ნახსენები არიან 1656 წლის საბუთში. 1766 წლის საბუთში დასახელებული არიან მოურავი ქაიხოსრო გელოვანი და მისი შვილები: ბერუკა და მანუჩარი. ლეჩხუმის ღვთისმშობლის ხატის ერთ-ერთ წარწერაში ე.თაყაიშვილმა ამოიკითხა „ხატის მომჭედელი გელუანი სულა და თანამეცხედრე მისი დეუდარიანის ქალი ყაზმი..." საისტორიო საბუთებში გელოვანების გვარი სხვადასხვა ფონეტიკური ფორმით გვხვდება: „გელოანი", „გელოვანი", „გელუანი", „გელუვანი", „გელიანი". გელიანი დათურარ და გელიანი თვალაი ნახსენები არიან ზემო სვანეთში XIV-XV სს. მიჯნის საბუთში (პალ, I, 622). სვანთა ერისთავი გელუანი (გელოანი) აბესალომ დასახელებულია 1455-78 წწ. დოკუმენტში (იქვე, 623). მოურავი გელოვანი ადაი XIV ს. სამოკეთეო დაწერილში გვხვდება. ხოლო გელოვანი დათვაი ნახსენებია XIV ს-ის გაუყრელობის დაწერილში (გვ. 623). ყველაზე ადრინდელი საბუთი, რომელშიც გელოვანების გვარია ნახსენები, XIII-XIV საუკუნეებისაა. ესენი არიან ივანე და ხუერგო გელოვანები (გვ. 623-624). საინტერესოა 1600-1637 წწ. საბუთი, რომელშიც დასახელებული არიან: ფაცა, სულა, გიორგი, ბაკუ, ბესია, ისლამ, ხუნა გელოვანები (გვ. 624). ამრიგად, ერთსა და იმავე რეგიონში (სვანეთი, ლეჩ-

ხუმი) გელოვანების გვარი გადაბმულად მოიხსენიებ XIII ს-დან მოყოლებული დღემდე.

მსგავსი მაგალითების მოყვანა შორს წაგვიყვანს. ოღონდ, ერთ რამეს უნდა გაესვას ხაზი, პირველად ამა თუ იმ საუკუნეში, რომელიმე გვარის მოხსენიება იმას როდი ნიშნავს, რომ სწორედ მაშინ წარმოიქმნა ეს გვარი. მანამ, სანამ საისტორიო საბუთში მოხვდებოდა, ყველა გვარს წარმოქმნისა და განვითარების საკმაოდ გრძელი გზა ჰქონდა გავლილი. ისიც გასათვალისწინებელია, რომ ყველა საისტორიო საბუთმა როდი მოაღწია ჩვენამდე, რომელშიც ესა თუ ის გვარი პირველად იყო მოხსენიებული.

ქართული გვარსახელების შესწავლის თვალსაზრისით საინტერესო სურათს იძლევა სვანეთის XIII საუკუნის სულთა მატიანეები, რომლებიც კარგა ხანია გამოცემულია და ყველა მეცნიერისათვის ხელმისაწვდომია. სვანეთის სულთა მატიანეებში მოხსენიებული გვარები დღესაც იმავე სოფლებში არიან განსახლებულნი, ნაწილი კი დასავლეთ საქართველოს მთისწინეთსა და ბარის ზოლში ჩასახლებულა. პ.ინგოროყვას მიერ გამოცემულ „სვანეთის საისტორიო ძეგლებიდან" ამოვიწერთ მხოლოდ ზოგიერთ მათგანს: ქალდიანი (დღევანდელი ქალდანები), დევდარიანი, უბილიანი (დღ. ვიბლიანი. შდრ. უბილავა), ცხვიმიანი (დღევანდელი ჩხვიმიანი), ქელბაგიანი, გობეჩიანი (დღევანდელი გობეჩია), აფაქიანი (დღევანდელი აფაქიააფაქიძე), ფანჯიკიანი (დღ. ფანჯიკიძე), ქურდიანი (გვარს საფუძვლად უდევს ძველ საქართველოში გავრცელებული მამაკაცის სახელი „ქურდია". ეს სახელი ფიქსირებულია „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებაში"), ლიპარტიანი, რატიანი, ღოღელიანი (დღეს ლეჩხუმში მოსახლენი), ნაკვეხელიანი (ლეჩხუმში მოსახლე ლაკვეხელიანთა წინაპრები), გოლბიანი, ჩიქოვანი, წერედიანი, კუარაცხელიანი (დღ. კვარაცხელია), ბენდელიანი, გოგორელიანი, სანიგიანი (დღ. სანიკიანი, იგივე სანიკიძე), ჭაბუკვანი (ჭაბუკიანი), გოშუანი, ნაკიანი (ახლა ნაკანები), ჩხუმიანი, გულედიანი (დღ. გულედანი), გურეჩიანი (დღ. გურჩიანი), გიგიანი (იგივე გიგანი), წიფურიანი (დღ. წიფურია), ჭითიანი, მეიფარიანი, ხაზალიანი (დღ. ხაზალია), მუშკუდიანი, კგირკველიანი (დღ. კვირკველია), ჯამბურიანი (დღ. ჯამბურია და ჯამბურიძე), გვარამიანი (დღ. გვარამია), გაბლიანი, ბებიანი (დღ. ბებია), ხვერგუანი (დღ. ხორგუანი), უშუხვანი (დღ. უშხვანი), ჟორჟოლიანი, კახიანი, ჯაფარაისძე, ხერგიანი... ახლა ვ.სილოგავას მიერ გამოცემულ „სვანეთის წერილობითი ძეგლების" პირველი ტომიდან (თბ., 1986) ამოწერილ იმ გვარსახელებს შემოგთავაზებთ, რომლებიც დღესაც აგრძელებენ არსებობას: გოშქოთელიანი (დღ. გოშხეთელიანი. 1299-1327 წწ., XIV ს. I ნახ., XV ს.), გელუანი (დღევანდელი

გელოვანი. XIII-XIV სს.), ავალიანი (XIV ს.), ჩარკვიანი (XIV ს., XV ს., XVI-XVII სს.), მარეგიანი (იგივე მარგიანი. XIV ს. I ნახ., XV ს.), იოსელიანი (XIV ს. I ნახ.), ფალიანი (XIV ს. I ნახ. XIV-XV სს. მიჯნა), ჯაფარიანი (იგივე ჯაფარიძე, XV ს.), კორძიანი (იგივე კორძაია. XIV ს. I ნახ.), ყიფიანი (XIV ს. I ნახ.), მარგველიანი (XIV ს. I ნახ.), მაჭავარიანი (XIV ს. I ნახ.), ინასარიანი (XIV ს. I ნახ.), გაბუნიანი (დღ. გაბუნიების წინაპრები; XIV ს. I ნახ.), ამროლიანი (XIV ს. II ნახ.), ქურდიანი (XIV ს. I ნახ.), ხერგიანი (XV ს.), ონიანი (XIV-XV სს.), ჩარგასიანი (ჩარგაზიების წინაპრები. XIV ს.), გადრანი (XVI ს.), გოჩუანი (XVIII ს.), გურჩიანი (XV-XVI სს.), ნავარიანი (XVIII ს.), კვიციანი (XV-XVI), კვანჭიანი (XVI-XVII სს.), ჭანტურიანი (ჭანტურიების წინაპრები. XV-XVI სს.), პაიკელანი (დღ. პაკელიანი; XVI-XVII სს.), ცინდელიანი (XV-XVI სს.) და ა.შ. იგივე გვარსახელები ფიქსირებული მოგვიანო პერიოდის, XVII-XVIII საუკუნეების სვანურ დოკუმენტებში, რომლებშიც ბევრი ისეთი გვარია შეტანილი, რომლებიც წინა საუკუნეების საბუთებში ვერ მოხვდნენ: ჩართველიანი (ჩართოლანი), კაჭარანი (დღ. კაჭარავა), დადვანი, მილდანი, ცალანი...

არაერთი სვანური გვარების შესახებ საუბრობს მამისა ბერძნიშვილი ნაშრომში „სვანური დოკუმენტები როგორც წყარო XIV-XV საუკუნის სვანეთის სოციალური ისტორიისათვის" („ქართული წყაროთმცოდნეობა", II, თბ., 1968, გვ. 105-132). რამდენიმე ამონაწერი აღნიშნული ნაშრომიდან: „მესტიის ოთხთავის მინაწერთა ერთ წყებაში იხსენიებიან ჯაფარიძეები, კერძოდ, ამ საგვარეულოს რამდენიმე სხვადასხვა წარმომადგენელი: ჯაფარიძე (ან მჯაფარიანი) მამისა, პირანთელ, ივანე; ჯაფარიძე კახაბერ და მისი ძენი ასლან და ტაიბულა; ჯაფარიძე პირანთელ და მისი შვილები დოდილ, ივანე და ასლან. ამასთან გარკვევით ჩანს, რომ ეს საგვარეულო, დანარჩენ მცხოვრებლებთან შედარებით, უპირატეს მდგომარეობაშია" (გვ. 108). „ჯაფარიძეთა აღზევების ხელსაყნელ ხანად XIV-XV სს. უნდა ვივარაუდოთ" (გვ. 108). „ლანჩვალში (ამჟამად მესტიის ჩრდილო-დასავლეთი უბანი) არის ეკლესია, რომელიც ღვთისმშობლის სახელობისაა და, გადმოცემით, მისი აღმშენებელი პაპი ჩართულარი ყოფილა. ეს ეკლესია ხელოვნებათმცოდნეების აზრით, XIII-XIV საუკუნეებისაა და XV ს-ში საფუძვლიანად გადაკეთებული და მოხატული" (გვ. 109). ავტორს მესტიის ოთხთავის ნარწერიდან მოყვანილი აქვს ციტატა: „თავად ვითა შენისა გუარისა ...სა სახლსა ჰქონებია, ეგრე მელომედ დაგაყენოთ", რასაც უკეთებს შემდეგ კომენტარს: „იმას მიუთითებს (ეს გამოთქმა — რ.თ.), რომ ვახთაგიანის გვარის სახლს მანამდეც ჰქონებია მელომის ხელი" (გვ. 115). „ჯაფარიძე და იოსელიანი ის გვარები ყოფილა, რომელთა სისხლი ყველაზე მეტად ფა-

სობდა" (გვ. 119).

სვანეთზე საუბარს ერთი ციტატის მოყვანით დავასრულებთ: „სოფ. უღლავის წმ. გიორგის ეკლესია (ჯგგრაგ) აშენებულია ძმების ანტონ და მიქაელ უმფრიანების მიერ (XIV ს.). ამ სოფელში დღესაც მხოლოდ უმფრიანები ცხოვრობენ. ეკლესიაც და სასაფლაოც მხოლოდ მათ ეკუთვნით. სოფ. ლალამში (დაბა მესტია) მაცხოვარის ეკლესია აუშენებია და მოუხატავს შალვა ქირქიშლიანს (XIV ს.); ლენჯერის მუხურის მთავარანგელოზის ეკლესია აშენებულია და მოხატული იველდიანის მიერ (XV-XVI სს.). ამ ეკლესიის კაცი (ლაჴმი მ~არე) ახლაც ილდანები არიან" (მ.ჩართოლანი, ისტორიისა და კულტურის ძეგლები სვანეთში, კრ. „სვანეთი II", თბ., 1979, გვ. 108).

ქართველებს გვარსახელები ოდითგანვე რომ გვქონდა, შესანიშნავად ჩანს, „ტბეთის სულთა მატიანის" უნიკალური ძეგლიდან. მკითხველს შევახსენებთ, რომ იგი XII-XVII სს-ის მანძილზე დაწერილი მოსახსენებლების ერთად თავმოყრილი ნუსხაა. ტბეთის საყდარი, სადაც სულთა მატიანის ეს ძეგლი შეიქმნა, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ერთ-ერთ ისტორიულ პროვინციაში — შავშეთში მდებარეობდა. შავშეთის პროვინცია დღეს საქართველოს საზღვრებს გარეთ, თურქეთშია, მაგრამ ტბეთის საყდრის შემწირველნი შავშეთს გარეთაც — კლარჯეთში და აჭარაშიც იყვნენ. მატიანე აჭარიდან მაჭახლის ხეობის ხუთი სოფლის — ჩიქუნეთის, ჩხუტუნეთის, ევფრატის, ზედვაკის, ხერთვისის — შემომწირველებსაც ჩამოთვლის. როგორც „ტბეთის სულთა მატიანის" გამომცემელი თ.ენუქიძე აღნიშნავს, მასში „დაცულია მდიდარი ონომასტიკონი, რომელიც მრავალმხრივაა საყურადღებო, როგორც საისტორიო მასალა". ძეგლის 588 მოსახსენებელში, რომლის ძირითადი ფენა (160 მოსახსენებელი) განეკუთვნება XII-XIII საუკუნეებს, ხოლო დანარჩენი ფენები XIII-XVII საუკუნეებს, დასახელებულია 348 გვარი და 21 გეოგრაფიული სახელი (ტბეთის სულთა მატიანე, თ.ენუქიძის გამოცემა, თბ., 1977, გვ. 33. იხ. აგრეთვე, მ.შანიძე, ზოგიერთი გვაროვნული სახელი ტბეთის მატიანეში, — „მრავალთავი IX", თბ., 1981, გვ. 50-56). საყურადღებოა, რომ „ტბეთის სულთა მატიანეში" ქართული გვარსახელები წარმოდგენილია თითქმის ყველა იმ სუფიქსით, რომლებიც დღესაც აწარმოებენ ქართულ გვარებს. ესენია: -ძე, -ეთ, -შვილი, -ურ(-ულ), -ფხე, -ტი, -ში, -არ. რაც ყველაზე მთავარია, „ტბეთის სულთა მატიანეში" XII-XIII საუკუნეების ფენებში ფიქსირებული გვარსახელები დღესაც აგრძელებენ არსებობას იმავე სოფლებში (იხ. ნ.კახიძე, მაჭახლის ხეობა, ბათუმი, გვ. 8-11).

ძეგლის გამომცემელი თ.ენუქიძე წერდა: „ტბეთის სულთა მატიანის ძეგლში დასახელებულმა რიგმა გვარსახელებმა და (როგორც

ქვემოთ დავინახავთ) ტოპონიმებმა საუკუნეებს გაუძლეს და დღესაც „მოქმედ" გვარებად და ტოპონიმებად გვევლინებიან" (გვ. 42). „რაც ყველაზე მთავარია, სულთა მატიანებში მოხსენიებული პიროვნებანი ძირითადად დაბალი ფენების, გლეხობის წარმომადგენლები არიან" (გვ. 34). ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს, „ტბეთის სულთა მატიანედან" რამდენიმე გვარი ჩამოვთვალოთ. -ეთ ფინალიანები: ბეჩიეთი, გათენიეთი, გიორგაეთი, დოლიეთი, ვაცაეთი, თავხელეთი, მეფუტკრიეთი, სირაეთი, ცხადაეთი... -ძე სუფიქსიანები: ახალასძე, გაბრიჩისძე, გათენასძე, გიორგასძე, გორგასძე, დოლიძე, ვაცაძე, კაკალისძე, ლომდერისძე (ახლანდელი ლონდარიძე), მელაძე, ნიქატაძე, ქადაგიძე, ჩიმაგასძე, ძნელასძე, ნიქარისძე... -შვილი ფორმანტიანი: დვალიშვილი, მიქაშვილი, ოქოტაშვილი... ქართული გვარსახელების შესწავლის თვალსაზრისით აღნიშნულ ძეგლს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს იმ მხრივაც, რომ, როგორც ჩანს, თავდაპირველად შესაძლებელი იყო ქართველებს სუფიქსების მიხედვით განესხვავებინათ ქალისა და კაცის გვარები. ჯერ კიდევ დიდი ხნის წინ შემჩნეული იყო, რომ ასეთი ფუნქცია ზანურში და დასავლეთ საქართველოს სხვა ქართველთა მეტყველებაში ჰქონდა -ფხე (-ხე) სუფიქსს (იხ. И.В. Мегрелидзе, Женские фамильные окончания в южнокавказских яфетических языках и фольклоре — сб. „Памяти акад. Н.Я. Марра, Л., 1939, с. 152-159). მაგალითად, მამაკაცის გვარს კახიძეს შეესატყვისებოდა ქალის გვარი კახიფხე. შესაბამისად: წულაძე — წულაფხე, ხინიკაძე — ხინიკაფხე, თურქია — თურქიხე, ქოიავა — ქოიახე, ჩიჩუა — ჩიჩუხე. „ტბეთის სულთა მატიანეში" -ფხე-ზე დაბოლოებული ორი გვარია ფიქსირებული, ორივე ქალისა: „მაძაფხე ხათუთა" და „შერაფხე ცხორება". -ფხე სუფიქსითაა ქალის გვარები ფიქსირებული XIII-XIV სს. „მატიანე სუანეთისა კრებისაჲ"-ში: „ხალინა გურასაფხე", „სუკვაჲ ბეუთმანიფხე", „მამქან ათარიფხე", „მ~რმ გოგორელიფხე", „თოვლაი მიქელიფხე", „მარიამ რუმბიფხე", „უჩინარიფხე სუკაჲ", „თუმა ჩხუმიფხე" (პ.ინგოროყვა, გვ. 117, 121, 122, 129, 131, 133...). ამავე სუფიქსითაა ქალთა გვარები გაფორმებული შედარებით მოგვიანო პერიოდის (XV-XVIII სს) საოჯახო-საგვარეულო სულთა მოსახსენებლებში: გურჩიფხე (გურჩიანი), დაჩქელაფხე (დადიჩქელიანი), ჯაფარიფხე (ჯაფარიძე), ორაფხე (ორიანი), რუჩეგიფხე (რუჩეგიანი), გადრაფხე (გადრანი), ცალაფხე (ცალანი)... მდედრობითი სქესის გამოხატვის ფუნქცია შეუძენია გარკვეულ ეტაპზე -ურ(-ულ) სუფიქსსაც. ტბეთის სულთა მატიანეზე დაკვირვება და იმერეთისა და კახეთის ეთნოგრაფიული მონაცემები ამ დასკვნის საშუალებას იძლევა. ერთი ოჯახის წევრი მამაკაცები ჩაწერილი არიან -ეთ და -ძე სუფიქსებით,

ქალები -ურ სუფიქსით. მაგალითები: „გაბრიჩაული მარინე", „ვერძაული ცხოვრება", „კირკიტული ნათელი", „მიქელაური გუანცა", „ჯოიური ნათელი", „გიორგაული"...

ქართული გვარსახელების ისტორიის კვლევისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ე.მეტრეველის მონოგრაფიას „მასალები იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიისათვის" (თბ., 1962). განსხვავებით „ტბეთის სულთა მატიანისაგან", იერუსალიმის ჯვრის მონასტრის ალაპებში, რომელთა სხვადასხვა ფენა XII-XVII საუკუნეებით თარიღდება, ძირითადად პრივილეგირებული ფენების გვარსახელებია მოხსენიებული. ჩვენ აქ იმის ადგილი არა გვაქვს მიმოვიხილოთ ყველა ის მასალა და დასკვნა, რომელიც დასახელებულ წიგნშია მოცემული, მხოლოდ მოკლედ აღვნიშნავთ ზოგიერთ იმ გვარსახელს, რომელსაც მრავალი საუკუნის ისტორია აქვს და რომლებიც დღესაც განაგრძობენ არსებობას. გარკვეულია, რომ საუკუნეების სიღრმეში იღებს სათავეს ამაშუკელების გვარი. XIII-XIV საუკუნეთა მიჯნის ალაპში დასახელებულია ვაჩე ამაშუკელის მეუღლე ვანენა" (გვ. 126). იმავე პერიოდის ალაპში სხვა ამაშუკელიცაა ფიქსირებული ("ნიანია ამაშუკელი") (გვ. 147). XII ს-დან გვეძლევა საშუალება თვალი გავადევნოთ გარაყანიძეთა და ჭილაძეთა გვარებს. გარაყანიძეებზე სიტყვას აღარ გავაგრძელებთ, რადგან ამ გვარის შესახებ სხვა ადგილზე გვაქვს საუბარი, რაც შეეხება ჭილაძეებს, ე.მეტრეველს მათ შესახებ თქმულს დავესესხები. XIII ს. ალაპში მოხსენიებულია რა „მზექალი ჭილაძის ასული", ავტორი წერს: „ამგვარად ჭილაძეთა გვარის წარმომადგენელთა მოხსენიების უძველესი შემთხვევები ჯვრის მონასტრის ალაპებმა შემოგვინახა..." „აქამდე უძველესად ითვლებოდა ტყვირის ეკლესიის აღმაშენებელი, XIV ს. დამლევისა და XV ს. დამდეგის მოღვაწენი, ძმები: ქველი, კახაბერი და ჩუბინი (იხ. ე.თაყაიშვილი, არქეოლოგიური მოგზაურობა სამეგრელოში, — „ძველი საქართველო", III, გვ. 4). ჭილაძეები კი, როგორც ჩანს, XIII-XIV საუკუნეებში ძლიერი მთავრები იყვნენ და ფლობდნენ დიდ მხარეს გურიასა და სამეგრელოს შუა" (გვ. 141). ჯვრის მონასტრის ალაპებმა გამოავლინა აგრეთვე გვარი, რომელიც აქამდე სხვა საისტორიო საბუთებით თითქმის ცნობილი არ იყო. ესაა ფალქოზიძეების გვარი: „ნუსხის ამ ნაწილში დასახელებული პირები XI-XIII საუკუნეების მოღვაწენი არიან. ამ დროის ფარგლებში უცხოვრიათ ფალქოზიძეებს" (გვ. 127). ეს უკანასკნელი გვარი XIII ს-ის „მატიანე სვანეთის კრებისაჲ"-შიც არის დასახელებული: „მუხლუხაჲ ფალგოზისძე" (პ.ინგოროყვა, II, გვ. 117). გასარკვევია, ხომ არ არიან ფარქოსაძეები ფალქოზიძეების შთამომავალნი? ჩვენი მხრივ დავუმატებთ: ფალქოზიძეებისა და გარაყანიძეების გვარები ხომ არ მოდი-

ოდა მარუშიანთა ცნობილი გვარიდან? ჯვრის მონასტრის აღაპების მიხედვით, მამაკაცის სახელი „მარუშიანი", როგორც ერთ, ისე მეორე გვარში ტრადიციული სახელი იყო. ამ მოსაზრებას გამოგვათქმევინებს ის ტრადიცია, რომელიც ქართველ ხალხში არსებობდა. ესაა ახალ გვარსახელში ადრინდელი გვარის სახელად ქცევის ტრადიცია. ჯვრის მონასტრის აღაპები სხვა გვართა ისტორიასაც ჰფენს ნათელს. აშკარაა, რომ ჯავახიშვილების გვარის თორელთა გვარიდან გამოყოფას საფუძველი XIII ს-ში ჩაჰყრია" (გვ. 123, 153).

ე.მეტრეველმა შეისწავლა აგრეთვე ჯიბისძეთა გვარის ისტორია. ჯიბისძეები, დავით და ივანე მოღვაწეობდნენ XI ს-ის პირველ ნახევარში. ისინი ხელნაწერთა შემქმნელნი იყვნენ. დავითი ყოფილა ივანეს ბიძა; ისინი ჯერ შატბერდში მოღვაწეობდნენ და შემდეგ გადასულან შავ მთაზე (ე.მეტრეველი, შავი მთის მწიგნობრული კერის ისტორიისათვის XI ს-ის პირველ ნახევარში, — „მუზეუმის მოამბე", XX-B, 1959). ჯიბისძე, რა თქმა უნდა, ტიპიური გვარსახელია. ბიძა (დავითი) და ძმისწული (ივანე) ამ მემკვიდრეობითი სახელის (ჯიბისძე) საერთო მატარებელნი არიან.

არაერთი ქართული გვარსახელია ფიქსირებული სინის მთის სულთა მატიანეში. შეიძლება დავასახელოთ: თაითაძე, მარკოზიძე, ხუცურიძე, ჯაყელი ("ს~ლა ჯაყელთასა ყუარყ~უარესა და ძეთა მ~თთა შ~ს ღ~ნ"), დადიანი (გიორგი, შერგილი, ვამეყი), გენდებასძე, ციციშვილი, ჴაურაცისძე, მაჭუტაძე, ზედგინიძე, ვაჩინასძე, ხუნტუსძე, ბურდიაშვილი, კალმახელი, უგნოძე, შაშვაშვილი, გიორგასძე, სკნღკლსძე, ქკრციკისძე, გურიმგულია, სარიმანისძე, საღირისძე, ახალასძე, ლასურისძე, კოპასძე, ზაქისძე, კავკასისძე, თურმანისძე, თათაძე, ვაბნიძე და სხვ. (ივ. ჯავახიშვილი, სინის მთის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, თბ., 1947, გვ. 241-251). სიცხადისათვის მოვიყვანთ ერთ ტექსტს: „ს~ლსა მოძღ~არსა ჩიდანისძესა დიონისიოს შ~ს ღ~ნ; მეუღლე ყოფილსა მისსა მართას შ~ს ღ~ნ და ძეთა მთ~თა იოვანეს ჩიდანისძეთა შ~ს ღ~ნ. და ამას მატიანისა ჴ~ლითა მწერელსა ჩიდანისძესა ელია ყ~ფილსა ელისეს შ~ს ღ~ნ" (გვ. 244). კიდევ ერთი ამონაწერი: „ს~ლსა იორდანეს ჩიდანისა შ~ს ღ~ნ" (გვ. 245). აშკარაა, რომ მამა — დიონისიოსი და მისი შვილი — იოვანე ერთი და იგივე მეორე სახელს ანუ მემკვიდრეობით სახელს (გვარსახელს) ატარებენ. დიონისიოსი მამისაგან მიღებულ მემკვიდრეობით სახელს (ჩიდანისძეს) გადასცემს თავის შვილსაც. იმავე ტექსტში მოხსენიებული ელია (ელისე) ჩიდანისძე (სულთა მატიანის "ჴელით მწერელი"), როგორც ჩანს, ამ გვარის გვერდითი შტოს წარმომადგენელი იყო. დიონისიოსის და იოვანეს მემკვიდრე რომ ყოფილიყო, ამის შესახებ აუცილებლად იქნებოდა თქმული. სხვა მოსახსენებელ-

ში ფიქსირებულია „იორდანე ჩიდანი" (და არა ჩიდანისძე), რაც გვაფიქრებინებს, რომ აღნიშნული გვარის თავდაპირველი ფორმა უნდა ყოფილიყო ჩიდ-ან-ი (მსგავსად ფილფ-ან-ის, გადრ-ან-ის...) და შემდეგ დამატებია -ძე ფინალი. სინის მთის სულთა მატიანეში პიროვნება სამკომპონენტიანი ანთროპონიმული მოდელითაც არის შეტანილი (გვარი+სახელი+მამის სახელი): „სულსა მარაკისძესა ჭაოვანსა ჯავარას შვილსა ღმერთმან შეუდოსა" (გვ. 250).

საყურადღებოა, XVIII ს-ის პირველი მეოთხედის კახეთის მოსახლეობის აღწერისა და 1801 წლის კახეთის მოსახლეობის აღწერის შედარება. მართალია, ამ აღწერებს ჩვენამდე სრულყოფილი სახით არ მოუღწევია, მაგრამ ზოგიერთი სოფელი არის როგორც ერთ, ისე მეორე აღწერაში. ორივე აღწერის მემკვიდრეობითი სახელები (გვარსახელები) ერთმანეთს ემთხვევა. ორიოდე მაგალითი: სოფელ შილდაში გლეხები ცეცხლაშვილები მოხსენიებულნი არიან 1665 წლის საბუთში (დოკუმენტები, I, ნ.ბერძენიშვილის გამოცემა, გვ. 369). ცეცხლაშვილები სოფ. შილდაში შეტანილი არიან XVIII ს-ის I მეოთხედის აღწერის დავთარში („გოშფარ ცეცხლაშვილი, გიორგი ცეცხლაშვილი, ივანე ცეცხლაშვილი" — ივ.ჯავახიშვილი, სეიძ, I, 59-60). ცეცხლაშვილები შილდაში ჭავჭავაძეების ყმებად დასახელებულნი არიან 1801 წლის აღწერაშიც (გ.ბოჭორიძე, „საქართველოს არქივი"., III, გვ. 179). იგივე შეიძლება ითქვას, შილდელი ტურიკაშვილების, ჩახტაურების და სხვათა შესახებ. ამრიგად, გვიანფეოდალურ პერიოდში, ჩვენს ხელთ არსებული საისტორიო მონაცემებით, შილდელ ცეცხლაშვილებზე, ტურიკაშვილებზე, ჩახტაურებზე და სხვებზე თვალყურის გადევნება ხერხდება თითქმის საუკუნენახევრის მანძილზე. ვფიქრობთ, აღარავითარი მტკიცება აღარ სჭირდება იმას, რომ საქმე გვაქვს მემკვიდრეობით სახელთან, ე.ი. გვარსახელთან.

თიანეთში 1610 წლის საისტორიო საბუთში შეტანილი არიან გოგიტა და გიორგი ზამთარაულები (დოკუმენტები, I, 363). ეს გვარი თიანეთში 1675 წ. საბუთშიცაა დასახელებული (ბერუკა, ვეფხია ზამთარაულები). ზამთარაულები თიანეთში მკვიდრობდნენ XVIII ს-ის პირველ მეოთხედშიც. საერთოდ, ზამთარაულები თიანეთში (აგრეთვე, კახეთის სოფელ იყალთოში) მთიულეთიდან იყვნენ მიგრირებულნი. აქ დღესაც მიუთითებენ ნასოფლარ „ზამთრეულს" (ცხავატის თემში, "ცეცხლიჯვრის" სალოცავის მახლობლად). ამ შემთხვევაშიც, აშკარად, მემკვიდრეობით სახელს (გვარსახელს) ვხედავთ.

1648 წელს ძაგნაკორის მკვიდრებად დასახელებულია ბიბიანის გვარი (პალ, I, 310). ძაგნაკორაშივე XVIII ს-ის I მეოთხედის მოსახლეობის აღწერაში შეტანილია „ბიბიაშვილი გახუტა სალთხუცესი"

(ივ.ჯავახიშვილი, სეიძ, I, გვ. 50). ბიბიაშვილის გვარი ("სულხან ხიმშიაშვილის ყმა ძაგნაკორელი ბიბიაშვილი გიორგი") მოხსენიებულია 1774 წლის მორიგე ლაშქრის ნუსხაში (ივ. ჯავახიშვილი, სეიძ, II, გვ. 118). ძაგნაკორასთან ახლოს, სოფელ ბულაჩაურში აგრძელებდნენ ბიბიაშვილები ცხოვრებას 1801 წელსაც: "ბიბიაშვილი გრიგოლ ობოლი", "ბიბიაშვილი ივანე", "ბიბიაშვილი ზაზა" (გ.ბოჭორიძე, გვ. 141). ამ შემთხვევაშიც აშკარად საქმე გვაქვს გვარსახელთან.

შესაძლებლობა გვაქვს ერთმანეთს შევადაროთ გვიანფეოდალური პერიოდის ზემო ქართლის XVII ს-ის დამდეგის, XVII ს-ის მეორე ნახევრისა და 1715 წლის აღწერის დავთრები. XVII ს. დასაწყისში სოფ. ღვერთეთში ცხოვრობდნენ კოჭატაძეები. ეს გვერი სოფელ ღვერთეთში შეტანილია 1715 წლის რუისის სამწყსოს დავთარშიც. XVII ს-ის დასაწყისში ღვერთეთში ხუთი ოჯახი გვრიტიძე იყო ჩაწერილი (ივ.ჯავახიშვილი, სეიძ, II, 83), 1715 წელს — სამი კომლი. ასევე ცხოვრობდნენ აღნიშნულ სოფელში ერთი საუკუნის შემდეგ ხრიკაძეები, მესხები. ახლა, სოფელ თორმანეულის XVII ს. დასაწყისისა და 1715 წლის აღწერები შევადაროთ. ამ სოფელში, ერთ საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში, თვალი ედევნება ხუციშვილების, გრიგალაშვილების, ხახანაშვილების, ნანიტაშვილების, ჯოხაძეების, კიტრაძეების მკვიდრობას. სოფელ აბანოში ერთი საუკუნის შემდეგ, კვლავ ცხოვრობდნენ: კოკოლაშვილები, ბათლომაშვილები, ტაბატაძეები, ლიპარიტიშვილები, ზუბიაშვილები, სუხიტაშვილები, ბეჟიტაშვილები, კობალაძეები, ზუბიტაშვილები, კვესაძეები... ვფიქრობთ, ამ თვალსაზრისითაც მსგავსი მაგალითების მოყვანა საკმარისჩა. ცხადია, რომ დასახელებულ სოფლებში, ერთი და იმავე სოფლებში თვალი ედევნება ერთსა და იმავე მემკვიდრეობით სახელს (გვარსახელს), რომელიც, რა თქმა უნდა, ამ დროის განმავლობაში, ოთხ თაობას მაინც გადაეცემოდა.

ქართული გვარსახელების საკითხს ახლა სხვა კუთხითაც უნდა შევხედოთ. გვაქვს დასავლეთ საქართველოს 1904 წლის აღწერა. ამ აღწერით, გურიაში კალანდაძეები და სიხარულიძეები 150-ზე მეტი ოჯახის რაოდენობით ცხოვრობდნენ. სიხარულიძეები პირველად XIV-XV სს. მიჯნაზე „ტბეთის სულთა მატიანეში" არიან მოხსენიებული. გურიაში სიხარულიძეები სწორედ აქედან, შავშეთიდან არიან გადმოსახლებულნი. ქვემო აჭარაში, აკავრეთის ხევში არის სოფელი „სიხალიძეები", რომელიც, თავის დროზე, სიხარულიძეებით იყო დასახლებული. "სიხალიძეები" სიხარულიძეების ქვემო აჭარულის გამოთქმის ფორმაა, რადგან, ცნობილია, რომ ამ დიალექტში „რ" ბგერა იშვიათად გამოითქმის და მას „ლ" ბგერა ენაცვლება. გურიაშივე დოლიძეების რაოდენობა 135 კომლს აღწევდა. სამეგრელოში არა-

ერთი დიდი გვარი იყო, რომელთა კომლობრივი რაოდენობა ერთ ასეულს აჭარბებდა. სამეგრელოს სოფელ ლესიჭინეში სიჭინავების 267 ოჯახი მკვიდრობდა. კვარაცხელიების რაოდენობა 245 ოჯახს აჭარბებდა. ორასი კომლი იყვნენ შენგელიები და კიდევ ერთი ამდენი შენგელია იმერეთში ცხოვრობდა. დანელიები სოფელ ნაჯახოუში 165 კომლს აღწევდნენ. გვასალიები სოფელ ხორში 120 კომლი იყვნენ, ჭანტურიები და შონიები — 140 და ა.შ.

ახლა რაჭას გადავხედოთ. რეხვიაშვილების რაოდენობა (სოფ. ჭიორაში) 92 კომლი იყო, ლობჟანიძეებისა — 76, მეტრეველებისა — 105, კობახიძეებისა (სოფ. ნიკორწმინდაში) — 106. ეს იმ დროს, როცა რაჭიდან ამ გვარების წარმომადგენელთა მიგრაცია XVIII-XIX სს-ში ინტენსიურად მიმდინარეობდა აღმოსავლეთ საქართველოში. არაერთი მოგვეპოვება ასეთი მრავალრიცხოვანი გვარები იმერეთშიც. 1904 წლის აღწერით, ზემო იმერეთში, 170 კომლი გელაშვილი მკვიდრობდა. ორი ამდენი გელაშვილი კი ბორჯომის ხეობასა და შიდა ქართლში იყო მიგრირებული. სოფელ გაღმა კაცხში 122 კომლი მოდებაძე ცხოვრობდა. მაჭარაშვილების რაოდენობა კორბოულში 115 ოჯახი დავითვალეთ. მაღრაძეები, მუმლაძეები და ვაშაკიძეები ცალ-ცალკე 110 ოჯახზე მეტი იყვნენ. სოფელ უხუთში ხურციძეები და დვალიშვილები ერთად სოფელ დვალიშვილებში 100 კომლზე მეტი აღირიცხებოდნენ. იმერეთში მრავალრიცხოვნებით გამოირჩეოდნენ აგრეთვე გაფრინდაშვილები, ყაჳილაშვილები, გაჩეჩილაძეები, ჭუმბურიძეები (მოხსენიებულნი არიან 1578 წელს), ბერაძეები, კუპატაძეები, ლომიძეები, ბარბაქაძეები, ცერცვაძეები, გველესიანები, ტყეშელაშვილები. რაც შეეხება კაპანაძეებს, ზემო იმერეთში მათი რაოდენობა 300 კომლი იყო. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ყველა ამ გვარის წარმომადგენელი დიდი რაოდენობით იყო მიგრირებული ბორჯომის ხეობასა და აღმოსავლეთ საქართველოს სხვადასხვა რეგიონში, ვფიქრობთ, სავსებით გასაგები უნდა იყოს, რამდენი თაობისა და რამდენი საუკუნის წარმოქმნილ-წარმოშობილი უნდა ყოფილიყო თითოეული ზემოხსენებული გვარსახელი.

1886 წლის საოჯახო სიებით კახეთის სოფელ ჯუგაანში 80-80 კომლი კიკილაშვილი და ალადაშვილი მკვიდრობდა. ხევსურეთში 1873 წლის აღწერით 200 კომლი არაბული ცხოვრობდა, ჭინჭარაული — 190, გოგოჭური — 125, წიკლაური — 105. ამავე დროს, ისიც გასათვალისწინებელია, რომ ამ ხევსურული გვარების უმეტესობა მთისწინეთსა და ბარში იყო მიგრირებული.

ქართული საისტორიო საბუთებით გვეძლევა საშუალება დავადგინოთ არაერთი ქართული გვარსახელის ასაკი. თუმცა ამ ასაკის განსაზღვრა მაინც მიახლოებითია, რადგან ჩვენ არა გვაქვს ისეთი

საბუთები შემორჩენილი, რომლებშიც ამა თუ იმ გვარის წარმოქმნა იქნებოდა დაფიქსირებული. ამ მხრივ შესანიშნავ წყაროს წარმოადგენს დასავლეთ საქართველოს XVI-XVII სს-ის საეკლესიო საბუთები (იხ. ქსძ, ტ. III). 1578 წლის ქუთაისის საყდრის გამოსავლის ბეგარის დავთარში დასახელებულია მრავალი გვარი (თითოეული გვარსახელი ათეულობით კომლი), რომლებიც იმავე სოფლებში მკვიდრობდნენ 1842-1843 და 1904 წლებში და ცხოვრობენ დღესაც. მაგალითად, შეიძლება დავასახელოთ რუხაძეები, ქაშიბაძეები, ბიბილაშვილები, აფრიდონიძეები, ტაბიძეები, მელაძეები, კუტივაძეები, ჩიბურდანიძეები, სვანიძეები, გერაძეები, კაშმაძეები, გორგიძეები, აბუდალაძეები (ახლა აბდალაძეები), სირბილაძეები, დიდბარიძეები, სანიკიძეები (სანიკიანები). სოფელ მაღლაკში 1578 წლის საეკლესიო დავთარში შეტანილი არიან ჟორჟოლიანები, ხაზარაძეები და შალაბერიძეები. ეს გვარსახელები ამავე სოფელში ფიქსირებულია 1842 წლის ალსარების მთქმელთა დავთარში და 1904 წ. აღწერაში. ზუსტად იგივე შეიძლება ითქვას ფარცმანაყანევში მცხოვრები კილაძეებისა და ლაღაძეების, პატრიკეთელი ნარჩომაშვილების (ნარჩემაშვილების) შესახებ. 1578 წ. საბუთში გურიის სოფელ ბახვს დიდი რაოდენობით არიან დასახელებული ანდღულაძეები, დოლიძეები, ქიქოძეები, ჯინჭარაშვილები, მჭედლიძეები (შემდეგდროინდელი ჭელიძეები). ეს გვარები ამ სოფელში მუდმივად მკვიდრობდნენ აგრეთვე XVII, XVIII, XIX საუკუნეებშიც და დღესაც. კიდევ ერთ მაგალითს მოვიყვანთ გურიიდან. 1414 წლის საბუთში სოფ. ოცხანაში დასახელებული არიან კალანდაძეები. ამავე სოფელში ეს გვარი და მეგრელიძეები, თავართქილაძეები, ციკვინაძეები (იგივე ლომთათიძეები) არაერთგზის გვხვდებიან XVI ს-ის საბუთებში. დასახელებული გვარები დღესაც მკვიდრობენ ამ სოფელში, რომელიც ახლა ხიდისთავის სახელს ატარებს. ახლა მაგალითები სამეგრელოდან. ხობში XVI ს-ში ცხოვრობდნენ: ცხომარიები, ჭანტურიები, შონიები, კუარაცხელიები. იგივე გვარები ხობის 1904 წლის აღწერაშიც არიან შეტანილი. 1621 წ. საბუთით ნაგვაზაუში აღრიცხული არიან: სურმავები (ჩაწერილი არიან სურმაად), ჯანაშიები (ჩაწერილი არიან ჯავნაშიებად). სოფ. ხიბულაში 1621 წელს ცხოვრობდნენ: ქარცხიები და ქავთარიები. ორივე ეს გვარი 1904 წლის ხიბულის აღწერაშიც არის შეტანილი. საცაიშლო გამოსავლის დავთარში (1616-1621 წწ.) გვხვდებიან: შონიები, ბერიები, ბუკიები, წარბაიები, ლატარიები, კუტალიები, გეგებერიები, ქორიები, წულაიები, მეუნარგიები, ხვიჩიები, გვაზავები (გვაზაა), ნაჭყეპიები, გაბელიები, საღარაიები, ტურავები (ტურაა), აფხაზავები, ბერქაიები, ვართაგავები, ხაზარიები... დასახელებული გვარები დღესაც მკვიდრობენ სამეგრელოს იმავე

სოფლებში. 1621 წლის საბუთში სოფელ ჩხარში აღრიცხული არიან აბულაძეები და ნიკოლაძეები, რომლებიც იმავე ჩხარში 1904 წ. აღნერაშიც არიან ფიქსირებულნი. 1621 წ. სოფელ ბუეთში ბრეგაძეების რვა ოჯახი ცხოვრობდა. 1843 წელს იგივე გვარი ბუეთში 24 კომლი დავითვალეთ. საკოპაძეოში (ბაღდათი) 1578 წ. მკვიდრობდნენ რობაქიძეები, გოგნაძეები, გოგსაძეები, კოპაძეები... სოფლის სახელს ამ უკანასკნელი გვარის სახელი დაედო საფუძვლად. ეს გვარები აქ მკვიდრობას აგრძელებდნენ XVII, XVIII, XIX და XX საუკუნეებში. რაც შეეხება კოპაძეების გვარს, მის სიძველეზე მიუთითა ე.მეტრეველმაც. მირიან კოპაძე XIV ს. I ნახევრის ალაპშია დასახელებული (ე.მეტრეველი, გვ. 162). ე.მეტრეველი წერდა: "კოპასძენი ძველი გვარია. ბერთას სახარების XIV-XV საუკუნეების მინაწერებში მოხსენიებულნი არიან: ამბრი, შუბა და ზავრა კოპაისძენი" (გვ. 125). სოფ. კოპაძე მდებარეობდა სამცხეშიც, სოფ. აწყურთან, რომელშიც 1886 წ. 5 ოჯახი მაჰმადიანი ქართველი მკვიდრობდა.

რაჭის სოფლებიდან ორიოდე მაგალითს მოვიყვანთ. 1621 წ. საეკლესიო დავთარში სოფ. ბარში დასახელებული არიან გიორგობიანები, მაგრაქველიძეები, გრძელიძეები, ჩლაჩაძეები (ჩლაჩიძეები), გუელებიანები (გველებიანები), სულაძეები, მკერვალიშვილები (კერვალიშვილები), ციხისელები (იხ. ქსძ, III, 397-399). ყველა ეს გვარი სოფ. ბარში აღრიცხულია 1904 წელსაც. რაც შეეხება უკანასკნელად დასახელებულ ციხისელების გვარს (1904 წელს — 20 ოჯახი), მათი ძირი-გვარი შინდაგურიძე უნდა ყოფილიყო. ბარის ღვთისმშობლის ეკლესიის ერთ-ერთ ხუცურ წარწერაში ვკითხულობთ: "შინდაგურიძე — მოძღვარი ციხისა, დეკანოზი. ციხისელობა ციხისა შენებისათვის გამომყოლია" (გ.ბოჭორიძე, რაჭა-ლეჩხუმის ისტორიული ძეგლები და სიძველეები, თბ., 1994 წ., გვ. 20). გ.ბოჭორიძემ ყურადღება მიაქცია რაჭის ისტორიულ ძეგლებზე მოთავსებულ ეპიგრაფიკულ წარწერებს, რომლებშიც ამოიკითხა არაერთი გვარი, რომლებიც აქ დღესაც მკვიდრობენ. სოფელ ფარახეთის XVII ს-ის მთავარანგელოზის ეკლესიის კედლებზე ამოიკითხა (წარწერები შესრულებულია ასომთავრულით): "ტოგონიძეთა დიდთა... შეუნდოს ღმერთმან", "გელბახიანსა შეუნდოს ღმერთმან..." "ტაბუცაძეთა დიდთა შეუნდოს ღმერთმან", "ვაშაბერიძეს შეუნდოს ღმერთმან", "ერაძეს შეუნდოს ღმერთმან" (გვ. 211-213). იმავე ეკლესიის წარწერებში მოხსენიებულნი არიან არიშიძეები, თულულაშვილები, ცინარიძეები, ცერგელაძეები და შოთაძეები. ეს გვარები XX ს-ში ფარახეთში უკვე აღარ ცხოვრობდნენ. ისინი სხვაგან იყვნენ გადასახლებულნი. გ.ბოჭორიძეს მიუქცევია ყურადღება იმ გარემოებისათვის, რომ აღნიშნული გვარების ფარახეთში მკვიდრობა შემონახულია, როგორც აქ

მცხოვრები ხალხის გადმოცემებში, ისე ტოპონიმებში: "არიშაული", "სათურლულაო", "ცინარეული", "ცერგელაური", "შოთაური" (გვ. 214). გ.ბოჭორიძემ რაჭაშივე ერთ-ერთი ეკლესიის ოთხთავის XIV-XV საუკუნეების პალეოგრაფიული ხელით შესრულებულ წარწერაში ამოიკითხა „რაფიელ ბუაძე" (გვ. 87). მანვე აღნიშნა, რომ „ბუაძეთა გვარი ადგილობრივ, როგორც ეს ზევითაც აღვნიშნეთ, დღეს 60 კომლამდე არის" (გვ. 88). 1493 წ. აშენებულ და მოხატულ სოფელ ბეთლევის ეკლესიის წარწერებიდან: "ჯუარის მამა კკტაშვილი იოანე", "თაყა კკტაშვილი და უთრუთ...", "მამილა ფონჯავიძე", "მიქა სირასძე" (გვ. 152-153). 1904 წ. ეს გვარები რაჭაში კვლავ მკვიდრობდნენ ბეთლევსა და მის მეზობელ სოფლებში (ზემო კრიხში, ველევში, შხპვანაში). ფონჯავიძეები (ფანჯავიძეები) ზემო კრიხში ნახსენები არიან 1752 წლის დოკუმენტშიც. ამავე სოფელში კვიტაშვილები (კვირტაშვილის ფორმით), აგრეთვე მესხები და გუბერიძეები ფიქსირებულნი არიან XVII ს. შენირულობის წიგნში. ცნობისათვის, აზნაურ კვიტაშვილთა ადრინდელი გვარი ორალელისძე იყო. ამ ორი გვარით არიან ისინი ჩაწერილნი 1463 წლის საბუთში ("საქართველოს სიძველენი", III, 1910, გვ. 434).

რაჭის სოფელ სხვავას „ძელი ჭეშმარიტის" ეკლესიის XIII ს-ის წარწერებში (ხუცური წარწერა) ვკითხულობთ: "წმინდაო გაბრიელ, შეიწყალე ვარდან გიონაისძე. მათსა ხელოსნობასა საძირკველი ჩაიდვა" (გ.ბოჭორიძე, გვ. 188). გიონაიძეები უნდა იყვნენ 1904 წლის აღწერაში იმავე სოფელში მოსახლე გონაძეების წინაპრები. ჩანს, გვარსახელმა ფონეტიკურად სახე იცვალა: გიონაისძე—>გონაძე. 1843 წლის რაჭის სოფელ სხვავას წმინდა გიორგის ეკლესიის აღსარების მთქმელთა დავთარში შეტანილი არიან საეკლესიო და უჩინო აზნაური გონაძეები.

საქართველოში ახალი გვარსახელის წარმოქმნა რომ ჩვეულებრივი მოვლენა იყო, კარგად ჩანს ქართული საისტორიო საბუთებითა და ეთნოგრაფიული მონაცემებით. მხოლოდ ორიოდე მაგალითს მოვიყვანთ. რაჭის სოფელ ჯვარისას მკვიდრნი იყვნენ ბოჭორიშვილები. ეს გვარი ჯვარისაში პირველად 1637 წლის საბუთშია ნახსენები (თ.ჟორდანია, ქრონიკები, II, გვ. 451-452). ბოჭორიშვილები შეტანილი არიან რაჭის სოფელ ჯვარისას წმინდა გიორგის აღსარების მთქმელთა დავთარში ჩყმგ (1843) წელს. აქვე მკვიდრობდნენ ისინი 1904 წლის აღწერით (ქუთაისის სახ. არქივი, ფ. 8, ან. 1, საქ. N817). ეთნოგრაფიული მონაცემებით, ბოჭორიშვილების ადრინდელი გვარი ოქროსცვარიძე ყოფილა (იხ. გ.ბოჭორიძე, რაჭა-ლეჩხუმის ისტორიული ძეგლები და სიძველეები, თბ., 1994, გვ. 292). იგივე გადმოცემა აქვს დადასტურებული ჯვარისადან ოკრიბაში გადასახლებულ

ბოჭორიშვილებში ქუთაისის დიალექტოლოგიის ინსტიტუტის მეცნიერ თანამშრომელს დავით შავიანიძეს. გ.ბოჭორიძესვე აქვს ფიქსირებული ტყეშელაშვილების ადრინდელი გვარი: "გადმოცემით იგი (ბზვანის წმინდა გიორგის ეკლესიაში დაცული დაბალ ვერცხლზე ნაჭედი წმინდა გიორგის ხატი — რ.თ.) მოტანილია აფხაზეთიდან კოზოლაძეების მიერ, რომელნიც დღეს ტყეშელაშვილებად იწერებიან (გ.ბოჭორიძე, იმერეთის ისტორიული ძეგლები, თბ., 1995, გვ. 50). საქართველოში, როგორც აღმოსავლეთში, ისე დასავლეთში განსახლებული არიან კანდელაკები. გვარი პროფესიული ტიპის ქართულ გვარსახელთა რიცხვს მიეკუთვნება (საბას განმარტებით: "კანდელაკი — მნათე, მესანთლე"). ამ პროფესიის წარმომადგენლებს ბევრს კანდელაკობა გაუგვარდათ. თანაც საქართველოს სხვადასხვა კუთხეში კანდელაკის გვარს სხვადასხვა გვარის ადამიანებმა ჩაუყარეს საფუძველი. მაგალითად, იმერელი კანდელაკების ადრინდელი გვარი გადმოცემით ქორიძე იყო. გადმოცემა ეპიგრაფიკული ძეგლით დასტურდება. გ.ბოჭორიძეს გამოჩინებულის წმინდა გიორგის ეკლესიის საქალებო შესავლის კარის თავზე ამოუკითხია: "მოიხსენევი აზნაური გამოჩინებულის (კანდელაკი გ~ს გიორგის ლაზარეს და) ნიკოლოზის ძენი (ქორიძენი)" (გ.ბოჭორიძე, იმერეთი, გვ. 39).

დიდი ხნის ისტორია აქვს დვალების (დვალაძეების) გვარს რაჭაში. რაჭის სოფელ შავრაში დვალაძეები დასახელებული არიან 1544 წლის საბუთში (პალ, II, 74). XVII ს. I ნახევარში შავრაში მცხოვრებნი უკვე დვალის გვარსახელს ატარებდნენ (იქვე) — დასახელებულია „შავრას გლეხი ნასხიდა დვალი". 1581 წლის საბუთით დვალებს ("დვალი ბიჭუაი") რაჭის სოფელ ქუელვარდიასაც უცხოვრიათ. 1904 წლის აღწერით აქ რაჭველი დვალები კვლავ აგრძელებდნენ მკვიდრობას. "დვალთ სამარხი" ფიქსირებულია XV ს. II ნახევრის საბუთში (პალ, II, 74). დვალების გვარი მოხსენიებულია ქართლში 1527-1558 წწ. საბუთში. ისინი ჯავახიშვილების ყმები ყოფილან. დვალები ქართლის სოფელ კულბითს მოხსენიებულნი არიან XVII ს-ის II ნახევრის აღწერის დავთარში. დვალიშვილების გვარი კი ქართლის არაერთ სოფელშია მოხსენიებულია XVI-XVII სს-ის საისტორიო საბუთებში. XI-XIV სს. კალის ლაგურკაში გრაფიტზე გვხვდება გვარი „დვალიანი": "წმინდაო კჳრიკე, შეიწყალე დემეტრე დვალიანი" (ვ.სილოგავა, ზემო სვანეთის გრაფიტები, — "სვანეთი — II", თბ., 1979, გვ. 115). ეს გვარები (დვალი, დვალიძე, დვალიანი, დვალიშვილი) ეთნონიმურ გვართა რიცხვს მიეკუთვნებიან. მათი წინაპრები საქართველოს ერთ-ერთი უძველესი და მნიშვნელოვანი ისტორიულ-გეოგრაფიული მხარიდან — დვალეთიდან იყვნენ მიგრირებულნი. საქართვე-

ლოს სხვადასხვა პროვინციაში დვალის, დვალიძის, დვალიშვილის გვარები საკმაოდ ადრეა წარმოქმნილი, როცა დვალეთიდან დანარჩენ საქართველოში დვალთა გადმოსახლება ინტენსიური იყო. საისტორიო მონაცემების გააზრებას იმ დასკვნისაკენ მივყავართ, რომ აღნიშნული გვარები XV ს-მდე უნდა წარმოქმნილიყო. უდავოდ, დვალის გვარსახელთან გვაქვს საქმე XI-XIII სს ცნობილი კალიგრაფების იოანე დვალის, მიქელ დვალის, სტეფანე დვალის, გიორგი დვალის სახელწოდებებში. აშკარაა, დვალების გვარში მემკვიდრეობით გადადიოდა თაობიდან თაობაზე კალიგრაფის პროფესია. სამწუხაროდ, ისე მოხდა, რომ დვალიშვილების გვარის ნაწილი (ისე როგორც თვით დვალთა თემი) ოსთა შიდა ქართლის მთაში მიგრაციის შედეგად, ოსურ ენობრივ-ეთნიკურ გარემოში გაოსდა, რის შემდეგაც გვარმა დაკარგა „დ" თანხმოვანი და მივიღეთ გვარი ვალიშვილი, შემდეგ კი ვალიევი.

1455 წ. საბუთით სამეგრელოში ცხოვრობდნენ ნადარაიები, მასხულიები, წუწუნავები, ბერიები, ყურუები, სხუიტავები, შონიები... ხოლო უფრო ადრინდელ, XIV ს-ის დოკუმენტით: ძიძიები, შამიგიები, გვაგინავები (პალ, II, გვ. 11). დასახელებული გვარების უმეტესობა ხომ დღესაც მკვიდრობს სამეგრელოში. 1628 წ. საბუთში სამეგრელოს სოფელ თეთლათში დასახელებულია სალაყაიას გვარი (პალ, II, 6). სალაყაიები დღესაც თეკლათში ცხოვრობენ. 1904 წ. აღწერაში თეკლათში სალაყაიების 17 კომლი დავითვალეთ, რომელთაგან 8 კომლი აზნაური და 9 კომლი გლეხი იყო. 1628 წლის საბუთში პაჭკორიების (მაშინ პაპაჭკორიებად იწერებოდნენ) გვარი დასახელებულია სოფელ ზანათს. პაჭკორიები ხომ დღესაც ჩვენი თანამედროვენი არიან. საარქივო მასალებით დგინდება, რომ პაჭკორიებს (პაპაჭკორიებს) სამეგრელოში საცხოვრისი გამოუცვლიათ. ისინი ზანათიდან საწულეისკიროში გადასახლებულან. 1689 წელს სამეგრელოს სოფ. ხორგაში დასახელებულნი არიან: ლეფონავები, ბერაიები, მერცხულავები, წულაიები. ეს გვარები ხორგაში აღირიცხებოდნენ 1904 წელსაც. სამეგრელოს რეგიონში გვარების დიდი ხნით არსებობის მიმანიშნებელია წალენჯიხის ტაძრის წარწერები. ერთ-ერთი ასეთი წარწერა გვამცნობს, რომ ვამეყ დადიანმა (1384-1396) კონსტანტინეპოლში მხატვარ მანუილ ევგენიკოსის მოსაყვანად გააგზავნა ორი ბერი: ანდრონიკე გაბისულავა და მახარებელ ქვაბალია. ესაა ერთ-ერთი ბედნიერი შემთხვევა ქართული გვარსახელების XIV ს-ში მოხსენიებისა. ეს გვარები ხომ დღესაც მკვიდრობენ სამეგრელოში. ქობალიების გვარი ერთ-ერთი დიდი გვარია. გადმოცემით, ისინი სვანეთიდან არიან მიგრირებული. ადრინდელი გვარი ყოფილა ქობალიანი. სალოცავადაც სვანეთში წმ. კვირიკეს ეკლესიაში დადიოდნენ.

წმინდა კვირიკეს ეკლესია აუგიათ სამეგრელოშიც. მათ დიდ სოფელს დღესაც „ლექობალე" ჰქვიან (გ.ელიავა, გ.ფარულავა, გ.შენგელია, ჩხოროწყუს რაიონის ტოპონიმიკის კატალოგი, თბ., 1983, გვ. 82-83).

ზემო იმერეთში დევაძეების (დევიძეების) გვარი პირველად 1480 წელს არის მოხსენებული სოფ. ჩხარში, აგრეთვე სოფ. ციცქიურში 1628 წელს, XVII ს-ის სხვა საბუთში. დევიძეები ზემო იმერეთში დღესაც ცხოვრობენ. 1904 წელს ისინი აღირიცხებოდნენ საირხეში, ნაკალოვარში, ბარბაწმინდაში.

1518 წელს „წიგნი მოცემული შიშოშ ფალავანდიშვილის მიერ გიორგი გულიკაშვილისადმი" გვაუწყებს: "შეგიწყალეთ და გიბოძეთ ესე წყალობის წიგნი და სიგელი უკუნისამდე ჟამთა გასათავებელი ჩუენ, პალავანდიშვილმა პატრონმა შიოშ და შვილმა ჩუენმა პატრონმან ვარდან და ძეთა ჩუენთა: პატრონმა ფეშანგი და მზექაბუკ თქუენ, ჩუენსა ერთგულსა ყმასა გულიკაშვილსა გიორგის და შენსა შვილსა ამოანს, გიორგის, იოთამს, დავითს, ბეჟანს და მომავალთა სახლითა თქუენისათა, ... ჵრიან ამისი მოწამენი: სალთხუცესი ნაგლაძე ზაალ, შალბალიქიშვილი გივი, ნაგორი შალბელიქიშვილი, ისპან სამალანიშვილი, გარსევან სამალანიშვილი, ჯაზდან შალბელიქიშვილი, ავთანდილ სამალანიშვილი, გიორგი სამალანიშვილი, ბეჟან დუჩიძე, გიორგი სირაძე, გოდერძი სირაძე, გიორგი მაკრახიძე. დაიწერა ხელითა თევდორე გოგატიშვილისათა" (დოკუმენტები, I, გვ. 5-6). საბუთში დასახელებული არიან ისტორიული საფალავანდიშვილოს სოფლებში (ფრონეების ხეობა) განსახლებული გვარები: დასახელებული გვარები იმავე რეგიონში მკვიდრობდნენ 1715 წელსაც (იხ. "რუისის სამწყსოს დავთარი"), XIX საუკუნეშიც. გულიკაშვილები სოფელ დირბში დღესაც ცხოვრობენ. აღნიშნული სიგელით აშკარაა, რომ ერთი და იგივე გვარები (თავადის, აზნაურის, გლეხის) ერთიდაიმავე რეგიონში მკვიდრობდნენ თითქმის 500 წლის განმავლობაში.

ზემოთ მხოლოდ მცირე მაგალითები მოვიყვანეთ ქართული მემკვიდრეობითი სახელისა (გვარსახელისა) საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან, რომლებიც აქ დოკუმენტურად აღირიცხებიან უკანასკნელი სამი, ოთხი, ხუთი საუკუნის განმავლობაში. თუმცა დასახელებული გვარსახელების ასაკი, რა თქმა უნდა, მხოლოდ სამი-ხუთი საუკუნით არ განისაზღვრება. მათი დიდი ნაწილი უფრო ადრე, რამდენიმე საუკუნის წინ იყო წარმოქმნილი.

ქართულ სინამდვილეში გვაქვს ერთი ჯგუფი გვარსახელებისა, რომლებიც არავითარ შემთხვევაში არ შეიძლებოდა წარმოქმნილიყო XIX საუკუნეში, საქართველოში რუსული მმართველობის დროი-

დან. მხედველობაში გვაქვს პროფესიული ტიპის გვარსახელების ერთი ჯგუფი, რომლებსაც აღმოსავლური (არაბული, სპარსული, თურქული) პროფესიული ტერმინები უდევთ საფუძვლად. ქვემოთ ასეთი პროფესიული ტიპის გვარსახელების ნაწილს ჩამოვთვლით, რომლებიც ჩვენში ფეოდალური პერიოდის ხანგრძლივ მონაკვეთში არიან წარმოქმნილნი: ქილიფთარი (მეღვინე, ღვინისა და სასმელების მნე მეფეთა და დიდებულთა სასახლეებში); მუჯირი, მუჯირიშვილი ("ხორბლის მნე") — იგივე შინაარსი აქვს ამბარდანს და ამბარდნიშვილს; მელიქიშვილი, მელიქიძე ("მელიქი" სოფლის ან ქალაქის მმართველი); ქალანთარი (ქალაქის თავი, პოლიციის უფროსი); სადუნიშვილი ("სადუნი" სხვადასხვა ენათა მცოდნეს ნიშნავს); შათირიშვილი (მალემსრბოლი, შიკრიკი); ჩუბინაშვილი, ჩუბინიძე ("ჩუბინი" — მარჯვე მსროლელს ერქვა. თუმცა ქართულ საისტორიო საბუთებში "ჩუბინი" მამაკაცის სახელადაც არის დადასტურებული); ქეშიკაშვილი ("ქეშიკი" სპარსულად გვამის მცველია, რუსულად „телохранитель" რომ ჰქვია); ჯოლბორდი (იმავე სოფელში, სადაც ისინი დღესაც ცხოვრობენ — ძველრა ზოგიერთ დოკუმენტში ჯოლბორდიშვილებადაც არიან ჩაწერილი; "ჯოლბორდი" ირის მთლელს ნიშნავს); ჯილავდარი (მეაღვირეს ნიშნავს); ბაზიარი, ბაზიერაშვილი ("ბაზიერი" — ქორშევარდენთა მწვრთნელი და ყურისმგდებელი); ეჯიბია, ეჯიბიძე, ეჯიბაშვილი (არაბულად „ეჯიბი" მეფის მეკარეა. "ეჯიბი" ერქვა ქორწილში ნეფის მაყრების ხელმძღვანელსაც); დაბალიშვილი ("დაბაღი" — ტყავის დამამზადებელი); თოფჩიშვილი ("თოფჩი" — მეთოფე, მეზარბაზნე. პირველად ნახსენებია 1537-1538 წლების საბუთში. საბუთებში გვხვდება თოფჩიბაშიშვილის გვარიც); ჯომარდიძე ("ჯომარდი" სპარსულად მხნეს, შემმართებელს ნიშნავს); სარაჯიშვილი ("სარაჯი" უნაგირისა და ცხენის ასაკაზმის მკეთებელი); ქილარჯიშვილი ("ქილარჯი" — თურქ. მეკუჭნავე); ქურქჩიშვილი (ქურქების ოსტატი, ადრინდელი გვარია ტივაძე); ხაბაზიშვილი ("ხაბაზი" არაბულად მეპურეა); ჩილინგარიშვილი ("ჩილინგარი" — სპარსულად ზეინკალი. ძირი-გვარია ვარდიძე); შპეტიშვილი ("შპეტი" — ზედამდეგი. იხ. დ.ჩუბინაშვილის ქართულ-რუსული ლექსიკონი, თბ., 1984. არის გვარსახელ შპეტიშვილის წარმოქმნის მეორე გზაც. ქართლურ დიალექტში „შპეტს" მეტიჩარა ადამიანს ეტყოდნენ — იხ. ქართლური დიალექტის ლექსიკონი — მასალები, შემდგენლები თ.ბეროზაშვილი, მ.მესხიშვილი, ლ.ნოზაძე, თბ., 1981. გარე კახურში შპეტს კეკლუც ადამიანს უწოდებდნენ. რას შპეტობ? — ნიშნავს: რას მიკეკლუცობ?). საერთოდ, თურქულძირიანი ქართული გვარსახელები მეცნიერებს XIV ს-დან აქვთ ფიქსირებული (იხ. მ.ჯიქია, თურქიზმები ქართველურ ანთროპონიმიკონში,

სადოქტორო დისერტაციის „სადისერტაციო მაცნე", თბ., 1995).

აქვე არ შეიძლება არ გავიხსენოთ კიდევ ერთი გვარი — ფხოველიშვილი (მკვიდრობენ კახეთში). ეს გვარი ტოპონიმისმიერ ქართულ გვარსახელთა რიცხვს მიეკუთვნება. გვარს უდავოდ საფუძველი ჩაუყარა ფხოვიდან მიგრირებულმა პიროვნებამ. ცნობილია, რომ XV ს-დან ისტორიული ფხოვის ტერიტორია მოიხსენიება ფშავად და ხევსურეთად, ე.ი. აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ისტორიულ-გეოგრაფიული მხარე — ფხოვი XV ს-დან აღარ არსებობს. აქედან გამომდინარე, ფხოველიშვილის გვარი შეიძლებოდა მხოლოდ XV ს-მდე წარმოქმნილიყო.

ცნობილია, რომ ეპონიმიურ გვარსახელებს საფუძვლად უდევთ როგორც საკუთრივ ქართული, ისე კანონიზებული ქრისტიანული სახელები (ებრაული, ბერძნულ-ბიზანტიური) და სხვა მეზობელ ხალხთა (ჩრდილოეთ კავკასიური, არაბული, სპარსული, თურქული) საკუთარი სახელები. ეს სახელები ისტორიულად ვრცელდებოდა ქართველ ხალხში და ისინი შესაბამისად შემდეგ ქართულ გვარებს ედებოდნენ საფუძვლად. XIX ს-დან საქართველოში გავრცელდა რუსული და სხვა ევროპული სახელები. აღსანიშნავია, რომ არც ერთი რუსული და ევროპული სახელი არ უდევს საფუძვლად ქართულ გვარსახელებს, რაც ერთ-ერთი მიმანიშნებელია იმისა, რომ ქართული გვარების აბსოლუტური უმრავლესობა XIX საუკუნემდეა წარმოქმნილი.

თუ რამდენად ძველია ქართული გვარსახელების უმეტესობა, შეიძლება ორიოდე მაგალითი მოვიყვანოთ ხევიდან. ხევში ერთ-ერთი ძველი და ყველაზე დიდი გვარია ღუდუშაურების გვარი. ღუდუშაურების გვარი დასახელებულია 1439 წლის „გერგეტის მატიანეში": "კვირაჲს ძალთაჲთ — ღუდუშაური შალვა"; "სულსა მოძღვრისა ღუდუშაურის ჯერასიმესსა შ~ს ღ~ნ" (ქსძ, II, 272, 276). 1774 წელს, ხევში ღუდუშაურების 34 კომლი მკვიდრობდა, თანაც მათი უმეტესობა დიდ ოჯახებად ცხოვრობდა. 1886 წელს ღუდუშაურებმა 76 კომლს გადააჭარბეს. ამასთანავე, მათი გარკვეული ნაწილი უკვე XVIII ს-ის დასაწყისში განსახლებული იყო მთიულეთში და ამ დროისათვის, ღუდუშაურების გვარს რამდენიმე შტო-ნაყარი გვარი ჰქონდა ნაბარტყი. ხევის ერთ-ერთი უძველესი გვარია ბადაშვილების გვარი, რომელთა გვარის ფინალი ადრე -ძე იყო. ბადაძეებს თავდაპირველად სოფელ მნაში უცხოვრიათ, საიდანაც სოფელ ხურთისში გადასულან. 1774 წელს მნაში მკვიდრობდნენ „ბადაძე კაცის შვილი კოზმან და გივი", "ბადაძე ზადაგის შვილი ნაცვალი დოლა, შავხალ და იოსებ" (ე.თაყაიშვილი, მასალანი საქართველოს სტატისტიკურის აღწერილობისა XVIII ს-ში, თბ., 1907, გვ. 427). პირველად კი, ბადაძე-

ბადაშვილების გვარი 1439 წლის ვერგეტის მატიანეშია ნახსენები: "მნით-ბადაისძე" (გვ. 272).

აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში დიდი რაოდენობით ცხოვრობდნენ გიგაურები. ისინი განსახლებულნი იყვნენ ხევსურეთში, ხევში, ჭართალში და ქსნის ხეობაში, აგრეთვე, შიდა ქართლის ბარში (სოფელი ბერბუკი). ჭართალში, 1774 წლის აღწერით, 34 კომლი გიგაური მკვიდრობდა, რომლებიც გადმოცემით XVII ს. პირველ ნახევარში, ხევსურეთის ორი სოფლიდან (დათვისი და გველეთი) ზურაბ არაგვის ერისთავს გადმოუსახლებია. ეს გადმოცემა დოკუმენტურადაც დასტურდება. 1794 წლის არზით, ჭართლელი გიგაურები გიორგი ბატონიშვილს მოახსენებენ: "მერე ამას მოვახსენებთ: ყმაც თქვენი ვართ და მამულიც თქვენია, მაგრამ ზურაბ ერისთავმა რომ აგვყარა, ის მამული იქვე გაოხრდა" (ქსძ, VIII, გვ. 292). ცნობისათვის, საისტორიო საბუთებით და ეთნოგრაფიული მონაცემებით ირკვევა, რომ გიგაურთა გვარიდან 50-ზე მეტი შტო-ნაყარი გვარია გამოსული.

საინტერესოა, გ.ხორნაულს „ონომასტიკის ყველაზე დიდი რუსი მკვლევარის" (როგორც თვითონ უწოდებს) ვ.ა. ნიკონოვის წიგნი „География фамилий" (М.,1988) ერთხელ მაინც თუ აუღია ხელში, რომელშიც დაბეჭდილია ნაშრომი „География фамилий — этноистория грузини", რომელიც, უფრო ადრე, ცალკე სტატიის სახით, ჟურნალ „სოვეტსკაია ეტნოგრაფიაში" (N1, 1983) გამოქვეყნდა. დასაწყისშივე ვ.ნიკონოვი წერს: "Хотя грузинские фамилии на несколько столетий старше русских, первые из них возникли в XIII в. или даже раньше. Основная масса фамилий появилась, вероятно, когда Грузия была раздроблена на разобщенные и враждующие между собой феодальные владения" (გვ. 150). საინტერესოა, თუ ქართულის არმცოდნე მკვლევარმა იმდენი შეძლო, რომ XIII ს-ითა და უფრო ადრე განესაზღვრა ქართული გვარების წარმოქმნა, რაღა უშლის ხელს ქართველ მკვლევარს? ალბათ, ახირება. რუსი ავტორი გასაგებად წერს, რომ ქართული გვარსახელები რამდენიმე საუკუნით ძველია რუსულ გვარსახელებზეო და ჩვენი ავტორი კი გაიძახის: არა, ბატონებო, ქართველებს გვარები არა გვქონდა, და, აი, სულ ახლახანს, საქართველოს რუსეთთან „შეერთების" შემდეგ, რუსებმა დაგვიწესეს, გაგვიხადეს სავალდებულოდ მათი ხმარებაო. იმედია, გ.ხორნაული გადაატრიალებს საქართველოსა და რუსეთის არქივებს და იმპერატორის გამოცემულ „უკაზსაც" იპოვის ქართველთათვის გვარების შემოღების შესახებ. ისე, უბრალო ლოგიკითაც მიხვდება კაცი, რუსებს ჩვენთვის რომ შემოეღოთ გვარსახელები, ჩვენში გვარები რუსული ფინალებით გაფორმ-

დებოდა და არა ქართული მრავალრიცხოვანი სუფიქსებით, რითაც, არსებითად, ჩვენი ენის მდიდარი შესაძლებლობები ჩანს.

უფრო შორს მიდის გ.ხორნაული, მთური გვარების „კვლევის" საკითხში. XIX ს-ში გვარების წარმოქმნა საქართველოში მხოლოდ ბარში ხდებოდაო: "ეს ხდებოდა უმთავრესად ბარში. მთაში კი ამ კანონებს (იგულისხმება რუსის კანონები — რ.თ.) ნაკლები ძალა ჰქონდა" (გვ. 86). "მოგვიანებით, მაგრამ მაინც ეს კანონი, რა თქმა უნდა, მთასაც შეეხო" — გვმოძღვრავს გ.ხორნაული და აგრძელებს — "ცხვრის პატრონ ხალხს, მომთაბარეებს, სხვა საქმით მიმსვლელ-მომსვლელთ საბუთი ეთხოვებოდა, საბუთი კი გვარის გარეშე ვერ იქნებოდა. მთიელნიც ილებდნენ გვარებს, ზოგი თემის სახელით ეწერებოდა, ზოგი მამის სახელით (უმთავრესად) და სხვა". ე.ი. ჩვენს მთაში, გვარსახელების წარმოქმნის მიზეზი, თურმე, მეცხვარეობა, თანაც გადარეკვითი მეცხვარეობა ყოფილა. მეცხვარეებს კი, თურმე, საბუთის გარეშე, არ შეეძლოთ მისვლა-მოსვლა, საბუთში კი გვარი უნდა წერებულიყო და ამით გადაწყდა ეს პრობლემა მთაშიო. ზოგს თემის სახელი უქცევია გვარად, ზოგსაც მამის სახელი. უცოდინარობის (და მე არ მინდა სხვა ტერმინი ვიხმარო) ამაზე დიდი ნიმუშის მოძებნა წარმოუდგენელია. როგორც ჩანს, გ.ხორნაულმა არ იცის, რომ მეცხვარეობის გადარეკვითი ფორმა საქართველოს მთიანეთის ყველა კუთხისათვის არ იყო დამახასიათებელი. მეურნეობის აღნიშნული ფორმა ძირითადად მხოლოდ ფშავსა და თუშეთში გავრცელდა. საქართველოს ამ ორი კუთხის წარმომადგენლები XVI-XVII სს-შიც მომთაბარეობდნენ. საინტერესოა, მაშინ პიროვნების დამადასტურებელი საბუთები არ სჭირდებოდათ ქართველ მთიელ მეცხვარეებს? გ.ხორნაულმა ის მაინც უნდა იცოდეს, რომ მეცხვარეობის მთაბარული ფორმა მთლად უცნობი იყო ხევსურეთისათვის. მისი ლოგიკით, როგორც ჩანს, ხევსურებიც აჰყვნენ მოდას, გვარების გავრცელების მოდას. იქნებ გ.ხორნაულს „ონომასტიკის ყველაზე დიდი რუსი მკვლევარისათვის", ვ.ნიკონოვისათვის მაინც გაეწია ანგარიში, რომელიც წერდა, რომ ქართული მთური გვარსახელები წარმოიშვა „არა უგვიანეს" XVII საუკუნისაო (ვ.ნიკონოვის დასახ. წიგნი, გვ. 159). თუმცა, ჩვენ შესაძლებლობა გვაქვს დოკუმენტურად დავადასტუროთ აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში გვარსახელების არსებობა 1439 წლისათვის (გავიხსენოთ ზემოთ თქმული ღუდუშაურებისა და ბადასძე-ბადაშვილების შესახებ) და დასავლეთ საქართველოს მთიანეთში — სვანეთში XIII ს-დან.

გ.ხორნაულს მიაჩნია, რომ ჩვენი მთიელებიდან ზოგი თემის სახელს იღებდა გვარსახელად. როგორც ჩანს, ხორნაულმა ელემენტარულად არ იცის, რომ ჩვენი მთის ტერიტორიული თემების სტრუქ-

ტურა ერთმანეთისაგან აშკარად განსხვავდებოდა. ხევსურული, ფშაური, თუშური, მოხევური, მთიულური, გუდამაყრული თემები ერთმანეთს არ ჰგავდა. ხევი მთლიანად აღებული ერთი თემი იყო და აქ ისეთი თემები არ გვქონდა, როგორც საქართველოს მთიანეთის სხვა კუთხეებში. ავტორის ლოგიკით, თუ მთიელები თემის სახელს იღებდნენ გვარსახელად, ხევში ყველას ერთი, ალბათ მოხევის (ან ხეველის) გვარი უნდა მიეღო.

გ.ხორნაული ფშავის შესახებ მსჯელობს და, სამწუხაროდ, სრულ უცოდინარობას ამჟღავნებს ფშავის ეთნოგრაფიული ყოფის შესახებ, არადა, ეთნოგრაფიულად ფშავი ყველაზე სრულყოფილადაა შესწავლილი, საქართველოს სხვა მთიან კუთხეებთან შედარებით. ის ციტირებას ახდენს ს.მაკალათიას წიგნიდან და ასკვნის: "ფშავის ეს თემის სახელწოდებანი (ასევე სხვა კუთხეების თემებისაც) ბატონ სერგისაც და სხვებსაც გვარებად მიაჩნიათ, რაც არ შეეფერება სინამდვილეს. ისინი იყო მხოლოდდამხოლოდ თემის სახელები. გვარები რომ ყოფილიყო, მაშინ რატომ უარყოფდნენ ასე ხელაღებით ყველანი თავის გვარს და რაღაცა გვარებს მიიღებდნენ. ვთქვათ, "გოგოლაურნი" რატომ დაინერებოდნენ ტუნტურიშვილებად, მაჩურიშვილებად, სალირიშვილებად, თურმანაულებად, ბუთხაშვილებად და მგელაშვილებად (მხედველობაში არ არის მისაღები ბოლო ხანს „გოგოლაურის" აღდგენა — ვითომ ძველი გვარის")·— გვ. 86.

ფშავის თემის სახელწოდებანი არც ერთ ეთნოგრაფს გვარებად არ მიაჩნდა (ამ მთიანი კუთხის ერთ-ერთ თემს ერქვა „უკანაფშაველთ თემი". ჩემთვის ცნობილი არაა, გვარსახელი „უკანაფშაველი"). უბრალოდ, ფშავის თითოეული თემი ატარებდა იმ გვარის სახელს, რომლის ირგვლივაც მოხდა ფშავის ამა თუ იმ თემის ტერიტორიული წარმოქმნა. გ.ხორნაულის გასაგებად უნდა ვთქვათ, რომ ფშავში თერთმეტი თემი არსებობდა და მხოლოდ თერთმეტი გვარი არ ყოფილა. ფშავში გვქონდა გოგოჭურთ, გაბიდაურთ, გოგოლაურთ, ქისტაურთ, ჭიჩოელთ, გოდერძაულთ, მათურელთ (ზურაბაულთ), წოწკოლაურთ, უძილაურთ, წითელაურთ და უკანაფშაველთ თემები. უკანასკნელი — მე-11 თემის გარდა, ფშავის ყველა თემი გვარის სახელს ატარებდა, იმიტომ, რომ აქ თითოეული ამ გვარის გარშემო მოხდა ტერიტორიული თემის ჩამოყალიბება. ამ თემებმა შემდეგ არაერთი სხვა გვარის წარმომადგენელიც შეითვისეს, შეიერთეს, ხელოვნურად დაინათესავეს და თავის თემისად, თავის გვარისად აქციეს. ისტორიულ-ეთნოგრაფიული მონაცემების შესწავლით უდავოა, რომ ფშავში გოგოლაური, ქისტაური, წოწკოლაური, გოგოჭური... თემის სახელიც იყო და გვარის სახელიც. აქ უბრალოდ მოხდა ის, რომ უპირატესობის მქონე გვარმა, უფრო ძლიერმა გვარ-

მა საფუძველი ჩაუყარა ახალი ტიპის თემს — ტერიტორიულ თემს და ამ ტერიტორიულ თემს მიაკუთვნა თავისი სახელი. ამ ძლიერი გვარების გარშემო მოხდა სხვადასხვა გვარების შეყრა. სოციალურ-რელიგიური თვალსაზრისითაც გაფორმდა მათი ერთ ტერიტორიულ თემში გაერთიანება. ხელოვნური დანათესავება ბუნებრივ ნათესაობას გაუტოლდა. საერთო სალოცავადაც აღიარებულ იქნა ამ უპირატესობის მქონე გვარის ხატი. რადგან ჩვენს ავტორს მთელი აქცენტი გოგოლაურთა გვარსა და თემზე აქვს გადატანილი, ამ თემის მაგალითს მოვიყვან ისევ: გოგოლაურთა თემში შედიოდა თურმანაულთა გვარი. ამ ორ გვარს საერთო წარმომავლობა არ ჰქონია. თურმანაულთა გვარი გოგოლაურთა თემში (სათემო გვარში) შედიოდა, მაგრამ არა გოგოლაურთა გვარში. თუმცა ამ თემში შემავალ ყველა გვარს ერთმანეთს შორის ისეთი სოციალური ურთიერთობა ჰქონდათ, როგორც ერთი გვარის წარმომადგენლებს. მსგავსი სოციალური პროცესი, ძლიერ გვარებში სუსტი და მცირერიცხოვანი გვარების შესვლისა, ხევსურეთშიც დასტურდება. მაგალითისათვის ვიტყვით, რომ თავის დროზე ასე შევიდნენ არაბულთა გვარში (ხელოვნურად დაუნათესავდნენ): რკინაულები, ველგუჯაურები, ბიჩინგაურები, ხოშურაულები. ალუდაურების გვარში შესულან: წიქარაულები, გამღვირაულები, გილაურები, ბაჩიკაურები. XIX ს-ის მოსახლეობის აღწერის დავთრებში ზოგჯერ არაბულთა გვარის ზემოთ დასახელებული ნაწილები ცალკე გვარებადაც არიან ჩაწერილი (დაწვრილებით იხ. რ.თოფჩიშვილი, ხევსურული გვარები — ზოგიერთი ეთნოისტორიული და სოციალური საკითხი, — კრ.: "ქართულ-კავკასიური ეთნოგრაფიული შტუდიები — 1987", თბ., 1990, გვ. 49-73). რადგან ფშავისა და ხევსურეთის სოციალური განვითარება სხვადასხვა გზით წარიმართა (თავდაპირველადვე სხვადასხვა სტრუქტურის ტერიტორიული თემები ჩამოყალიბდა), გვარსახელების შემდგომი ფორმირებაც სხვადასხვანაირად მოხდა. ფშავში თუ XVI ს-დან მოხდა დედა-გვარებიდან, ძირი-გვარებიდან, სათემო გვარებიდან ახალი გვარსახელების ინტენსიური გამოყოფა, ხევსურეთში ასეთი რამ არ განხორციელდა. ყოველივე ეს იმიტომ მოხდა, რომ ფშავი სოციალური განვითარების თვალსაზრისით ხევსურეთზე ბევრად წინ წავიდა. ეს კუთხე ტრადიციული ინსტიტუტების კონსერვატიულობით გამოირჩეოდა. მხედველობაშია აგრეთვე მისაღები საქართველოს ბართან ფშავის უფრო ინტენსიური კონტაქტები, ვიდრე ხევსურეთისა. გ.ხორნაული საერთოდ უარყოფს ფშავში გვარების არსებობას XIX ს-ის მეორე ნახევრამდე. ქისტაურთ თემში XIX ს-ის მეორე ნახევარში ქისტაურად მცირე ნაწილი იწერებოდა. ამ დროს, ქისტაურთა გვარიდან რამდენიმე გვარი იყო შტონაყარი,

მაგრამ ეს ახალი წარმოქმნილი გვარები თავიანთ ძირგვარად ქისტაურს თვლიდნენ. ქისტაურიდან გამოსულ ყველა ახალ გვარს ჰქონდა საერთო შეგნება ერთი მამიდან წარმომავლობის შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ იმ დროს ისინი უკვე -შვილი ფინალიან სხვადასხვა გვარებს ატარებდნენ, მათ იცოდნენ: ძირად იყვნენ ქისტაურები, რომ მათი ადრინდელი გვარი იყო ქისტაური. ყველა ამ თემის წარმომადგენელს ჰქონდა საერთო შეგნება ბიძაშვილური ურთიერთობისა და ისევე, როგორც სხვა ქართულ გვარებში, აქაც გვარის შიგნით ერთმანეთზე არავინ დაქორწინდებოდა. თუმცა ისეთი გვარებიც დაიძებნება, რომლებიც ძირად ქისტაურები არ იყვნენ და ხელოვნური დანათესავების გზით იყვნენ შესული ქისტაურთა გვარში, ქისტაურთა თემში. ახალი გვარების წარმოქმნის პროცესი ფშავში XVI ს-დან დაიწყო და XIX ს-მდე გრძელდებოდა და განპირობებული იყო იმ სოციალური ძვრებით, რომელიც ამ კუთხეში ხდებოდა. ახალი გვარსახელების წარმოქმნა იმას სულაც არ ნიშნავს, თითქოს ამ ახალი გვარების წარმოქმნამდე ფშავში გვარსახელები არ იყო. ახალი გვარსახელების წარმოქმნა, საერთოდ, მუდმივი პროცესი იყო მთელი საქართველოსათვის. ხევსურეთში ასეთი სოციალური ძვრები არ განხორციელებულა და არც გვარების დაშლის, ახალი გვარების წარმოქმნის პროცესი მომხდარა. ფშავში უბრალოდ მოხდა დიდი გვარების (თუნდაც სათემო გვარები ვუწოდოთ მათ) დაშლა, ერთი დიდი გვარის რამდენიმე მამიშვილობის (გვარის დანაყოფის) გვარსახელში გადაზრდა. ზემოთაც აღვნიშნეთ და კვლავ გავიმეორებთ, რომ ასეთი პროცესები, საერთოდ, უცხო არ იყო მთელი საქართველოსათვის, როდესაც ერთ დიდ გვარს სხვადასხვა სოციალური მიზეზით ახალი შტო-გვარები გამოეყოფოდა. მაგალითად, ახალი გვარები ხშირად წარმოიქმნებოდა მოსახლეობის მიგრაციის დროს.

ფშავში დაბადებული კაცისათვის ცნობილი უნდა იყოს ხუცურაულების გვარი, რომლებიც სოფელ ვანხევში მკვიდრობდნენ, ცალკე გვარს წარმოადგენდნენ და ქისტაურთა ტერიტორიულ თემში შედიოდნენ. იგივე შეიძლება ითქვას ბერიკაულ-ბერიკაშვილებზე, არახიჯელ ციგრაულ-ციგროშვილებზე. არც ერთი ეს გვარი არ იყო ქისტაურთა გვარიდან გამოსული. ისინი, როგორც დამოუკიდებელი გვარები, შედიოდნენ ქისტაურთა ტერიტორიულ თემში და თუგინდ ქისტაურთა სათემო გვარში. ქისტაური რომ გვარი იყო, ჩანს XVIII ს-ის დასაწყისის მოსახლეობის აღწერის დავთრიდან. მაგალითად, ფშავიდან ერწო-თიანეთში მიგრირებულნი ამ გვარს (ქისტაურს) ატარებდნენ. ერწოს რუსთველის ყმად დასახელებულნი არიან „ქისტაური ჩიტო", "ქისტაური როსტია", "ქისტაური ბასილა", "ქისტაური ბაცაცა", "ქისტაური თევდორა" (ივ.ჯავახიშვილი, სეიძ, I, გვ. 48).

კახეთის სოფელ მაღრანში კი ცხოვრობდა „ვაჟიკა ქისტაური" (გვ. 66). XVIII ს-ის დასაწყისში კახეთში მრავალი კომლით დასახლებული სოფელი არსებობდა ქისტაურის სახელწოდებით, რომელშიც ფშავის სოფელ შუაფხოდან გადმოსახლებული ქისტაურები მკვიდრობდნენ და ზოგიერთი მათგანი „ქისტაურიშვილადაც" იყო ჩაწერილი. (გვ. 70).

ფშავში ცხოვრობდნენ ჩორხაულებიც, რომლებიც უძილაურთ თემში შედიოდნენ. ფშავის ერთ-ერთი დიდი ტერიტორიული თემი იყო გოგოჭურთ (ცაბაურთ) თემი. XIX ს-ში ამ თემის ბევრი წარმომადგენელი გოგოჭურის გვარს აღარ ატარებდა. მათ, იურიდიული თვალსაზრისით, მამიშვილობის სახელიდან უკვე ახალი გვარები ჰქონდათ მიღებული. თუმცა რიგი გვარები ჯერ კიდევ საუკუნეების წინ ატარებდნენ სხვა გვარებს და არც გოგოჭურებთან ჰქონდათ საერთო წარმომავლობა. მათ შეინარჩუნეს თავდაპირველი გვარი: მჭედლური, გედეხაური, გორაზმაული, გურასპაული, მეგრელაური, ხოშურაული...

ასევე უარყოფს გვარების უარმყოფელი ავტორი გოგოლაურის გვარობას. მის გასათვალისწინებლად უნდა ვთქვათ, რომ არაერთი ისტორიულ-ეთნოგრაფიული მასალით, გოგოლაური თემის სახელიც იყო და გვარსახელიც. და ფშავში მიმდინარე სოციალური პროცესების შედეგად, რომელსაც ახალი გვარსახელების წარმოქმნა მოჰყვა, გოგოლაურთა გვარიდანაც ბევრი ახალი გვარი წარმოიშვა, თუმცა ყველა ახლად წარმონაქმნი გვარის წარმომადგენელი თავის თავს მაინც გოგოლაურად გაიცნობიერებდა, გოგოლაურთ საერთო გვარს მიაკუთვნებდა. გოგოლაურის გვარი არაერთგზისაა მოხსენიებული XVIII ს-ის აღწერის დავთარში. "გოგოლაური ბერი" და „გოგოლაური გოგლია" დასახელებულნი არიან XVII ს-ის საისტორიო საბუთებშიც (პალ, I, გვ. 695). 1747 წლის „განაჩენში ერეკლე II-ისა გრიგოლ სალთხუცესის საქმეზე" ვკითხულობთ: "ქ. ესე განაჩენის წიგნი დაგვიდვია ჩვენ, მეფე ერეკლეს; — ასე, რომ გრიგოლ სალთხუცესი გავგზავნეთ ფშავს. ჩვენის მოძმის კარზე იყო (იგულისხმება ფშაველთა საერთო სალოცავი „ლაშარის ჯვარი" — რ.თ.) და ფშაველთ სტუმარი იყო. წამოსვლაში იმასთან გოდერძი იყო ასათაშვილი, დემეტრე ვედრაული, პაპა კუსრა ნაცვალი. გზაზე გოგოლაური ჩეშჯდომოდა, თოფი რომ უნდა დაეკრა, სასხეპი მოსტყდომოდა, ვეღარა ექნა რა..." "...თუ სიტყვა ქონდეს ... ჩვენ მოგვახსენოს იმ გოგოლაურმა" (დოკუმენტები, I, თბ., გვ. 417).

ახლა მოვიყვანოთ ამონაწერი 1750 წლის ფშავ-ხევსურთა მიერ გრიგოლ ჩოლოყაშვილისადმი შერიგების წიგნიდან: "ქ. ესე წიგნი მოგართვით თქვენ, ფშავისა, ჴევსურეთისა და თიანეთის მოურავს

ჩოლოყაშვილს ბატონ სალთხუცეს გრიგოლს; — ასე, რომე მე ჭინჭარაულმა იოსებმა, ასათაშვილმა გიორგიმ, დავითმა, პეტრემ, გაბრიელ მამიაურმა შალვამა, ჯოლაურმა (უ.ი. ჯველაური — რ.თ.) ლაგაზამა, თამარიძემა ჴევსურმა გაიდაურმა, ჩვენის გვარისამ მთისამ და ბარისამა: დემეტრე ასათაშვილი თავისი დღით მომკვდარიყო; მტრის ენით იმის სიკვდილს მონამლით თქვენ გედავებოდით, მეფე ერეკლე ქართლითა და კახეთით და ორსავ საერისთაოთი თუშეთს ამობძანდა. სულ ფშაველნი და ჴევსურნი იქ იყვნენ, ვილაპარაკეთ და იმის სიკვდილზე სიმტყუვნე ვერა ვიპოვეთ რა. ამაში გავშველდით. ასე რომე, თქვენთან სამსახურის მეტი საქმე არა გქონდეს რა არას ჩემს გვარსა და ნათესავსა. ამისი დამსწრე და გამრიგე ლაშარის ჯვრის დეკანოზი ჩოჴელაშვილი ნადირა, ბედრაული პაპა, გოგოჭური მამისიმედი, გოგოლაური გამიხარდი, ჯუთუ დავითისშვილი, როსტევან წითელაური, კურდღელა მათურელი, თორღა ჭიჩოელი, კურდღელა გოდერძაული, ქავთარ თიანელი, მოსე განჯილაშვილი, ქამხაძე აბრამა, ივანეურისშვილი გახუტელი. არის ამისი მონამე თუში საყურაიძე გიორგი, ცისკარა, კახო, კლიტიური, ჴევსური ნათელიძე ომაშვილი, ლიქოკელი იმედა, კისტნელი ცისკარა" (დოკუმენტები, I, გვ. 424).

ზემოთ მოყვანილი ორივე საბუთი მრავალმხრივაა საყურადღებო. მათში დასახელებულია გვარსახელი გოგოლაური. მეორე საბუთში ფიქსირებულია პიროვნება „გოგოლაური გამიხარდი". რა თქმა უნდა, აქ გოგოლაური გვარსახელია, გამიხარდი კი სახელი. გარდა გოგოლაურის გვარისა, დოკუმენტში სხვა მთიელთა გვარებიცაა დასახელებული, რომელთა არსებობასაც ასე უარყოფს დასახელებული ავტორი. ეს გვარებია: ჭინჭარაული (ჭინჭარაული თემის სახელი არ შეიძლება ყოფილიყო, რადგან ხევსურეთში ფშავისაგან სტრუქტურით განსხვავებული თემები გვქონდა. ხევსურეთში თემები ამა თუ იმ გვარის სახელს არ ატარებდნენ. ხევსურეთში თითოეული სოფელი ცალკე თემს წარმოადგენდა. ამავე დროს, ჭინჭარაულნი განსახლებულნი იყვნენ პირიქით და პირაქეთ ხევსურეთის რამდენიმე სოფელში), ასათაშვილები (ძირად წელაურები. კახეთის სოფელ მატანში XVII ს-ის დასაწყისში გადასახლებული უკანაფშაველები. გადასახლებულმა ასათ წელაურმა საფუძველი ჩაუყარა ახალ გვარს — ასათაშვილს), მამიაურები (მამიაურები ბოლო დროს ხევსურეთის სოფელ ხახაბოში ცხოვრობდნენ, რომლებიც ფშავის სოფელ ცაბაურთიდან იყვნენ მისული. ისინი მკვიდრობდნენ უკანაფშავის თემის სოფელ ელიაგზაშიც), ჯველაურები (უკანაფშავის თემის სოფელ ჭიდალეში მცხოვრებნი), ხევსური თამარიძე, გაიდაური (თამარიძე მამაკაცის სახელია. გაიდაური კი ჭინჭარაულთა გვარის

ერთ-ერთი დანაყოფის სახელი, მეორე მემკვიდრეობითი სახელი იყო), ჩოხელაშვილი (ის ლაშარის ჯვრის დეკანოზია, ე.ი. ფშაველი. ჩოხელაშვილები სოფ. ინოში მკვიდრობდნენ და წოწკოლაურთ თემში შედიოდნენ. ეს გვარი წოწკოლაურთა გვარიდან იყო შტო-ნაყარი. ასე რომ, არა მარტო -ურ(-ულ) სუფიქსიანი, არამედ -შვილი ფორმანტიანი გვარებიც ადრე ყოფილა ფშავში გაჩენილი და, არა XIX ს-ის მეორე ნახევარსა და XX ს-ის დასაწყისში), ბედრაული-ვედრაული (შარახევში ცხოვრობდნენ. დღეს ეს გვარი აღარაა. ამ გვარიდან არიან გამოსული ხარანაულები და ბოძაშვილები), გოგოჭური (ამ გვარისანი ცხოვრობდნენ ფშავშიც და ხევსურეთშიც), დავითისშვილი (თიანელი უნდა იყოს. ძირად ჯალაბაური ხევსურეთის სოფელ შატილიდან), წითელაური (ფშავის სოფელ წითელაურთას მცხოვრები), მათურელი (თიანეთის სოფელ ჟებოტის მკვიდრნი. ძირად ზურაბაულები, გადმოსახლებულნი ფშავის სოფელ მათურიდან), ჭიჩოელი (ფშავის სოფელ ჭიჩოს მკვიდრნი), გოდერძაული (ფშავის სოფელ ახადში მცხოვრებნი. ხშირად ინოდებოდნენ მეორე გვარითაც — ახადელი. XIX ს-ის აღწერის დავთარში ჩაწერილი არიან ორი გვარით: "გოდერძაული-ახადელი"), განჯილაშვილი (თიანელი გონჯილაშვილი. ძირად ხევსური სისაური), ქამხაძე (ახლა ხამხაძეები. თიანელები. ძირად ქისტები), ივანეურიშვილები (ახლაც და XVIII-XIX სს-ში ივანეურები. ცხოვრობდნენ თიანეთის სოფელ ჟებოტაში. გადმოსახლებული არიან ფშავის სოფ. მათურიდან. ძირი-გვარია ზურაბაული), ლიქოკელი (ხევსურული გვარი. ლიქოკის ხეობის მკვიდრნი. ადრინდელი გვარია სისაური). კლიტიური იგივე კრიტიულია. ძირად ხევსურები არიან, გათუშებულნი. ახლა მისი შთამომავალნი ახალ გვარს (გრიგოლაიძეს) ატარებენ.

გოგოლაური რომ გვარი იყო და რომ ახლა არ გაუფორმებიათ ფშაველებს ის გვარად, კარგად ჩანს 1873 წლის კამერალური აღწერიდან. სათემო-სოფელ გოგოლაურთაში ყველაზე მეტი რაოდენობით (15 კომლი) გოგოლაურის გვარისაა აღრიცხული. არ მიაჩნია გვარების უარმყოფელ ავტორს გვარსახელად წოწკოლაურიც. 1873 და 1886 წლების მოსახლეობის აღწერის მასალებში ფშავშიც და ფშავს გარეთაც (ნოჯაში, ხეობაში), სადაც ისინი იყვნენ გადასახლებული, წოწკოლაურთა გვარის 70 კომლზე მეტი დავითვალეთ. ასე რომ, ფშაველებს თავიანთი გვარები, როგორც გ.ხორნაული წერს, ხელაღებით არ უარყვიათ და „რაღაც გვარები" არ მიუღიათ. რაც შეეხება ახალი გვარსახელების წარმოქმნას, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, ის ჩვეულებრივი მოვლენა იყო არა მარტო საქართველოს პატარა კუთხის ფშავისათვის, არამედ მთლიანად საქართველოსათვის და ყველა იმ ცივილიზებული ქვეყნისთვისაც, სადაც გვარსახე-

ლები არსებობდა. ვიმეორებთ, ახალი გვარსახელების წარმოქმნა ჩვეულებრივი მოვლენა იყო. გვარსახელი სწორედ ამით განსხვავდებოდა ადრინდელი გვარისაგან. პირველყოფილი გვარი (ადრეკლასობრივი საზოგადოების წარმოქმნამდე) უცვლელი იყო, გვარსახელისაგან კი ახალი გვარსახელის გამოყოფა პრობლემას არ წარმოადგენდა. ასევე არ იყო პრობლემა კლასობრივი საზოგადოების გვარში უცხო ნევრის მიღება. ჩვენთან იყო უწყვეტი პროცესი გვაროვნული გვარიდან გვიანდელ გვარში (ანუ თავდაპირველ, ადრინდელ გვარსახელში) და აქედან გვარსახელში გადაზრდისა. სწორედ ამ თვალსაზრისით, ჩვენი მთის ეთნოგრაფიულ მასალებს აქვს განსაკუთრებული მნიშვნელობა. საქართველოში რომ ასეთი პროცესი უდავოდ მიმდინარეობდა, დასტურდება ჩვენი გვარების ეგზოგამიურობითაც, რაც ტრადიციით პირველყოფილი გვარიდან გამოყოლილ მოვლენად ითვლება.

კიდევ ერთი ციტატა უნდა მოვიყვანოთ დასახელებული ავტორის სტატიიდან: "ასევეა სხვა თემთა გვარებად დაშლის ამბავიც. ეს, როგორც ჩანს, ხდებოდა სტიქიურად, ხშირად გაუაზრებლად. "თუ რუსის კანონი ეგრე ითხოვს, ჯანდაბას, რაც გინდათ, ის ჩანერეთო" და უფრო მეტწილად „შვილით" დაბოლოებულ მამის სახელებს ანერინებდნენ (ფშავში, კახეთში)" — გვ. 87. ასე იოლ და ადვილ საქმედ წარმოუდგენია მას ქართული გვარსახელების (ამჯერად ფშაური და კახური გვარების) წარმოქმნა. თურმე, რაღაც რუსის კანონებით, ქართველი გლეხები სტიქიურად, გაუაზრებლად იღებდნენ გვარებს. ავტორი აგრძელებს თავის „მსჯელობას" და წერს: "გოგოლაური" გვარი რომ არ იყო (და არც სხვა თემის სახელი), ეს იქიდანაც ჩანს, ზოგს სახელად უწერია. ამის უამრავი მაგალითია თუშ-ფშავ-ხევსურეთის საეკლესიო ჩანაწერებში" (გვ. 87). "1859 წელს სოფელ ხილიანაში (ფშავი) გარდაცვლილა მაგარა ბრიყვას ძე გოგოლაური. იმავე წელს სოფ. ხომის საეკლესიო ჩანაწერებში ბავშვის ნათლიად დასახელებულია პაპი გოგოლაურის ძე კაცობაშვილი. სოფ. ხილიანაშივე ჯვარდაწერილის მოწმედ ყოფილა გამიხარდი გოგოლაურის ძე ხახანაშვილი.

როგორც ვხედავთ, "გოგოლაური" აქ არც გვარია და არც სახელი, ის თემის წარმომადგენელს ზედმეტ სახელად მიეწერება" (გვ. 87).

ამდენი გაუგებრობა? ჯერ ერთი, გ.ხორნაულის მიერ მოყვანილ პირველ მაგალითში ("მაგარა ბრიყვას ძე გოგოლაური") გოგოლაური გვარია, აბა რა არის? რა ზედმეტი სახელივით მიეწერება ის თემის წარმომადგენელს, გაუგებარია. პიროვნება დასახელებულია სამწევრიანი ანთროპონიმული მოდელით. სახელი (მაგარა)+მამის

სახელი (ბრიყვას ძე)+გვარსახელი (გოგოლაური). ავტორს იდეაფიქსი აქვს, რომ გოგოლაური გვარი არაა და ზედმეტ სახელად ნათლავს მას. ასევე არ თვლის ის გვარსახელად უძილაურს, გაბიდაურს, ქისტაურს, წითელაურს, წოწკოლაურს... როგორც ჩანს, ისინიც ავტორს მხოლოდ და მხოლოდ თემის სახელებად და აგრეთვე ზედმეტ სახელებად მიაჩნია. საინტერესოა, XVIII ს-ის პირველი მეოთხედის ერწოთიანეთისა და კახეთის აღწერებში მოხსენიებული უძილაურები, გაბიდაურები, ქისტაურები, წითელაურები, წოწკოლაურები (ივ. ჯავახიშვილი, სეიძ, I, გვ. 41-73) გვარსახელები არაა? ახლა გ.ხორნაულის მიერ მოყვანილ შემდეგ მაგალითს შევეხოთ: "პაპი გოგოლაურის ძე კაცობაშვილი". "გოგოლაურის ძე" აქაც ზედმეტი სახელია? სულ ცოტა ზემოთ „გოგოლაური" სახელად მიაჩნდა გ.ხორნაულს. შემდეგ სულ სხვა რამეს გვთავაზობს და გვეუბნება: "როგორც ვხედავთ, "გოგოლაური" აქ არც გვარია და არც სახელი"-ო. ამ შემთხვევაში „გოგოლაური" სწორედ რომ სახელია. პაპი საკუთარი სახელია, გოგოლაური — მამის სახელი (გოგოლაურის ძე), კაცობაშვილი — გვარსახელი. ასევე, გამიხარდი მამაკაცის საკუთარი სახელია, გოგოლაური — გამიხარდის მამის სახელი და ხახანაშვილი — გვარსახელი. წინასწარ ვიტყვით, რომ კაცობაშვილისა და ხახანაშვილის გვარები ფშავში გოგოლაურთა დიდი გვარიდან შტონაყარი გვარები იყო. როგორც ირკვევა, საქართველოში ერთგვარი წესი, ტრადიცია არსებობდა ადრინდელი გვარის საკუთარ სახელებად ქცევისა. ამით ქართველები ერთგვარ პატივს მიაგებდნენ თავიანთ ადრინდელ გვარსახელს, წინაპრებს. ეს იყო გარკვეული კავშირის გამოხატულება ადრინდელ გვართან. განსაკუთრებით შეიმჩნევა ეს მოვლენა: -ურ(-ულ) და -ძე ფინალიან გვარებთან. მაგალითად, ქსნის ხეობანი, ჭურთისხევზე მდებარე სოფელ დორეულთკარში მოსახლეობდნენ დორეულები, რომლებიც XVIII-XIX სს. მიჯნაზე აქედან აიყარნენ და ერწოში გადასახლდნენ. 1774 წლის დორეთკარის აღწერაში დასახელებულია „დორეული სისოურის შვილი აბრამ" (ივ.ჯავახიშვილი, სეიძ, I, გვ. 184). დღეს ეს ასე დაიწერებოდა: აბრამ სისოურის ძე დორეული". აბრამი საკუთარი სახელია, სისოური, ამ შემთხვევაში, მამის სახელი და დორეული — გვარსახელი. ეთნოგრაფიული და დოკუმენტური მასალებით დასტურდება, რომ დორეულების ადრინდელი გვარია სისაური. და დორეულები, არ ივიწყებდნენ რა თავიანთ ადრინდელ გვარს, ერთგვარად პატივს მიაგებდნენ მას და ხშირად თავიანთ გვარში დაბადებულ ვაჟებს სახელად ადრინდელი გვარის სახელს არქმევდნენ. იმავე აღწერიდან სხვა მაგალითებიც შეიძლება მოვიყვანოთ. დორეულთკარში ცხოვრობდა: "დორეული ოსების შვილი სისოური", "დორეული ძაღლიას ობოლი, თავი ბ, ქიტესა და

სისოური" (გვ. 185). პირველ შემთხვევაში, "სისოური" საკუთარი სახელია, "ოსება" — მამის სახელი და „დორეული" — გვარსახელი. მეორე შემთხვევაშიც, "სისოური" საკუთარი სახელია, ძაღლია — მამის სახელი და „დორეული" — გვარსახელი.

დასახელებული აღწერიდან კიდევ ერთ ამონაწერს მოვიყვანთ. სოფელ თინიკაანთკარში მკვიდრობდა კომლი: "თინიკანთ ბერის შვილი, თავი ბ, ბასილი და გაბიდაური" (გვ. 188). ამ შემთხვევაშიც „გაბიდაური" საკუთარი სახელია, "ბერი" — მამის სახელი და „თინიკანი" (თინიკაშვილი) — გვარსახელი. საისტორიო საბუთებითა და ეთნოგრაფიული მონაცემებით დგინდება, რომ თინიკაშვილები ქსნის ხეობაში მიგრირებული არიან ფშავიდან და მათი ადრინდელი გვარი იყო გაბიდაური. თინიკაშვილების გვარშიც ადრინდელი გვარსახელი საკუთარ სახელად იქცა. სოფელ კორინთაში მკვიდრობდა „თინიკანთ ავთანდილის შვილი გაბიდაური" (გვ. 189).

გადმოცემით, ქსნელი ბუნტურების ადრინდელი გვარია ბურდული. 1774 წ. აღწერაში ცხავატში მოხსენიებული „ბუნტური ბასილას შვილი ბურდული" (გვ. 195). ამ შემთხვევაშიც, "ბურდული" ოჯახის უფროსი მამაკაცის სახელია. XVIII ს-ის აღწერის დავთრით, ასევე დასტურდება მამაკაცის სახელებად: ღუდუშაური, სამხარაული (გვ. 111, 195) და სხვ.

მსგავსი მაგალითების (სუფიქსური საკუთარი სახელების) მოტანა მხოლოდ XVIII ს-ის აღწერის დავთრებიდან როდი შეიძლება. სახელის რქმევის ეს ტრადიცია XIX ს-შიც გრძელდებოდა. 1842 წლის აღწერით, აფციაურის გვარში ატარებდნენ სახელს — ჯალაბაური. ცნობილია, რომ აფციაურთა გვარის ერთი ნაწილი ხევსურეთიდან გადმოსახლებული ძირად ჯალაბაური იყო.

ქსნის ხეობიდან გადმოსახლებულნი იყვნენ დორეულები ერწოს სოფელ ჭუჭულიანთკარში (იგივე ნიაბეთი, ახლანდელი დორეულები). 1842 წლის აღწერაში, ისინი ორი გვარით — "დორეულ-სისოური" არიან ჩაწერილი. ამასთანავე, ერთ-ერთ დორეულ-სისაურს სახელად ერქვა „სისაური". ამავე სოფელში ცხოვრობდნენ თინიკაშვილებიც, რომლებიც ასევე ქსნის ხეობიდან იყვნენ გადმოსახლებულნი. როგორც აღვნიშნეთ, მათი ადრინდელი გვარი იყო გაბიდაური. 1842 წლის აღწერით, ერთ-ერთ თინიკაშვილს სახელად ერქვა „გაბიდაური". ადრინდელი გვარის სახელს — სისაურს ატარებდა სახელად ერთ-ერთი გონჯილაშვილი თიანეთში. აქვე გვარად „ტუშურბიტოშვილს" ერქვა „ქისტაური". ამ გვარისანიც ძირად ქისტაურები იყვნენ, გადმოსახლებულნი ფშავის სოფელ შუაფხოდან. იგივე შეიძლება ითქვას სიმონიანთხევში მოსახლე ბიჩინაშვილებზე. 1843 წლის აღწერით, ერთ-ერთ ბიჩინაშვილს სახელად ერქვა ადრინდელი გვა-

რის სახელი „ქისტაური"

ძირად ხამხაძეები იყვნენ თიანეთში მოსახლე მოსახლიშვილები. 1842 წლის აღწერით, ერთ-ერთ მოსახლიშვილს სახელად ერქვა „ხამხაძე" ჯამაგიძეების ადრინდელი გვარი იყო ზარიძე (ერწოს სოფ. ხევსურთსოფელში). 1842 წელს ერთ-ერთ ჯამაგიძეს სახელად ერქვა „ზარიძე". სხვათა შორის, მთიულ ზაქაიძეებს შორის გავრცელებული სახელი იყო „ზარიძე". აფციაურების გვარში ხშირად გვხვდებოდა მამაკაცის სახელი „საბიჯური", ბაზალების გვარში — როგორც „საბიჯური", ისე „აფციაური". სოფელ საყდრიონში ცხოვრობენ მოხევიშვილები, რომლებიც ძირად მოხევეები არიან და მათი თავდაპირველი გვარი იყო ჩქარეული. ერთ-ერთ მოხევიშვილს სახელად ერქვა "ჩქარეული". ხამხაძეების გვარიდან წარმომავლობენ თიანელი აბრამიშვილები. 1873 წლის აღწერით, ერთ-ერთ აბრამიშვილს ერქვა „ხამხაძე". გიგაურის სახელი გავრცელებული იყო ფრიდონაშვილების, ქადაგიშვილების, კოტორაშვილების, ხარებაშვილების გვარებში. ყველა ჩამოთვლილი ეს გვარი გიგაურთა გვარიდან შტო-ნაყარი გვარი იყო. გავრცელებული სახელი იყო „ზარიძეც". ასეთი სახელი დადასტურებული გვაქვს ბადაგაძეების, ზაქაიძეების, ასტამაძეების, კარელიძეების გვარებში (XVIII ს. II ნახევრის დავთრით ერთ-ერთ კარელიძეს ზარიძე ერქვა (ქსძ — III — 1047). ეთნოგრაფიული მონაცემებით ქსნის ხეობაში მოსახლე კარელიძეები ზარიძეებიდან წარმომავლობენ). მოხევე ეფხოშვილების ადრინდელი გვარია ღუდუშაური. 1774 წლის აღწერით, სტეფანწმინდელ ერთ-ერთ ეფხოშვილს სახელად „ღუდუშაური" ერქვა. მთიულეთში, სოფელ ჟოჟონში მამულაიძეების გვარი მკვიდრობდა. 1774 წლის აღწერით, ერთ-ერთ მამულაიძეს სახელად ერქვა „გოგოლაური". მამულაიძეების გვარში კი დაცულია გადმოცემა, რომ მათი ადრინდელი გვარი იყო გოგოლაური.

საქართველოში სახელების რქმევის ასეთი ტრადიციაც გვქონდა. პიროვნებებს არქმევდნენ არა მარტო ყოფილი, ანუ ადრინდელი გვარის სახელს, არამედ გვარსახელს. ე.ი. გვარსახელი უშუალოდ გამოიყენებოდა რქმევის სახელად, საკუთარ სახელად. XVIII და XIX საუკუნეების აღწერის დავთრებში, არაერთგზის გვაქვს დაფიქსირებული ასეთი სახელები გვარსახელებთან: "ბუნტური ბუნტურიშვილი" (დავაკვირდეთ, აქ გვარსახელ ბუნტურთან მეორე სუფიქსი — შვილიც ჩნდება. ამ შემთხვევაში, პირველი — ბუნტური საკუთარი სახელია, მეორე — ბუნტურიშვილი გვარსახელს გამოხატავს); "წიპტაური წიპტაურიშვილი"; "ბაშარული ბაშარულიშვილი"; "შერმადინი შერმადინისშვილი"; "ზარიძე ზარიძიშვილი"; "ბექაურ ბექაური"; "ფსუტურ ფსუტური"; "ხრიკულ ხრიკული"; "კაიშაურ კაიშაუ-

რი"; "ამირიძე ამირიძე"; "პატაშური პატაშური"; "გვიანაურ გვიანაური"; "ჩრდილელ ჩრდილელიშვილი" (აზნაური); "ქისტაურ ქისტაური"; "კურკუმელ კურკუმელი"; "გაგაძე გაგაძიშვილი"; "ქვიცურ ქვიცურიშვილი"; "ბუჩუკურ ბუჩუკური"; "გიგაურა გიგაური"; "ხადურა ხადურიშვილი"; "მცხეთელაძე მცხეთელაძე"; "ტუშურა ტუშური"; "მახატელი მახატელი"; "ლაზნელიძე ლაზნელი" (1620 წლის საბუთში); "ქინქლაძე ქინქლაძე"; "ნიაურ ნიაურიშვილი"; "ნიკლოურ ნიკლაური"; "სამხარაულ სამხარაული"; "ვეშაგურ ვეშაგური". XIV ს-ის ერთ სვანურ დოკუმენტში დასახელებულია „ქურდიანილ ქურდიანი" (პ.ინგოროყვა, სსძ, II, თბ., 1944, გვ. 95). გვარსახელების საკუთარ სახელებად გამოყენების ტრადიციის შესახებ სვანეთში მიუთითებდა რ.ხარაძე წიგნში „დიდი ოჯახის გადმონაშთები სვანეთში" (თბ., 1939). მას მოყვანილი აქვს ასეთი მაგალითი: "რატიან რატიანის ძე რატიანი" (გვ. 18).

რახან სიტყვამ მოიტანა, ბარემ ვიტყვით, ქართველ ხალხში სახელების რქმევის კიდევ ერთი ტრადიციის შესახებ. აღწერის დავთარში ხშირად გვხვდებიან: "ქუცნა ქუცნიაშვილი", "გოდერძი გოდერძაული", "სამაღან სამაღანიშვილი", "ბეჟიტა ბეჟიტაშვილი", "ქუფრია ქუფრიაშვილი", "ღრუბელა ღრუბელაძე", "თვალია თვალიაშვილი", "თეთრა თეთრაძე", "ბედო ბედოიძე", "ჩიტო ჩიტოშვილი", "აფაქ აფაქიანი", "რატი რატიანი", "რატი რატიშვილი", "ბაია ბაიაშვილი", "ხუცურა ხუცურაული", "ჩეკურა ჩეკურაშვილი", "თავაქარ თავაქარაშვილი", "ჯამარი ჯამარაული", "ხიზანა ხიზანაშვილი", "ხარება ხარებაშვილი", "ხატია ხატიაშვილი", "რუსია რუსიშვილი", "მაისურ მაისურაძე", "ჯარმიზა ჯარმიზაული", "ბულალა ბულალაური"... გვარის საფუძვლის ჩამყრელის სახელიც ასეთ გვარებში ტრადიციული იყო. ნიკლაურების გვარიდან მომდინარეობს ქსნის ხეობაში მოსახლე შატაკიშვილების გვარი. შატაკთკარში 1774 წელს მკვიდრობდა კომლის უფროსი „შატაკთ ბალის შვილი ნიკვლია". შატაკიშვილების გვარშიც დავიწყებას არ ეძლეოდა შორეული წინაპრის — ნიკვლიას სახელი, რომლისაგანაც ნიკლაურთა დიდი გვარი წარმომავლობს. სისაურების გვარის საფუძვლის ჩამყრელი იყო „სანაგის სანაგი". სისაურებისა და სისაურებიდან შტონაყარ გვარებშიც ტრადიციული სახელი იყო სანაგი.

ასე რომ, გამორიცხული არაა ქართული გვარების უარმყოფელს სადმე ამოეკითხა „გოგოლაურ გოგოლაურის ძე გოგოლაური" (1774 წლის გუდამაყრის სოფ. ლიდას აღწერაში გვხვდება „თლოშიაური თლოშიას შვილი თლოშია" — ე.თაყაიშვილი, მასალანი... გვ. 466). საინტერესოა, ასეთ ანთროპონიმულ ფაქტს როგორ ინტერპრეტაციას მისცემდა ჩვენი ავტორი?

გ.ხორნაულის ცინიზმს ქართული გვარსახელების მიმართ საზღვარი არა აქვს. ის წერს: "იმავე ჩანაწერებიდან ვნახოთ ახლა სხვა ცომცხვარა, ვითომ „გვარები". ამოწერილი აქვს: "მწარია ხუმარას ძე აფშუელი", "მამუკა ჭიჩოელის ასული ელენე", "გოდერძი ბერის ძე ახადელი", "ბაიდო ახადელის ასული დედუნა", "სოსო ივანეს ძე ხახაბოელი", "გიორგი მჭედლის ძე გუდამაყრელი", "ივანე ჯოყოლას ძე შატილიონი", "იმედა როშკიონის ასული ლელა", "ანდრია ქურსიკის ძე უკანაფშაველი", "გიორგი ღვინიას ძე მუცუელი", "როსტია ჩეკურათ შვილის ასული ჯავარა", "ბოიგარ ცეცხლას ძე ჩეკურანი" "შალვა თინიბექის ძე ჩეკურანი", "როსტია ხულას ძე ჩეკურანი" და სხვ. სამწუხაროდ, ავტორი არ უთითებს იმას, თუ რომელი რეგიონის რომელი სოფლების საეკლესიო სიებიდან აქვს ეს მაგალითები ამოწერილი. უამისოდ მის მოყვანილ მაგალითებს დოკუმენტის (საისტორიო წყაროს) ძალა არა აქვს. საჭიროა თითოეულის ცალ-ცალკე განხილვა. ჩვენთვის ცნობილია, რომ მთიდან მიგრირებულებს მთისწინეთსა და ბარში, XIX ს-ის აღწერის დავთრებში ზოგჯერ მიწერილი აქვთ ასეთი „გვარსახელები": აფშუელი, ხახაბოელი, გუდამაყრელი, შატილიონი, უკანაფშაველი, მუცუელი... ასეთი ახალი „გვარსახელები" ეწერებოდათ მათ, ვინც გადმოსახლებული იყო აფშოდან, ხახაბოდან, გუდამაყრიდან, შატილიდან, უკანაფშავიდან, მუცოდან... აქ „გვარსახელი" ბრჭყალებში იმიტომ ჩავწერე, რომ ისინი საბოლოოდ გვარსახელებად არ გაფორმდნენ. მიგრანტებმა საბოლოოდ ისევ თავდაპირველი გვარები დაიტოვეს. XIX ს-ში იყო ტენდენცია ახალი გვარსახელების წარმოქმნისა, განსაკუთრებით მიგრანტ მოსახლეობაში. ამ შემთხვევაში ეს ტენდენცია ტენდენციად დარჩა. რაც შეეხება ჭიჩოელს, ის გვარი იყო. გვარი იყო ახადელიც. ფშავის სოფელ ახადში მცხოვრები გუდერძაულები ატარებდნენ მეორე გვარსაც — ახადელი. ამის შესახებ ზემოთაც გვქონდა ნათქვამი, რომ XIX ს-ის აღწერის დავთარში ისინი ჩაწერილი არიან ასე: "გოდერძაული-ახადელი" (ისევე როგორც ხევის სოფელ ახალციხეს — "ფიცხელაური-ქოსელი"). რაც შეეხება „ხახაბოელად", "შატილიონად", "როშკიონად", "მუცუელად" ჩაწერილებს, ყველა მათგანს ხომ თავისი საკუთარი გვარი ჰქონდა. მაგალითად, "შატილიონი" (ე.ი. შატილელი) გვარად ჭინჭარაული იყო, "როშკიონი" (ე.ი. როშკელი) — გვარად წიკლაური, "მუცუელი" — გვარად ზვიადაური და ა.შ.

გ.ხორნაული წერს: "ხელთაშვილის" "ჩეკურანის" მსგავსი „გვარები", რა თქმა უნდა, კომლების სახელებია და არა გვარები" (გვ. 87). რას ნიშნავს „კომლის სახელი", ვერაფერს გეტყვით. კომლის სახელი თუ გვქონდა საქართველოში, მაშინ ყველა კომლს სხვადასხვა

სახელი, ინდივიდუალური სახელი უნდა ჰქონოდა. თუ სახელი მემკვიდრეობით გადადიოდა, ის უკვე გვარსახელია. მაშინ, რაღას ვისჯებით და მას „კომლის სახელს" ვუწოდებთ? ისე, სხვათა შორის, ევროპელი მეცნიერები გვარს (გვარსახელს), როგორც ოჯახის სახელს, ისე განმარტავენ. ავტორს ოთხი მაგალითი მოაქვს "ჩეკურანის" (იგივე ჩეკურაშვილის) მემკვიდრეობითი სახელისა (გვარსახელისა). თანაც, თუ დავაკვირდებით, "ჩეკურანის" გვარით დასახელებული პიროვნებანი სხვადასხვა მამის შვილები არიან. ერთის მამას ჰქვია როსტია, მეორისას — ბოიკარი, მესამისას — შალვა, მეოთხისას — სულა. აქედან გამომდინარე, ნათელია, რომ ამ შემთხვევაში საქმე არ გვაქვს არც „კომლის" სახელთან, არც მამიშვილობასთან. ცხადია, რომ ჩეკურანი აშკარად მემკვიდრეობითი სახელია (გვარსახელია). თიანეთში გვაქვს სოფელი ჩეკურნი (ჩეკურაანთგორი), რომელიც, რა თქმა უნდა, ჩეკურაშვილებით (ჩეკურან-ებით) იყო დასახლებული. ეს გვარი XVIII ს-ის აღწერის დავთრებშიც არაერთხელაა ფიქსირებული. ჩეკურაშვილების გვარი ხალხურ სამეტყველო ენაში ხშირად "ჩეკურანის" ფორმით გამოითქმოდა. ხშირად -შვილ ფინალს -ან ფინალი სცვლიდა (მსგავსად თინიკაშვილისა, იტყოდნენ და წერდნენ: "თინიკანი", სულაშვილისა — "სულანი"...). კადნიერებად ნუ ჩამოგვერთმევა, თუ ჩვენი ჯერ კიდევ დაუბეჭდავი ნაშრომიდან ("ფშაური გვარები") ერთ ამონაწერს მოვიყვანთ: "...ფშავში -შვილი სუფიქსით ნაწარმოები გვარები ხალხურ მეტყველება-საუბარში იხმარებოდა -ან და -იან სუფიქსებით. ჩვეულებრივ იტყოდნენ არა ვოქიშვილი, არამედ ვოქიანი, არა შამქიაშვილი, არამედ შამქიანი, არა ვარდანაშვილი და დაქუზაშვილი, არამედ ვარდანიანი და დაქუზიანი და ა.შ. XX ს-ის დასაწყისში ა.შანიძის მიერ ფშავში შეკრებილი ფოლკლორული ნიმუშებიდან ირკვევა, რომ გვარები და მამიშვილობები აქ იწარმოებოდა -თ სუფიქსით. მაგალითად, "კრიწნათ ლომია", "მუშტათ ჭრელა", "ყორანაი ვარ ტვირთათი", "წიწოთ კარატიელი ვარ" (აქ კარატიელი სახელია), "ტოლათ მერცხალაი ვარ", "დაბერდა ჭუჭათ ზურაბი", "ფეტვიათ ჟულაკაი ვარ", "ჩიოდა მუშტათ ჭრელათ" (რ.თოფჩიშვილი, ქართული გვარსახელების ისტორიიდან, წიგნი I — მთის რეგიონების გვართა ეთნოისტორიული შესწავლის ცდა, თბ., 1991 წ. (წიგნის მაკეტი), გვ. 51).

ქართული გვარების უარმყოფელი ავტორი აგრძელებს: "იმედას — ვაჟა-ფშაველას დიდ წინაპარს (ერეკლე მეფის „სამხედრო საბჭოს წევრი" რომ ყოფილა (sic — რ.თ.) მიუღია მაშინ გვარად რაზიკაშვილი (ხორნაული აქ თავის თავს ეწინააღმდეგება. ე.ი. რუსეთთან შეერთებამდეც ხდებოდა საქართველოს მთიანეთში გვარსახელების წარმოქმნა — რ.თ.). მისი ჩამომავლები რაზიკაშვილებად ეწერე-

ბოდნენ, მაგრამ, ეტყობა, ვერ ესადაგებოდნენ ამ გვარს და სხვადასხვა ფორმით აწერინებდნენ საეკლესიო წიგნში. არის ნადირა ბერას ძე რაზიკანი და ბერი ბესიას ძე რაზიკანი. იქვე: პავლე რაზიკოვი — ჩარგლის ეკლესიის „პრიჩეტნიკი" (ეს ვაჟა-ფშაველას მამა უნდა იყოს)" (გვ. 87). საოცარია, რომ ენათმეცნიერი უბრალო ენათმეცნიერულ ნიუანსებშიც კი ვერ ერკვევა. აქ მხედველობაში მაქვს ის, რომ ქართულ ენაში გვარსახელების წარმოებისას -შვილი, -ძე, -ან, -ურ(-ულ) სუფიქსებს ხშირად ერთი დატვირთვა აქვთ. ერთი და იგივე გვარსახელი ხშირად იწერებოდა -ძე და -შვილი ფორმანტებით. -შვილს ხშირად ცვლიდა -ან უძველესი სუფიქსი, განსაკუთრებით ხალხურ სამეტყველო ენაში. რაზიკაშვილის გვარსახელთან დაკავშირებით ზემოთ მოყვანილი გვქონდა ალ.ჭინჭარაულის სიტყვები, რომ ამ გვარის თავდაპირველი ფორმა იყო „რაზიკაული" ასე რომ, ერთი და იგივე გვარი როდესაც სხვადასხვა სუფიქსებით არის გაფორმებული (დოკუმენტებსა თუ ხალხურ სამეტყველო ენაში), გასაკვირი არაფერია და ამან არ უნდა დაგვაბნიოს. რაც შეეხება რაზიკანის (რაზიკაულის, რაზიკაშვილის) გვარსახელის რუსული -ოვ სუფიქსით გაფორმებას, ესეც ჩვეულებრივი მოვლენა იყო XIX ს-ის საქართველოში. ის, ვინც რუსეთის საიმპერიო სამსახურში იდგა, ჩვეულებრივ, რუსული ფინალით იფორმებდა გვარსახელს.

კიდევ ერთი საყურადღებო დეტალი: ცნობილია, რომ კვანტალიანების გვარი სამეგრელოში მკვიდრობს. "კვანტალიანი" ოფიციალურ დოკუმენტებში იწერება, მაგრამ მეგრულ სასაუბრო მეტყველებაში მას გამოთქვამენ, როგორც „კვატაია"-ს.

გ.ხორნაულს რომ ჰკითხოთ, მთაში გვარსახელების საბოლოო ჩამოყალიბება საბჭოთა ხელისუფლების დროს, XX ს-ის 30-იან წლებში მომხდარა, რადგან მთაში მთიელი გამოუსვლელად ცხოვრობდა და გვარი თურმე არაფერში სჭირდებოდა. ისინი მხოლოდ მამა-პაპური „მამიშვილობის", "ჯიშჩამომავლობის", კომლობის სახელით კმაყოფილდებოდნენ. "მაგრამ ეს სახელები არ იმყოფინა საბჭოთა სისტემამ და უგვარო და აურიცხავი არავინ დატოვა" (გვ. 88). ე.ი. მთაში გვარების ჩამოყალიბება თურმე გასვლა-გამოსვლასთან ყოფილა დაკავშირებული; დაკავშირებული ყოფილა აგრეთვე აღრიცხვიანობასთან, რომელსაც საბჭოთა სისტემა ატარებდა. კი, მაგრამ საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდეც რომ ატარებდა აღრიცხვას რუსეთის იმპერია? უფრო ადრე ქართველი მეფეები შვიდ წელიწადში ერთხელ რომ აწარმოებდნენ ხალხის აღწერას, მაშინ არ სჭირდებოდათ პიროვნებებს გვარსახელებით აღრიცხვა? საერთოდ კი აღრიცხვასთან არავითარ კავშირში არაა გვარების წარმოქმნა. მაჰმადიანებს გვარები არა ჰქონდათ და ცარიზმი მათ მაინც აღრიც-

ხავდა სახელითა და მამის სახელით. გ.ხორნაულს სხვათა შორის რომ დაეთვალიერებინა XIX ს-ის მოსახლეობის აღწერის მასალები, ალბათ ასეთ გაუგებრობას არ შეთხზავდა, თუმცა ალბათ მაინც დაწერდა, რადგან მას იდეაფიქსი აქვს. დგას და ეძებს ამ იდეაფიქსის „დამადასტურებელ" მასალებს. ბარელებსაც და მთიელებსაც, ფშაველსაც და ხევსურსაც, მთიულსაც და გუდამაყრელსაც, მოხევესაც და თუშსაც, ხანდოელსაც და ჭართლელსაც, ქსნელსაც და დვალსაც, რაჭველ-ლეჩხუმელსაც და სვანსაც, ქართლელსაც და კახელსაც, იმერელსაც და გურულსაც, სამცხელსაც და ჯავახელსაც, კლარჯსაც და შავშელსაც, აჭარელსაც და ინგილოსაც, მეგრელსაც და იმერხეველსაც გვარები ყველას ჰქონდა და სჭირდებოდა ერთი უბრალო მიზეზის გამო — გვარი ჩვენში (მთაშიც და ბარშიც, დასავლეთშიც და აღმოსავლეთშიც, სამხრეთშიც და ჩრდილოეთშიც) საქორწინო ურთიერთობას აწესრიგებდა. ერთი გვარისანი, რომლებიც ერთი წინაპრისაგან მომდინარეობდნენ, ერთმანეთზე არ ქორწინდებოდნენ. ამას მოითხოვდა ქართული წეს-ჩვეულება, ტრადიცია, მიუხედავად იმისა, რომ მართლმადიდებელი ეკლესია შვიდი თაობის შემდეგ დაქორწინების ნებას რთავდა. იმდენად დიდი იყო საქართველოში ეგზოგამიურობის ტრადიცია, რომ ჩვენში ერთმანეთზე არ ქორწინდებოდნენ არა მარტო ერთი გვარის წარმომადგენლები (იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც იურიდიულად ერთი გვარის მოზიარეებს საერთო წინაპარი არ ჰყოლიათ. მაგალითად, დავითაშვილი, პეტრიაშვილი, პაპუაშვილი ერთი გვარია, მაგრამ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, ხშირად ერთ კუთხეშიც, ისინი ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად არიან წარმოქმნილნი), არამედ ხშირად სხვადასხვა გვარისანიც, რომლებიც ერთი სხვა ადრინდელი, საერთო გვარისაგან მომდინარეობენ. მაგალითად, დიდი ხნის წარმოქმნილია შიდა ქართლის სოფელ არანისში მოსახლე თეთრუაშვილების გვარი (XVI-XVII სს. მიჯნა. XVIII ს-ში თეთრაულად იწერებოდნენ). თეთრუაშვილებმა გადმოცემით იციან, რომ მათი ადრინდელი გვარია ბუჩუკური, რომელთა წინაპარიც არაგვის ხეობის დაბლობში მთიულეთის სოფელ გვიდაქედან გადმოსახლებულა. არც ერთი თეთრუაშვილი ბუჩუკურზე არ დაქორწინდებოდა. ხევსური სისაურებიდან (ახლა ისინი ხევსურეთში ლიქოკელის გვარს ატარებენ) არიან გამოსული ქსნის ხეობელი დორეულები და მნითურები. სისაურებიდან წარმომავლობენ თიანელი პატურაშვილები, გონჯილაშვილები, უშიკიშვილები... იმდენად ძლიერია ერთი წინაპრიდან მომდინარე ადამიანთა კოლექტივისტური შეგნება, რომ ისინი ერთმანეთზე არ ქორწინდებოდნენ. ასეთივე კოლექტივიცისტური შეგნების იყვნენ ერთი ხატის ყმანიც. ერთი ხატის (სალოცავის) ყმებს შო-

რისაც ეგზოგამიური აკრძალვა გვქონდა.

ერთი წინაპრის შთამომავალთა (ანუ ერთი გვარის მატარებელთა) კოლექტივისტური შეგნების შესანიშნავი მაგალითი მოყავს ბ.ნიჟარაძეს: "თემი იყო ერთი გვარეულობა, შთამომავლობა საერთო წინაპრისა. ერთი გვარეულობის ნევრნი ყოველს ადგილს, მხარეს და ყოველს დროს, რა გინდ ძლიერაც გამრავლებულიყვნენ, იცავდნენ, ინახავდნენ ურთიერთს შორის მჭიდრო კავშირს. მაგალითები: სადადიანო სვანეთში ლაშხეთის საზოგადოებაში რვა სოფელში, ერთი მეორეზე დაშორებულში, სცხოვრობს ერთი გვარეულობა — "ონიანი" 60 კომლამდე. ეგენი ერთმანეთს ისე სახავენ, თითქო ძლიერ ახლო მონათესავენი იყვნენ, თუმცა მათი ერთი მეორისაგან დაშორება შორს წარსულს ეკუთვნის. ონიანების თემი ჭირსა და ლხინში განუყრელნი არიან. ლაშხეთელი ჭელიძე ისრე ესტუმრება უშგულელს (თავისუფალ სვანეთში) თავის მეგვარეს, თითქო მათი წინაპრები ახლო განაყოფები იყვნენ. უშგულელი მუშკუდიანი რომ ლახამულას (სადადიშქილიანო სვანეთის უკანასკნელი საზოგადოება) მივა, უთუოდ თავის მეგვარეს კითხულობს და ნახვის შემდეგ, თუმცა იგინი პირველად ხედავენ ერთმანეთს, ლახამულელი მუშკუდიანი ისე მიიღებს მას, როგორც ნამდვილს ახლო ნათესავს. მულახელი (თავისუფალ სვანეთში) ჯაჭვლიანი აგეთივე მიღებულია თავის მეგვარისაგან ს.ცხომარში — სადადიშქილიანო სვანეთში (ბ.ნიჟარაძე, ისტორიულ-ეთნოგრაფიული წერილები, I, თბ., 1962, გვ. 106. ნაშრომი დაწერილია 1885-1886 წლებში).

ახლა კიდევ რამდენიმე ციტატას მოვიყვანთ ქართული ეთნოგრაფიული ნაშრომებიდან. გავაგრძელოთ სვანეთის თემა: "ერთი წინაპრიდან მომდინარე გვარები (ლაპარაკია სვანეთზე — რ.თ.) ცდილობენ დაიცვან გვარის მთლიანობა, როგორი შორს წასულიც არ უნდა იყოს ნათესაობა" (ც.ჩართოლანი, ნათესაური ურთიერთობა სვანეთში, "მაცნე" — ისტორიის... სერია, N2, 1980, გვ. 87). "მრავალსამხუბიანი ეგზოგამიური გვარის საილუსტრაციოდ შეიძლება დავასახელოთ გუჯეჯიანების გვარი. ისინი ცხოვრობენ მესტიის რაიონის სოფ. მულახში, ეცერში, ბეჩოში, აფხაზეთის სვანეთში. ნათესაობა ამ გვარში ისე შორს არის წასული, რომ მთლიანი გენიალოგიის შედგენა არც ხერხდება, მიუხედავად ამისა გუჯეჯიანები ინარჩუნებენ ეგზოგამიურობას" (გვ. 88). "დიდი მნიშვნელობა ენიჭება საერთო წარმოშობის საკითხს. ეგზოგამიას იცავს ის სხვადასხვა გვარიც, რომელიც თავს საერთო წარმოშობისად თვლის. მაგ., ჩხვიმიანები, მარგველანები, ხერგიანები, ანსიანები და სამსიანები, ჩართოლანები, ივეჩიანები, ბერჩიანები და სხვ" (გვ. 91). "რაც შეეხება სასაფლაოს, იგი ხომ გამოკვეთილად საგვარეულოა. მამის ხაზით ნათესავე-

ბი ერთ ადგილას იმარხებოდნენ, სადაც არ უნდა მომკვდარიყო სვანი, მის ნეშტს საგვარეულო სასაფლაოზე დაკრძალავდნენ" (გვ. 93). "გვარებსა და სამხუბებს ჰქონდათ არა მარტო საკუთარი დღესასწაულები, არამედ სალოცავებიც. თითოეულმა გვარმა იცის, ვისი მლოცველია, რომელი ხატისა და ჯვარის მოსახელეა იგი" (გვ. 100).

ამონაწერი რ.ხარაძის ნაშრომიდან: " в картлийском селении Земо-Аши, существует гвари Мглиани (გვარი მგლიანი), которое образовалось посредством сегментации одной большой семьи, называемой по имени большака — Мгелиа. Семья это, переселившаяся из селения Бакурхеви, по преданию, принадлежала хевсурскому роду Пицхелаури. Бакурхевские Пицхелаури и Мглиани считают друг друга сахликаци (სახლიკაცი) и соблюдают между собой экзогамные запреты" (Р.Л. Харадзе, Структура семейной общины в Картли, — "Вопросы этнографии Кавказв", Тб., 1952, с. 270). ასევე მკაცრად ეგზოგამიური იყო გვარი მთიულეთში, ხევსა და ხევსურეთში (იხ. ი.ჭყონია, ქორწინების ინსტიტუტი მთიულეთში, ნაწ. I, თბ., 1955; ვ. ითონიშვილი, ქართველ მთიელთა საოჯახო ურთიერთობის ისტორიიდან, თბ., 1960; ლ.მელიქიშვილი, საქორწილო წეს-ჩვეულებების სტრუქტურის ანალიზი და ინოვაცია, თბ., 1986) და, საერთოდ, მთელ საქართველოში: "Среди населения всех регионов Грузии строго запрещался и сегодня запрещается брак между представителями одной фамилий (Т.В. Ивелашвили, Брачные обычаи и обряды в Грузии XIX-XX вв. Автореферат докторской дисертации, Тб., 1991, с. 12). ყოველივე ეს, რაც ზემოთ ითქვა, იმდენად საყოველთაო და ქართული სოციალური ურთიერთობისათვის დამახასიათებელი მოვლენა იყო, რომ მის შესახებ მსჯელობდა XIX ს-ის ავტორი მ.კოვალევსკი. ამ ავტორს თავს დავანებებთ და ციტირებას მოვახდენთ სულ ახლახანს მოსკოვში გამოცემული წიგნიდან (Семейный быт народов СССР", М., 1990), რომელშიც საქართველოს ნაწილის ავტორია ეთნოგრაფი ლ.სოლოვიოვა. აი, რას წერს ის: "Условия брачного выбора определялись в основном нормами обычного права и религиозными установлениями. В большинстве районов по нормам обычного права **запрещались браки не только кровных родственников самых отдаленных степеней родства, но и однофамильцев**, причем в некоторых районах считались нежелательными даже браки с однофамильцами матери, хотя христианская религия разрешала браки родственников далее седмого колена" "**Брачные союзы запрещались и между представителями разных фамилий, если сохранялось память об**

их происхождении от одного предка" (с. 379). იმავე ავტორს უფრო ღრმად ჩაუხედია საქართველოს სოციალურ ურთიერთობათა ეთნოგრაფიულ ყოფაში: "У грузин в некоторых районах браки внутри фамилии допускались. Как правило, так было в больших фамилиях, отдельные подразделения которых считались происходящими от разных предков" (с. 379). ეს დასკვნები რუს ავტორს საკუთარი ეთნოგრაფიული მასალებისა და არსებული მრავალრიცხოვანი საისტორიო და ეთნოგრაფიული მასალებისა და არსებული საისტორიო და ეთნოგრაფიული ლიტერატურის ანალიზის შედეგად აქვს მიღებული და არა ჰაიჰარად, როგორც გ.ხორნაულს, რომელიც საერთოდ არ იცნობს ქართულ ეთნოგრაფიულ და საისტორიო სამეცნიერო ლიტერატურას და მისი ცოდნა ქართული ეთნოგრაფიის შესახებ XX ს-ის 30-იან წლებში დაწერილი ს.მაკალათიას წიგნების იქით არ მიდის. თუმცა ამ უკანასკნელი ავტორის დასკვნებსაც არასწორ ინტერპრეტაციას უკეთებს.

ჩვენს მთაში ბოლო დრომდე ფუნქციონერებადი ჩვეულებითი სამართლით, გვარის შიგნით ქორწინების აკრძალვას მკაცრად იცავდნენ. თუ ასეთი რამ მოხდებოდა, გვარის გამტეხთ თუ ჩაქოლვა არა, უკეთეს შემთხვევაში, მოკვეთა მაინც არ ასცდებოდათ. ქართველ სამართლისმცოდნეებს ფშავში ასეთი ეთნოგრაფიული მასალა აქვთ ფიქსირებული: "სოფ. მაღაროში ნათესავებს შეუყვარდათ ერთმანეთი. ისინი ერთი გვარისანი იყვნენ. თემმა არ მისცა დაქორწინების უფლება. ამიტომ მათ ისლა დარჩენოდათ, რომ თავები ჩამოეხრჩოთ, რადგან იცოდნენ, მაინც დასჯიდათ თემი" (ქართული ჩვეულებითი სამართალი, 3, თბ., 1991, გვ. 24). 1982 წ. მთიულეთში ჩვენ ჩავიწერეთ ასეთი ეთნოგრაფიული მასალა: "სოფელ სეთურთას არის საქოლავი. ერთმანეთი ბიძაშვილებს შეუცოდავთ. ისინი ცოცხლად დაუმარხიათ, ჩაუქოლიათ. დღესაც რომ საქოლავთან ვინმე გაივლის, მიაფურთხებს და სამ ქვას მიაგდებს" (მთხრობელი სოფიო ჯალმაიძე-ბუჩუკური, 65 წლის, სოფ. ქვეშეთი). ამ მასალას კომენტარს აღარ გავუკეთებთ და ჩვენს მთაში პიროვნებისა და კოლექტივის (გვარის) ურთიერთმიმართების სამართლებრივი და სოციალური ურთიერთობების ამსახველ დასკვნას ეთნოგრაფ მ.კანდელაკს დავესესხები: "ერთობა-კოლექტივიზმი ნათლად არის გამოკვეთილი მთიელთა სამართლებრივ სფეროში, კოლექტიური პასუხისმგებლობის პრინციპში: მაგ., ფშაველის მიერ ჩადენილი დანაშაული მძიმედ აწვებოდა მის მოგვარეებს, დანაშაული მათი ყველა წევრზე გადადიოდა. მაგალითად, საქორწინო ეგზოგამიის დარღვევა მთელი ნათესაობის უბედურების მომასწავებლად აღიქმებოდა" (მ.კანდელაკი, ერთობის ფენომენი ქართველ მთიელთა ტრადიციულ ყოფაში, 1995, გვ. 8, ხელნაწერი).

არ შეიძლება არ ვთქვათ, რომ შემორჩენილი იყო გვარი და დაცული იყო მისი ეგზოგამიურობა აჭარაშიც (იხ. Н. Мгеладзе, Система кровного родства в Аджарии, Батуми, 1988) ამ შემთხვევაში აშკარად ჩანს ქართული ტრადიციის, წეს-ჩვეულებების სიმტკიცე იდეოლოგიურ სიტუაციასთან (ისლამის გავრცელება) შედარებით.

საქორწინო ურთიერთობის მოწესრიგების გარდა, გვარს საქართველოში და განსაკუთრებით მთიან რეგიონებში სხვა ფუნქციებიც ჰქონდა. გვარის წევრებს ერთმანეთთან რიგი ვალდებულებებისა აკავშირებდათ. ერთ-ერთ მაგალითად სისხლის აღების ჩვეულება შეიძლება მოვიყვანოთ. ამ ვშემთხვევაში მხოლოდ ვაჟა-ფშაველას ერთი ლექსის ნაწყვეტის მოყვანით დავკმაყოფილდებით:

"შენ რომ სხვა მაჰკლა, შენც მოგკვლენ,
მკვლელს არ შაარჩენს გვარია".

დაბოლოს, უნდა გავიხსენოთ ხევსურული ტერმინი „საგვარო საკლავი". ისტორიკოს ივ.წიკლაურის მიერ მოწოდებული ეთნოგრაფიული მასალით, ხევსურული „თავ-სისხლის" სამართალში არის ასეთი წესი: მკვლელობის დროს მოკლულის მოგვარენი, რომელთაც „საძმო" (ე.ი. ძმა-სახლიკაცობა) არა აქვთ გაყრილი, მკვლელის „მესაძმოეთაგან" ითხოვენ „საგვარო საკლავს". მკვლელის „მესაძმოენი" ვალდებულნი არიან დაუკლან საკლავი მოკლულის მოგვარეებს. როგორც ხევსურეთში იტყვიან, გვარი უძლევება გვარს — ამ საკლავს ეწოდებოდა „საგვარო საკლავი". ასე რომ, "საგვარო საკლავი" აუცილებლად შესასრულებელი ვალდებულება იყო თავ-სისხლში. ამ ეთნოგრაფიულ მასალას კომენტარს აღარ გავუკეთებთ, ოღონდ იმას აღვნიშნავთ, რომ ჩვენს მთაში მოქმედი ჩვეულებითი (ხალხური) სამართალი საუკუნეების მიღმაა წარმოქმნილი და არა საქართველოს რუსეთთან მიერთების შემდეგ.

ქართული ეთნოგრაფიული ყოფიდან სხვა მაგალითებიც შეიძლება მოვიშველიოთ. ცნობილია, რომ საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში გვქონდა ე.წ. "საგვარო ხატ-სალოცავები". ამა თუ იმ ჯვარ-ხატს მხოლოდ კონკრეტული გვარისანი ლოცულობდნენ. მაგალითები ძალიან ბევრი შეიძლება მოვიყვანოთ. ქსნის ხეობის სოფელ საძეგურში რამდენიმე გვარის ხალხი მკვიდრობდა. პირველ რიგში ისინი ცალ-ცალკე უბნების მიხედვით იყვნენ განსახლებულნი და რაც მთავარია სალოცავებიც თავ-თავიანთი ჰყავთ. აქ ყველა მიგითითებთ: "კობათ ხატს", "მილათ ხატს", "გიგაურთ ხატს", "კაშაურთ ხატს" და სხვ., რომლებიც კობაურების, მილაძეების, გიგაურების, კაიშაურების სალოცავები იყო. შესაბამისად საგვარო სალოცავებთან იყო საგვარო სასაფლაოებიც. მთისწინეთსა და ბარის დიდ სოფლებში თუ ერთი სასაფლაო გვქონდა, აქაც გვარებს ცალ-

ცალკე ზონები ჰქონდათ გამოყოფილი. ისინი ერთმანეთში შერეულად არ იმარხებოდნენ. თუმცა ბარის დიდ სოფლებშიც არის დადასტურებული საგვარო სასაფლაოებიც. მაგალითად, სოფელ დილომში ცალკე სასაფლაოები ჰქონდათ ქობელაშვილებს ("ჩხაიკა"), შოშიტაშვილებს ("კავთა"), მძევაშვილებს ("თევდორე") და სხვ. უ.სალთხუციშვილის მიერ მოწოდებული მასალით ასეთივე ვითარება გვქონდა მარტყოფში. აქ ახლაც არის „ითაანთ წმინდა გიორგი", სადაც ითაშვილები იკრძალებოდნენ. მარტყოფშივე „ბოჭორმის წმინდა გიორგი" ოსიაშვილების სალოცავი იყო. ეს გვარები მარტყოფში მკვიდრობენ დღესაც და მკვიდრობდნენ XVIII ს-ის დასაწყისშიც (ივ.ჯავახიშვილი, სეიძ, I, გვ. 22). სოფელ პატარძეულში (გარე კახეთი) XVII ს. დასაწყისში ერწოდან გადმოსახლდნენ ჯილაურები (ერწოში 1850-იან წლებამდე გვქონდა სოფელი, რომელსაც „ჯილაურთა" ერქვა. ახლა ეს სოფელი „ხადუელთას" სახელს ატარებს). იქ, სადაც ისინი დასახლებულან, იმ ადგილს ჰქვია „ჯილაურთ ხევი". ჯილაურთ ხევში კი არის სალოცავი „ჯილაურთ ეკლესია", სადაც ამ გვარისანი იკრძალებოდნენ. შიდა ქართლის სოფლებში გვქონდა სალოცავები (ეკლესიები), რომლებსაც მხოლოდ ამა თუ იმ გვარისანი ლოცულობდნენ. ეს ეკლესიები ხშირად გვარის სახელს ატარებდნენ; მათი სახელწოდებანი რომელიმე გვარისადმი კუთვნილებას მიუთითებდნენ. შეიძლება რამდენიმე მათგანი ჩამოვთვალოთ: "ოქროიანთ საყდარი" (დიდი ატენი), "შალიკაშვილების ეკლესია" — ღვთისმშობლის ეკლესია (სოფ. კოშკები), "კიკილაანთ ეკლესია" (უფლისციხე), "კაციაანთ ეკლესია" (სოფ. გუდალეთი), "წეროაანთ წმ. გიორგის საყდარი" (დოესი), "ისიდორიანთ საყდარი" (ხოვლე), "კიკოლაანთ საყდარი" (ქვემო ნიჩბისი), "ფაფელაანთ საყდარი" (სოფ. ჭანდრები), "ჯანიაურების ეკლესია" (სოფ. ალი) — იხ. საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა, ტ. 5, თბ., 1990, გვ. 60, 77, 89, 154, 155, 158, 221, 412, 424.

საგვარო სალოცავები გვქონდა სამეგრელოშიც. მაგალითად, სოფელ სეფიეთში არის „მეიეფიში ნაოხვამუ" — მელიების გვარის ჯინჯი (ძირი) სალოცავი, რომლებიც დღეს ძველ აბაშაში მკვიდრობენ. გიორგობას ყველა მელია სეფიეთში იკრიბებოდა. ძველ აბაშაშივე მცხოვრებ კორძახიებს კი ჯინჯი-ხატი ნოქალაქევში ჰქონიათ. სოფ. ლეხაინდრაოში ცალკე ეკლესია ("ოხვამე") ჰქონდათ დანელიებსაც. "დანელიების ეკლესიასაც ეძახდნენ მას. დანელიებს ახლაც აქვთ ეკლესიის შუა ადგილას ვეებერთელა ქვევრი, რომელსაც ავსებდნენ, თურმე, შონურით. ქვევრს მოხსნიდნენ აღდგომა დღეს. ჯერ ოდუდოს საოხვამუროს ყველა წესს შეასრულებდნენ, შემდეგ აქვე ეკლესიაში მოუსხდებოდნენ საერთო სუფრას და ილხენდნენ.

ცერემონიალს ხელმძღვანელობდა მორიგეობით გვარის თითო მხცოვანი წევრი" (გ.ელიავა, აბაშისა და გეგეჭკორის რაიონების ტოპონიმიკა, თბ., 1977, გვ. 76).

ცალკე საგვარო სალოცავი ჰქონდათ მთიანი რაჭის სოფელ ღებში მცხოვრებ გობეჯიშვილებსაც. "სალმრთოსათვის საჭირო სანოვაგეს და საკლავებს საგვარეულო·იძენდა და მთავარანგელოზში წინდაწინ აგზავნიდა. ღებში წირვის გადახდის შემდეგ უხუცესების წინამძღოლობით გობეჯიშვილები მთავარანგელოზში მიემგზავრებოდნენ. აქ გვარი იხდიდა ვედრებას და ხატს შესთხოვდა გობეჯიშვილების.გამრავლება-გაძლიერებას" (ს.მაკალათია, მთის რაჭა, თბ., 1987, გვ. 94).

აღნიშნული სოციალურ-რელიგიური სისტემა კი ქართველ ხალხში საუკუნეების წინ იყო ჩამოყალიბებული და მან ჩვენში დღევანდლამდე მოაღწია, გადაეცემოდა რა ტრადიციით თაობიდან თაობაზე. საუკუნეების წინ იყო წარმოქმნილი საქართველოში მიწის გასხვისების წესი. რ.ხარაძე ხევის მაგალითზე წერს: "მიწის გაყიდვისას, როგორც თვითონ მთხრობელები გადმოგვცემენ — ჯერ თვითონ გორს უნდა დაჰკითხებოდნენ, თუ გორის ხალხი მიწის ნაკვეთის შესყიდვას არ მოისურვებდა, მხოლოდ მაშინ ექნებოდა უფლება მიწის მესაკუთრეს, რომ ის სხვისთვის მიეყიდა" (რ.ხარაძე, თემური მმართველობის გადმონაშთები ხევში, გვ. 167). სოციალურ ურთიერთობათა ეს წესი ჩვეულებითი სამართლის კატეგორიას განეკუთვნება და იგი ქართველ ხალხში კლასობრივი საზოგადოების წარმოშობამდე იყო წარმოქმნილი. რ.ხარაძის მიერ აღწერილი ტრადიცია მიწის გასხვისებისა მეტ-ნაკლებად საქართველოს ყველა პროვინციისათვის იყო დამახასიათებელი.

გვარსახელების წარმოქმნა საქართველოში სხვა სოციალური მიზეზებითაც იყო განპირობებული. ამ მიზეზების ჩამოთვლა ძალიან შორს წაგვიყვანს. ქართული ფეოდალური სისტემა მოითხოვდა მემკვიდრეობითი სახელის (გვარსახელის) არსებობას. ქართველ ფეოდალს ყმა გლეხი მამულზე მემკვიდრეობით ეჯდა. მიწაზე მჯდომი გლეხის მამული მემკვიდრეობით გადადიოდა, და, საჭირო იყო მემკვიდრეობითი სახელი, სოციალური ურთიერთობის გასაადვილებლად. ეს მკვეთრად უშლიდა ხელს ქართველი გლეხის ერთი ადგილიდან მეორეში თავისუფლად გადანაცვლებას, ერთი მებატონიდან მეორე მებატონესთან წასვლას. აქ ციტატას მოვიყვან გვარსახელებისადმი მიძღვნილი ერთი ნაშრომიდან: "ფეოდალური ხანის კანონმდებლობა საკუთრების უფლების დოკუმენტურ მტკიცებას მოითხოვდა, რამაც, თავის მხრივ, წარმოშვა იურიდიული პირის ზუსტი განსაზღვრის საჭიროება. ამავე დროს, მიწაზე ფეოდალური საკუთ-

რების ყველა ფორმა მემკვიდრეობითობის ძლიერ ტენდენციას ამჟღავნებს, რაც თავისებურად აისახა საკუთარ სახელთა სისტემაზეც" (მ.სურგულაძე, ორწევრიანი გვარსახელები ქართულ ისტორიულ საბუთებში — "მრავალთავი — XIII", თბ., 1986 წ. გვ. 18). საქართველოში გვარსახელის წარმოქმნა ქართული ფეოდალური სისტემით, მიწაზე გლეხის მემკვიდრეობით ჯდომით რომ იყო განპირობებული, კარგად ჩანს ერთი გვიანდელი პერიოდის, 1796 წლის საბუთით. წინასწარ ვიტყვით, რომ ეს ურთიერთობები საქართველოში ფეოდალიზმის თითქმის მთელ პერიოდს ახასიათებს. აი, დოკუმენტი: "ქ. ნინია (სახელი — რ.თ.) ჩიოდა: მამა ჩემი ბერძნიშვილის (გვარსახელი — რ.თ.) ზავრადას შვილი (მამის სახელი — რ.თ.) იყოო და მამა ჩემი რომ ყიზილბაშში დაიკარგა, მისი მამული მირზაშვილებმა იშოვეს ბარძიმ ერისთავისაგან და ჩემს განაყოფებს ბერძნიშვილებს ნასყიდობის წიგნი მიუციათ და ასე დაუმტკიცებიათ: თუ გედაოს ვინმე, პასუხი ჩვენ გავცეთო. ჩვენ ამათი საჩივარი დიდს ხანს მოვისმინეთ და მრავალიჯერ მოციქულით და ცალ-ცალკე ვკითხეთ ბერძნიშვილებს და იმათ ასე იფიცეს მრავალჯერ, როცა მაგისი ბერძნიშვილობა ვთქვით, მირზაშვილის მტრობით ვთქვით, თორემ ეგ არას გზით ბერძნიშვილი არ არისო. ყოვლად სანატრელს მისს უწმინდესობას, ბატონიშვილს, ყოვლისა საქართველოს კათოლიკოზპატრიარქსაც მოაჴსენეს ბერძნიშვილებმა და შეჩვენებაში თავი შეიგდეს, რომ ნინია ბერძნიშვილი არ არისო. ..................................
ამაში წადგნენ ამ განაჩენით ბერძნიშვილები და დაიფიცეს, რომ სწორედ ბერძნიშვილის ზავრადას შვილი არისო. აწ, რადგან იფიცეს, ეს ნინია შეიქნა სწორედ ბერძნიშვილის ზავრადას შვილი, მაგრამ, რადგან ამდენი სიცრუე შეაჩნდათ ბერძნიშვილებსა, რომ სამართალში მრავალი რიგი ტყუილი თქვეს და ბოლოს ფიცმა გვარწმუნა, ამ ზემო წერილის ძალით, ჩვენ ქართლისა და კახეთის მსაჯულთ, ამის სამართალი ასე განვაწესეთ: პირველ რადგანაც მეპატრონეს ბარძიმ ერისთავს სიგლით მიუცია მირზაშვილებისათვის ის მამული და მისის შვილებისაგანაც დამტკიცებული აქვს და ბერძნიშვილებსაც ნასყიდობის სიგელი მიუციათ მირზაშვილებისათვის, სრული ფასი ავიღევით, სიგელი ასე აცხადებს და მირზაშვილს იმ მამულში ჭირნახულიც ბევრი აქვს, ამ საქმეებით მირზაშვილებს ის მამული სამართლით ველარ გამოვართვით და რომელიც მირზაშვილებს ზავრადას შვილის მამული უჭირავს, მით ფარდი სასახლისა წილ, სასახლე გლეხისა წილ, გლეხი ვენახისა წილ, ვენახი ნაფუზრისა წილ, ნაფუზარი ბაღისა წილ, ბაღი მინდვრისა წილ, მინდორი და რისიც მქონებელი ყოფილა იმისი შეფარდებული ყოველივე ზომით და ფარდით მიეცეს ბერძნიშვილების მამულიდამ სრულად და უკ-

ლებლად ნინიას და მის ძმას იაკობს. ამას გარდა **სასაფლაო თავისი სამკვიდრო მიეცეს**, ორთვალი წისქვილი და კოშკი თავისის ჭალით და კოლაშვილი, რისაც მამულის მქონებელი იყოს. დღეს რაც კოლაშვილის მამული ბერძნიშვილებს ეჭიროს, ესენი ყველა ნინიასა და მის ძმას იაკობს უნდა მიეცეს.

ქ. ჩვენ ცხებულის მეფის თეიმურაზის ძე ირაკლი, მეფე ყოვლისა ზემოისა საქართველოსა, ამ მსაჯულთაგან გაწესებულს განაჩენს ვამტკიცებ. **ეს ნინია ბერძნიშვილად აღმოჩნდა, ამ მამულზედ დაგვიმკვიდრებია ნინია და მისი ძმა იაკობ და ბერძნიშვილად დაგვიმტკიცებია**" ("საქართველოს სიძველენი", III, გვ. 212-213).

თითქმის მთელი განჩინების გადმოწერა დაგვჭირდა იმიტომ, რომ გვეჩვენებინა, თუ რა ფუნქცია ჰქონდა ქართულ ფეოდალურ ურთიერთობებში გვარსახელს. ბერძნიშვილებისა და მირზაშვილების გვარები აზნაურული გვარები იყო (1783 წ. ტრაქტატის დანართით). ერთ-ერთი ბერძნიშვილის, ნინიას (და მისი ძმის იაკობის) მამა ყიზილბაშში დაკარგულა. იმ დროს ნინია და იაკობ ბერძნიშვილები მცირეწლოვნები ყოფილან. მათი განაყოფი ბერძნიშვილები სარგებლობენ ამით და ნინიასი და იაკობის (ზარვანდას შვილების) მამულს, როგორც საკუთარ მიწას, ისე ჰყიდიან. შემდეგში მთელი დავა მიმდინარეობს იმაზე, რომ ნინია და იაკობი ბერძნიშვილები და თანაც ზარვანდას შვილები არიან თუ არა. ამის მტკიცება მიმდინარეობს იმიტომ, რომ მოიპოვონ მამა-პაპათა მამულის ფლობის, მემკვიდრეობით მიღების უფლება. ამავე დროს, მათი მტკიცება წინაპართა მამულზე, მიწაზე ხდება არა მარტო გვარით, არამედ მამის სახელითაც. სამართალმა დაადგინა: ნინია და იაკობი ნამდვილად ზარვანდა ბერძნიშვილის შვილები იყვნენ. მათ მიიღეს კუთვნილი მამული. და რა კარგადაა მეფე ერეკლე II-ის განჩინების დამტკიცებაში ნათქვამი: **"ეს ნინია ბერძნიშვილად აღმოჩნდა, ამ მამულზედ დაგვიმკვიდრებია ნინია და მისი ძმა იაკობ და ბერძნიშვილად დაგვიმტკიცებია"** (ხაზგასმა ჩვენია, — რ.თ.). ასე რომ, ქართველი გლეხიცა და აზნაურიც მიწაზე მემკვიდრეობის უფლებით იჯდა და მიწის მემკვიდრეობით ფლობას მემკვიდრეობითი სახელიც ესაჭიროებოდა. ეს მემკვიდრეობითი სახელი კი გვარსახელი იყო და მეტი არაფერი.

ქართველ თავადს აუცილებლად რომ სჭირდებოდა, მის ყმას გვარსახელი (მემკვიდრეობითი სახელი) ჰქონოდა, კარგად ჩანს 1762 წლის ერთი საბუთიდან. ესაა „ზაალ დავითაშვილ (ბაგრატიონის) არზა მეფისადმი" (ივ. ჯავახიშვილი, სეიძ, II, გვ. 102-103). ცნობისათვის მოკლედ ვიტყვით: თავად დავითაშვილ-ბაგრატიონებს სათავადო ფრონეების ხეობაში ჰქონდათ. XVIII ს. პირველ ნახევარში ეს მხარე (მისი მთაც, მთისწინეთიც და ბარიც) ინტენსიურად დასახ-

ლებული იყო ქართული მოსახლეობით. XVIII ს-ის შუა ხანებიდან ფრონეების ხეობაში მოსახლეობა თითქმის მთლიანად ამოწყდა. ზემოთ დასახელებულ საბუთში პირდაპირ ნათქვამია: "ხომ მოგეხსენება, ჩვენს მამულში ცეცხლი აღარ ანთია. აღარც ყმა დაგრჩომია. რაც ლეკს მოურჩა, დაიფანტნენ". მცირე რაოდენობით გადარჩენილი ყმები დავითიშვილს კახეთში დაჰფანტვია. მიუგნია მათთვის (გვარებითა და სახელებით უპოვნია) და მეფე ერეკლეს მიართმევს არზას, სთხოვს შემწეობას, მათ უკან დაბრუნებას, თან აცნობებს, ესა თუ ის გლეხი კახეთის რომელ სოფელში იმყოფება. გაქცეული გლეხები არზაში გვარსახელითა და სახელით არიან მოხსენიებულნი: "საცა ჩემი კაცი იყოს ამ კახეთში, იმისი წყალობა მიყავით, რომ ავყარო და აქავ ერთს კაცს მივაბარო... ორი კომლი ველისციხეს არის: ერთი კურტანიძე ზაქარია, ერთი კოჭატაძე (სხვათა შორის, ამ კოჭატაძეთა შთამომავლებმა ველისციხეში გრიგორიანობა მიიღეს და სომხებად და კოხტიევებად იქცნენ — რ.თ.). მაგრამ იმათზე თავს ველარ გაწყენ და ვერც რას მოგახსენებ და მისი წყალობა მიყავით, თუ არ გამიწყრებით.

ქ. ანამზეშვილი სიხარული თელავს არის
ქ. ხოტორაშვილი ღთისა გრემს არის
ქ. ვიშელიშვილი გავაზს არის ხიზნად, ამისი სახლის კაცი (sic)
ქ. კბილაშვილი ურიათუბან არის
ქ. ჯოხაძე თევდორე და იმისი ძმა ჩუმლაყს არიან
ქ. ჭავჭავაძე გიორგი ვეჯინს არის
ქ. ხუციშვილი საგარეჯოს არის
ქ. ელისაშვილი პატარძეულელებთან არის
ქ. ნანიტაშვილი კიდევ ჩუმლაყს არის
ქ. რაზმაშვილი რუისელი ველისციხეს
ქ. ლომიძე ადამა ველისციხეს
ქ. კობალაძე ველისციხეს
ქ. ხუციშვილი ბინა გიორგი აწყურს".

როგორც ვთქვით, აღნიშნული საბუთი 1762 წლისაა. 1715 წლის რუისის სამწყსოს დავთარს თვალს თუ გადავავლებთ, ვნახავთ, რომ ეს გვარები ფრონეების ხეობაში მკვიდრად ცხოვრობდნენ. რაც ყველაზე მთავარია, ესევე გვარები ფრონეების ხეობის სოფლებში დასახელებული არიან XVII ს-ის შუა ხანების აღწერებში (ივ. ჯავახიშვილი, სეიძ, II, გვ. 4-171).

ქართულ საისტორიო საბუთებსა და წყაროებში არაერთგზის გვხვდება ტერმინი „გვარი", ზუსტად იმ გაგებით, რა შინაარსიც დღეს დევს მასში. აი, ერთი მაგალითი 1477 წლის საბუთიდან: "...ესე მტკიცე ნასყიდობისა სიგელი დაგიწერეთ და მოგეცით ჩუენ, პალა-

ტისშვილთა: ნიკოლოზ, ზაალ, ავთანდილ, ბეშქენ, დემეტრე და შვილთა ჩუენთა, რამინ, ერანგი, და ჯანგიშერ, და ზავრან და შვილისშვილთა და მომავალთა გუარისა ჩუენისათა..." (დოკუმენტები, I, გვ. 3). ამავე საბუთიდან: "ვინცა და რამანცა გუარისა კაცმან, ანუ ჩუენისა გუარისა კაცმან, ანუ სხუისა გუარისა კაცმან შეცვალოს, რისხვამცა დაუსაბამო ღმერთი..." (გვ. 4). XV ს. ბოლო მეოთხედის საბუთიდან: "ასრე ვთქუი: ჩემი გვარის კაცი მის დღემჩიგა თათარჩიგა არ დატყვევებულა..." (პალ, II, 329). ამონაწერები სვანეთის საისტორიო საბუთებიდან: "...სადამდის სუანეთი იჴსენიებოდეს, ან ჯაფარიძეთა გვარი იყოს, ან იჴსენიებოდეს" (1503 წ. სვანეთის წერილობითი ძეგლები, I, ვ.სილოგავას გამოცემა, თბ., 1986, გვ. 115). "ჩუენი გვარის ცოცხლისა და მკვდრის საქმე ყუელა თქუენთჳნ მოკიბარებია, სეტის ხეო" (1505-1539 წწ. გვ. 167); "დღეისითგან წალმა არას ჩემისა გუარის კაცმან არ მიჴსენოს" (XIV ს. გვ. 175); "დაგიწერეთ და გიბოძეთ ჩუენ, მჯაფარიანმან, თქუენ, ხერგიანთა, მტკიცე და უქცეველი: თუ ხერგიანი ასი მოსახლე იყოს, ამ ორი საკლავის მეტი არა ჰმართებდეს..." (XV ს. გვ. 199); "ხერგიანის გუარი კაცი — აზნაკრი კაცი, თუ შეგაკვდეს, სისხლი ყოველი მან გარდაიხადოს..." (XVII ს. გვ. 202); "...თუ ამ გულზე შეიქენით, ჩუენ მოგახსენეთ, რომ ჯაფარიძის გვარი იყოს ესე, ფიცი არ გაგიტეხოთ. თუ ასი მოსახლე შეიქმნას, ამ ორ საკლაუს იქით არა ემატოს" (XVI-XVII სს. გვ. 203). უპრიანი იქნება აქვე გავიხსენოთ ერეკლე II-ის სიტყვები, რითაც მიუმართავს თავისი მეომრებისათვის ერევნის ბრძოლაში აზატ ხანის წინააღმდეგ ("აზატხანს ეპყრა მიდია (რომელ არს ადრიბეჟანი) და იწოდებოდა პყრობელად სპარსეთისად"): "ასე ყვეულამ უწყით, რომ სიკვდილის შვილნი ვართ და ჩვენს გვარსა და სახელს ორი დღის სიცოცხლისათვის ნუ მოვაყივნებთო" (ომან ხერხეულიძე, მეფობა ირაკლი მეორისა, ლელა მიქიაშვილის გამოცემა, თბ., 1989, გვ. 51). 1771 წლის საბუთში „სამართალი ქართლის მდივანბეგებისა თეიმურაზ ჯავახიშვილისა და ნინიაშვილის საქმეზე" ვკითხულობთ: "ეს გლეხი კაცი ამასაც ამბობდა, მე გვარათ ზაქარაშვილი არ ვარო, ფარნაძე ვარო" (დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან, II, ნ.ბერძენიშვილის რედაქციით, თბ., 1953, გვ. 77). 1817 წლის საბუთში წერია: "...მე, რაჭველმა სოფელსა ძეგლევგს მცხოვრებელმა აზნაურმა გოგია ბერის შვილმა გვარად ხუცის შვილმა..." (იქვე, გვ. 292-293). ბ.ეგნატაშვილის „ახალი ქართლის ცხოვრება"-ში ვკითხულობთ: "ხოლო ჟამსა ამას იყო გვარეულად უნდილაძე, სახელით დაუთხან და ესე უფლებდა განჯას, თჳთ აღზრდილი ყიზილბაშსა შინა" (ქც, II, გვ. 416). ჟამთააღმწერელი წერდა: "ხოლო სარგის, დალათუ ყრმა იყო, არამედ მჴნედ იბრძოდა,

რამეთუ გუარისაგან მოაქუნდა სიმჴნე და მამაცობა მამურ-პაპეულად" (ქც, II, 314). 1335 წ. გიორგი V-ის მიერ შედგენილ „ძეგლის დადებაში" არაერთგზისაა ნახსენები ტერმინი „გვარი", როგორც მემკვიდრეობითი სახელი. აღნიშნული სამართლის ძეგლიდან მხოლოდ რამდენიმე ციტატას მოვიყვანთ: "და თუ ვის ღმერთი შერისხდეს და შეცოდება აზომ დიდი დაემართოს და მოკლას ერისთავი... გარდახუენა, მამულის ნაღება **და სისხლი მის გუარსა ზედა დაიურვოს** და გარდაიხუენოს"; "და თუ აზნაური იყოს განმგებლად და მოკლან, **მის გუარსა ზედა დაიურვონ** სისხლი"; "და თუ მის ჴევისბერის **გუარის კაცი იყოს...**" "და თუ ჴევისბერის განაყოფი და **მისი გუარის** კაცი მოკლას ვინმე..." "კაცმან თუ ცოლი დააგდოს უბრალოდ, და მის შეუცოდარი იყოს და გაეყაროს ესეთსა, **ნახევარი სისხლი დაუურვოს მის დიაცის გუარსა ზედა**"; "კაცმან თუ გკრგკნ ნაკურთხი ცოლი წაგუაროს, თუ არ შეყროდეს, ნახევრის სისხლით დაიურვოს მათსა გუარსა ზედა"; "და თუ მათის გვარისა აღარა დარჩეს რა კაცი..." (ქსძ, I, 1963, გვ. 403-421).

1621 წლის „აფხაზეთის საკათალიკოზო გამოსავალი მოსაკრებლობის დავთარში" ვკითხულობთ: "ქ. ნაჟანაურს ერთი ასისთავისეული გლეხი დოხვადი კონჯარიას უბოძეთ. ჩვენს დროში ვიცოდით ვერ გაისხიდოდა და იმ გლეხის კაცი თუ ამ **კონჯარიას გვარმან კაცმან** გაყიდოს და კზმან შეიტყოს და მოსახლეობით არ წაართვას, ჩვენიმც ცოდვა აქუს" (ქსძ, III, 423).

ახლა შედარებით გვიანდელ, მაგრამ მნიშვნელოვან ორ საბუთში ჩავიხედოთ. პირველი მათგანი არის 1765 წლის „განჩინება გიორგი ზარიძის ყმობის საქმეზე": "ამას წინათ ამილახორიშვილი იესე ქისიყის მოურავათ რომ ყოფილიყო, იქ ზარიძე გიორგი დაეჭირა, ჩემი ყმა ხარო..." "ეხლა ეს გიორგი სამართალში მოვიდა და ეს თავის საჩივარი შემოგვჩივლა". "ჩვენ მდივანბეგებმა ამის მოკითხული ვქენით, სარწმუნოს მოწმობით და ძველის წიგნებით ზედმიწევნით შევიტყევით, რომ ეს **გიორგი ზარიძე გვარათ ჩაჩუნაშვილი იყო მემკვიდრეთ თელათგორს ნასახლები** და ქვათახევის წმინდის ღმრთისმშობლის მკვიდრი ყმა არის, ამილახვრიანთ ამასთან ხელი არა აქვთ" (ქსძ, IV, 511). 1794 წლის „არზაში ნოზაძეებისა ყმობის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით" ვკითხულობთ: "ღმერთმან ბედნიერის ხელმწიფის ჭირი სურამიდამ ფონელებს ნოზაძეებს მოგვცეს. ამას მოვახსენებთ: ძველთაგან თქვენი სახასონი ყმანი გახლავართ, ჩვენი **გვარის კაცი სამოცდახუთი კომლი გახლავართ, ათი კომლი სურამში და ქართლში გახლავართ, სხვა იმერეთსა და ოსმალოში არიან დაფანტული. ჩვენი გვარის კაცი მეფე ვახტანგს ჩხეიძეებისათვის მიუბარებივართ**, რომ მიბარებული ვართ, ჩვენ ჩხეიძე-

ბის სამკვიდრო არა ვართ. დღეს ახლა ისე გაგვიჭირდა ჩხეიძეებისაგან, რომ დაკარგვის მეტი ღონე არა გვაქვს. მოგეხსენებათ, სურამი და ხეფინისხევი და ფონა ერთი ბატონის ყმა ყოფილა სახასოთ" (ქსძ, VIII, გვ. 264). დავუმატებთ, რომ საბუთის შედგენის დროისათვის ნოზაძეების გვარიდან რამდენიმე შტო-ნაყარი გვარი იყო წარმოქმნილი. მაგალითისათვის შეიძლება ცაცანაშვილების გვარი დავასახელოთ, რომელიც პირველად 1715 წლის რუისის სამწყსოს დავთარშია ფიქსირებული.

ქართული საბუთები, რომლებშიც მემკვიდრეობით სახელებზე — გვარებზეა საუბარი, ასეულობით შეიძლება დავიმოწმოთ. მხოლოდ ერთი მათგანიდანღა მოვიყვანთ ამონაწერს. ესაა 1799 წლის „განჩინება ზაალ ტერიშვილისა და გოძია ლომიტაშვილის მამულის საქმეზე" (ქსძ-VI-110): "გრემის ხევის მოურავმა ტერისშვილმა ზაალ უჩივლა თავის სახელოს ლომიტაშვილს გოძიას და იმის ძმას ქიტესას: ჩემის ყმის საურმაგის ერთი დღის მიწა უჭირავსო და ვენახად აშენებსო; მოიკითხეთ და სამართალი მიყავითო. ჩვენ ლომიტაშვილები სამართალში მოვაყვანინეთ და ვალაპარაკეთ. ლომიტაშვილებმა უპასუხეს: ნასყიდი გვაქვს და დიდი ხანია რომ გვიჭირავს და არავინ გუდავებიაო და ნასყიდობის წიგნიც მოიტანეს. ნასყიდობის წიგნი გავშინჯეთ და გვარი სულ არ ეწერა და სახელებიც წაშლილი იყო და სხვა სახელები იყო ჩაწერილი. ჩვენ ამისი სამართალი ასე განვსინჯეთ: თუ იმ წიგნში გამყიდავის გვარი ეწეროს და ის ნასყიდობის წიგნი ისე განრყუნილი არ იყოს, ზაალ ველარას შეუვიდოდა. მაგრამ რადგან არც გამსყიდავის გვარი სწერია და სახელებიც მოშლილია და ჩაწერილი".

დასაფუძვლების გარეშეც ცხადია, რომ მოყვანილ ციტატებში მხოლოდ და მხოლოდ მემკვიდრეობით სახელზეა ლაპარაკი და არა „მამიშვილობაზე" და „ჯიშჩამომავლობაზე", "კომლობის სახელზე", როგორც ქართული გვარების უარმყოფელი ავტორი გვმოძღვრავს.

ზემოთ მოყვანილი ერთი ციტატის თანახმად, გ.ხორნაულის მახვილი, გარდა მთური (ფშაური) გვარებისა, მიმართულია კახური გვარებისკენაც. მათი გვარებიც თურმე „ცომცხვარა" ყოფილა. დასაწყისში ნახსენები გვქონდა დონაურებისა (IX ს. დასაწყისი) და ტოხაისძეების (XI ს-ის დასაწყისი) გვარები, რომლებიც კახეთის რეგიონში მკვიდრობდნენ. კახეთში გვარსახელები დიდი ხანია გვაქვს, საბუთიანობისათვის 1579 წლის შეწირულობის წიგნში ჩავიხედოთ: "...რაც ბატონს ჩუენს ძმა გიორგის შემოეწირა, ისიც ჩუიდმეტი კუამლი კაცი იანბერისძენი, ჯანაანი, ყუერწითელაანი, ცუგაანი, ბაზიერნი, გენგასძენი, ჩხუპიანñ, მთავარაანი..." (დოკუმენტები, I, გვ. 10). აქ ხომ სწორედ მემკვიდრეობით სახელებზეა (გვარებზეა) საუბარი

და არა სხვა რამეზე. პირდაპირ დასახელებული არიან: იანბერიძეები და გენგაძეები, ჯანაანი (ჯანაშვილები), ყუერნითელაშვილები (ყუერნითელაანი), ცუგაშვილები (ცუგაანი), ბაზიერაშვილები (ბაზიერნი), ჩხუპიაშვილები (ჩხუპიანი) და მთავარაშვილები (მთავარაანი).

გაუგებრობის კლასიკურ ნიმუშად უნდა ჩაითვალოს გ.ხორნაულის კიდევ ერთი „ნააზრევი". თურმე ქართველი თავადების ნაწილი, შემდეგ დაბალი ფენები და მთიელები გვარებს არ ღებულობდნენ რუსული კანონებისადმი პროტესტის ნიშნად. უფრო ზუსტად: "ადრე თავადების გარკვეული ნაწილისაგან, შემდეგ დაბალი ფენებისაგან, ხოლო ბოლოს, მთიელებისაგან გვარების მიუღებლობა, ჩვენი აზრით, გამოწვეული იყო რუსის კანონებისადმი პროტესტის, ეროვნული დამოუკიდებლობის დაცვის სურვილით" (გვ. 88). გასაოცარია! დასაწყისში გ.ხორნაული გვმოძღვრავდა, რომ ქართველებმა რუსეთთან შეერთების შემდეგ მივიღეთ გვარებიო. ბოლოს ამბობს, რომ მთლად ასე არ იყო, ქართველები რუსებს წინააღმდეგობას ვუწევდით რუსული კანონებისადმი პროტესტის, ეროვნული დამოუკიდებლობის დაცვის სურვილითო. ამის გამო, ქართველებს გვარსახელების მიღება საბჭოთა ხელისუფლების დროს, XX ს-ის 30-იან წლებში დაგვიმთავრებია. ამ ლოგიკით, რუსთა დროს ქართველთა მიერ გვარების მიუღებლობა შეიძლება ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის რანგშიც იქნეს აყვანილი. საერთოდ, ზემოთ მოყვანილ ციტატას მეცნიერებასთან საერთო არაფერი აქვს.

ქართული გვარების უარმყოფელს რომ დავუგდოთ ყური, ქართველი ხალხის ეროვნული გრძნობა შეურაცხყოფილი იყო, როდესაც რუსები მათ გვარებს უკანონებდნენ და, პროტესტის ნიშნად, "თავისი თავის შეურაცხმყოფელი ზედმეტი სახელების მიხედვით შედგენილ გვარებს ანერინებდნენ. ასეთი კი უამრავია: ნაბიჭვრიშვილი, ღორიგლეჯაშვილი, ქვახარშიაშვილი, კვერცხიწონაშვილი, ბატიაშვილი, თითილოკაშვილი, აწკარუნაშვილი, ბოჩოლაშვილი, ძროხელაშვილი, გველუკაშვილი, გიჟიმყრელი, გოგრისყელაშვილი, ექვსშაურაშვილი, კვერცხიშვილი, კოპტონაშვილი, კოჭიბროლაშვილი, ლოქაფიშვილი, პოლორჭიკაშვილი, ქვასროლიაშვილი, ღორაშვილი, ყელბერაშვილი, ყელიგრეხაშვილი, ჩინჩალაკაშვილი, ჩიტირეკიაშვილი, ცხრაკბილაშვილი, წინწალაშვილი, წანაწყენაშვილი, წარეტაშვილი, ჭიანაშვილი, ჭუჭულაშვილი, ხეკაკუნაშვილი, ხურდაყულიშვილი და სხვა მრავალი" (გვ. 88-89).

მეცნიერს, რომელსაც ამ „ნააზრევით" დოქტორის ხარისხის მიღება სურს, არ ეპატიება ის, რაც ახლა წავიკითხეთ. ცუდი გვარი არ არსებობს. ყველა გვარს თავისი ისტორია აქვს და თითოეული მათ-

განი ჩვენი ენისა და ერის ისტორიის პატარა აგურია და არც ერთის გამოკლება არ შეიძლება. შეურაცხმყოფელი გვარი არ არსებობს. ერთგვარი უხერხულობა მხოლოდ ნაბიჭვრისშვილის გვარმა შეიძლება შექმნას. ქართული გვარების უმეტეს ნაწილს, ცნობილია, რომ მამაკაცის სახელი უდევს საფუძვლად, მცირე ნაწილს — ზედმეტი სახელი. ასეთი ზედმეტი სახელებისგანაა წარმოქმნილი ზემოთ ჩამოთვლილი ზოგიერთი გვარიც (ღორიგლეჯაშვილი — "ღორიგლეჯა"-დან, ქვახარშიაშვილი — "ქვახარშია"-დან, კვერცხიწონაშვილი — "კვერცხიწონა"-დან, ქვასროლიაშვილი — "ქვასროლია"-დან და ა.შ.). ამ გვარების მატარებელნი შეურაცხყოფილად არ გრძნობენ თავს. ასეა ეს ყველა ცივილიზებულ ქვეყანაში. ონომასტიკის მკვლევარმა არ შეიძლება არ იცოდეს ევროპაში გავრცელებული გვარები. მათ თუ გვარების დაწუნება დაიწყეს, ალბათ ბევრი აღარ შერჩებათ ხელში (მაგალითად, უკრაინული გვარი კუჩმა გაჩეჩილს, აბურძგნილს, აჩაჩულ-დაჩაჩულს, ფეთხუმს ნიშნავს). ნაბიჭვრიშვილის გვარს რაც შეეხება, ისინი აზნაურები იყვნენ და ეს გვარი რუსეთთან შეერთების შემდეგ კი არა, რუსეთთან შეერთებამდე კარგა ხნით ადრე იყო წარმოქმნილი. შეიძლება ჩავიხედოთ გეორგიევსკის ტრაქტატის დანართში, რომელშიც ჩამოთვლილია აღმოსავლეთ საქართველოს თავადაზნაურული გვარები, და ვნახავთ, რომ პრივილეგირებულ გვარებს შორის ნაბიჭვრიშვილის გვარიცაა მოხსენიებული (ქსძ. II, 487). იქვე ვიპოვით კოჭიბროლაშვილებისა და გიჟიმყრელების (გიჟიყრელების) გვარებსაც. საინტერესოა, რა აქვს დასაწუნი კოჭიბროლაშვილის გვარს. მართალია, ეს გვარი ზედმეტი სახელიდან მომდინარეობს, მაგრამ არა ისეთი ზედმეტი სახელიდან, რომელიც ადამიანის ფიზიკურ ნაკლს გამოხატავს. პირიქით! რაც შეეხება გიჟიმყრელის გვარს, ის სულაც არაა დაკავშირებული სულით ავადმყოფ წინაპართან. ტოპონიმისმიერმა ამ გვარმა დროთა განმავლობაში ფონეტიკურად სახე იცვალა. ასეთ ნიუანსებში ენათმეცნიერი უნდა ერკვეოდეს. გიჟიმყრელის თავდაპირველი ფორმა იყო გიჯიყრელი და უკავშირდება ოიკონიმ „გიჯიყარს", საიდანაც მივიღეთ ეს გვარი (ქართველ ენათმეცნიერთა მიერ შენიშნულია, რომ ქართულ და ქართველურ ენებში „ჟ" და „ჯ" თანხმოვნები ხშირად ერთმანეთს ენაცვლება — იხ. შ.აფრიდონიძე,. "ზანური ანთროპონიმიის ზოგიერთი საკითხისათვის (კვლავ ჯაკობია, ჟორდანიას ტიპის გვარების შესახებ)" — "ონომასტიკა I", თბ., 1987). გიჯიყრელთა (გიჟიმყრელთა) გვარიც რუსების საქართველოში შემოსვლის შემდეგ არ წარმოქმნილა. პირველად გიჯიყრელნი საისტორიო საბუთებში ნახსენები არიან XVI ს-ის მეორე ნახევრის საბუთში (პალ, I, 668, 669). ასეთი პრინციპით თუ მივუდექით ქართული გვარსახელე-

ბის შესწავლას, შეიძლება გვითხრან, რომ კარგარეთელის გვარი სიტყვა „კარგს" უკავშირდებაო. ამ გვარსაც ფონეტიკური სახეცვლილება განუცდია. ისინი თავდაპირველად გარგარეთელები იყვნენ. ნაწარმოებია სოფლის სახელზე (გარგარეთი) სადაურობის მაწარმოებელი -ელ სუფიქსის დართვით. ძროხელაშვილის, ბოჩოლაშვილის, ბატიაშვილის, ღორაშვილის, ჭუჭულაშვილის გვარებს მამაკაცის სახელები (ძროხელა, ბოჩოლა, ბატია, ღორა, ჭუჭულა) უდევთ საფუძვლად. ქრისტიანობამდე ასეთი სახელები იყო ქართველ ხალხში გავრცელებული. შემდეგ კი ისინი კანონიზებული ქრისტიანული სახელების გვერდით, როგორც ზედმეტი სახელები კვლავ განაგრძობდნენ არსებობას. ასეთი სახელები არაერთი გვაქვს ამოწერილი XIX ს-ის მოსახლეობის აღწერის დავთრებიდან და განსაკუთრებით რქმევის სახელად ითვლებოდა გვიანი პერიოდის საქართველოს მთიანეთში. 1774 წლის ხევის, მთიულეთის, გუდამაყრის აღწერის დავთრიდან, XIX ს-ის ფშავის, ხევსურეთის, თუშეთის აღწერებიდან მრავალგზისა გვაქვს ამოწერილი შემდეგი სახელები: ბოჩოლა, ჯიხო (ჯიხვი), ჩიტა, გოჭი (გოჭა), მგელა (მგელია, მგელი, გელა), ძაღლია (ძაღლუა იმერეთში, ძაღლიკა — ხევსურეთში), თაგო (თაგვიდან, წოდებითში), ლომი, კურდღელა, ზაქი, ბატა, დათვა, ფოცხვერი (ფოცხვერა), ვეფხო, გუგულა, ირემა, ქურციკი, ლაგაზი (ნაგაზი), აფთარი, ტურა (ტურია), შაშვა, ბუაი, ჭიალა, გვრიტი, ლეკვია, ჭოტა, ყოჩო, ნარჩიტა, ფუტკარა, ჩხიკვი, ნუკრია, კვერნა, მერცხალი (მერცხალა), შოშია, ჭია, ხარა (ქალისა), ხარია (კაცისა), ტრედა, ბახალა, ქორია, წიწილა, ჭუკია, ნიბლო, ნებიერი, ხოხობა, ვერძა.

რადგან ქართული გვარების შესახებ საუბარი ასე გაგვიგრძელდა, დასკვნამდე ბარემ იმასაც ვიტყვით, რომ სინამდვილეში მემკვიდრეობითი სახელი მხოლოდ გვარი (გვარსახელი) არ იყო. მემკვიდრეობითი სახელი იყო აგრეთვე გვარის დანაყოფის სახელიც, რომელიც საქართველოში დიდი მდგრადობით გამოირჩეოდა. მეორე მემკვიდრეობითი სახელის (გვარის დანაყოფის სახელწოდების) აღსანიშნავად საქართველოს სხვადასხვა ისტორიულ-ეთნოგრაფიულ (ისტორიულ-გეოგრაფიულ) კუთხეში სხვადასხვა სიტყვა (ტერმინი) გამოიყენება: "მამანი", "მამიშვილობა", "ბუდობა", "კომობა", "ბაბუიშვილობა", "ბუნე", "სახიჯარი", "თოხუმი", "ქექილი", "ნარყი", "მეტსახელი", "გვარზე+მეტი", "განაყრობა", "სამხუბი", "ლამხუბი", "თური", "დინო", "გამნარყი"... სამეცნიერო ლიტერატურაში გვარის დანაყოფის სახელადაა მიჩნეული „კილიც", მაგრამ როგორც ინეზა გაბელაიას მიერ აბაშის ხეობაში შეკრებილი ეთნოგრაფიული მასალებით ირკვევა, აქ „კილი" მხოლოდ გვარის მეტსახელია და არა გვარის დანაყოფის სახელი.

გვარის დანაყოფის, განაყრობის სოციალური ერთეული საქართველოს სხვადასხვა კუთხეში სხვადასხვა მდგრადობა-სიმტკიცით ხასიათდებოდა. ერთი რამ ცხადია, რომ ის ცვალებადობას, ახლის წარმოქმნას უფრო ექვემდებარებოდა, ვიდრე გვარსახელი. თუმცა საქართველოს ზოგიერთ რეგიონში, როგორც საისტორიო, ისე ეთნოგრაფიული და ლინგვისტური მონაცემებით ჩანს, მეორე მემკვიდრეობითი სახელიც თავისი წარმოშობით უალრესად ძველია და თითქმის იმავე ხნოვანებისაა, რა ხნოვანებისაც არიან გვარსახელები, რომელშიც ისინი შედიან. აქ შეიძლება გავიხსენოთ რ.ხარაძისა ("ხევსურული „ძირი" და „გვარი" — მიმომხილველი, I, თბ., 1949) და იზ. ჩანტლაძის ("შტო-გვარის აღმნიშვნელ სახელთა წარმოება და ბრუნება სვანურში", "მაცნე", N6, 1967) ნაშრომები ხევსურული და სვანური გვარებისა და გვარის დანაყოფთა შესახებ. უფრო დიდ სოციალურ ერთეულსა (გვარსახელი) და მცირე სოციალურ ერთეულს (გვარის დანაყოფის სახელწოდება) შორის განსხვავება ისიცაა, რომ პირველი ძირითადად ფიქსირებული იყო და ფიქსირდება ოფიციალურ იურიდიულ და სხვა სახის დოკუმენტებში. მეორე სახელი კი არსად არ ფიქსირდება, მას იურიდიული ძალა არა აქვს და ის მხოლოდ ხალხის მეხსიერებაში არსებობს. ამასთანავე, მას ყოველთვის გარკვეული სოციალური შინაარსი ჰქონდა და აქვს. მეორე მემკვიდრეობითი სახელის მატარებელნი უფრო მრავალი სოციალური ვალდებულებებით იყვნენ ერთმანეთთან დაკავშირებულნი, ვიდრე გვარსახელის მატარებელნი. სოფელში სახელდებისას ძირითადად მეორე მემკვიდრეობითი სახელი გამოიყენებოდა. გვარისა და გვარის დანაყოფის მემკვიდრეობითი სახელები მხოლოდ ქართული მოვლენა არ იყო (ძველი ჩინეთი, ძველი რომი). რაც შეეხება ტერმინ „გვარს", ნ.ბერძენიშვილი მას „გორს" (შემაღლებულ ადგილს) უკავშირებდა. თუმცა არის მოსაზრება ტერმინ „გვარის" ირანული ენიდან სესხების შესახებ (ილ.აბულაძე, მ. ანდრონიკაშვილი). ერთი რამ აშკარაა, რომ ძველ ქართულში გვარის (გვარსახელის) პარალელური ტერმინი „სახლი" იყო. დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი წერდა: "დასრულდა სახლი ბაღვივაშთა, სახლი განმამწარებელთა..." (ქც, I, გვ. 326). რა თქმა უნდა, "სახლი ბაღვივაშთა"-ში ბაღვაშთა გვარი იგულისხმება. ბაღვაშთა — ამ მსხვილ ფეოდალთა საგვარეულო — საქართველოს ისტორიაში IX საუკუნიდანაა ცნობილი.

ამრიგად, გ.ხორნაულს სურდა ქართულ მეცნიერებაში ახალი სიტყვა ეთქვა და „გაეხარებინა" ქართველი მეცნიერი კოლეგები და ქართველი მკითხველი, მაგრამ ამაოდ დაშვრა. მისი ხუთ-ექვს გვერდიანი „ნაშრომი" მთლად გაუგებრობაზეა აგებული. საერთოდ მის წერილს მეცნიერებასთან საერთო არაფერი აქვს. დარწმუნებული

ვარ, ოთხი-ხუთი წლის წინათ ასეთი წერილი დღის სინათლეს ვერ იხილავდა, მაგრამ, როგორც ჩანს, ყველაფერი საერთო ქაოსისა და არეულობის ბრალია. კიდევ კარგი, რომ ასეთ ნაცოდვილარს ვერ მოესწრნენ მარი ბროსე, ნიკო მარი, ექვთიმე თაყაიშვილი, ივანე ჯავახიშვილი, ნიკო ბერძენიშვილი, სიმონ ჯანაშია, ვარლამ დონდუა, აკაკი შანიძე, არნოლდ ჩიქობავა, ვარლამ თოფურია, გიორგი ჩიტაია, ვერა ბარდაველიძე, რ.ხარაძე...

საბოლოოდ ვიტყვით, რომ **საქართველოში გვარსახელს დიდი ხნის, საუკუნეების ისტორია აქვს. ქართული გვარსახელების არსებობა დოკუმენტურად დასტურდება VIII-IX სს-დან, თუმცა, რა თქმა უნდა, ის ამ დროს არ წარმოქმნილა. გვარსახელი ჩვენში უფრო ადრეა წარმოშობილი. საერთოდ კი, ქართული ეთნოგრაფიული მასალების გააზრებას იმ დასკვნამდე მივყავართ, რომ საქართველოში მოხდა უწყვეტი გადასვლა პირველყოფილი გვარისა გვიანდელ გვარში და გვიანდელი გვარისა — გვარსახელში.** ამ უწყვეტი სოციალური პროცესის შესახებ ნ.ბერძენიშვილს ადრეფეოდალური საქართველოს ბარის შესახებ შემდეგი დებულება აქვს ჩამოყალიბებული, რასაც ძნელია ვინმემ რაიმე დაუპირისპიროს: "რაც დრო გადის, ნათლად შესამჩნევი ხდება ტენდენცია: ერთის მხრივ ჩნდება შესანიშნავი ხუროთმოძღვრული ძეგლები მეფე-ფეოდალების მიერ ნაგები (მეფენი, დიდაზნაურნი, მონასტერ-ეპისკოპოსნი), მეორე მხრით კი მრავლდება ყოვლად მარტივი სამლოცველოები... ასეთი სამლოცველო ზოგიერთ სოფელში „ათეულობით" შეიძლება აღირიცხოს (მაინცდამაინც მათი სიმრავლე ცნობილია). და ეს გარემოება უმთავრესად ორი რამით შეიძლება აიხსნას: **სოფელი როგორც ერთიანი ნათესაური გაერთიანება დაიშალა, მცირე გვარებად იქცა. თითოეული ასეთი გვარი თავის სალოცავს იშენებს... სოფლის ძლიერი ტერიტორიული თემი არ ჩამოყალიბდა, ან უკეთ თემს გამაერთიანებელი კულტი არ გაუჩნდა, მაგრამ მან ნათესაობით გაერთიანება გვარი ვერ მოსპო"** (ნ.ბერძენიშვილი, სის, ნ. VIII, თბ., 1975, გვ. 421-422).

ესაა ჭეშმარიტება!

ზემოთაც აღვნიშნეთ და დასასრულსაც უნდა გავიმეოროთ, რომ ქართული გვარების სუფიქსები თავდაპირველად იყო -იან(-ან), -ურ(-ულ) და -ეთ(-თ). საქართველოს ფეოდალური ურთიერთობების ტეხილის პერიოდში, კერძოდ VIII ს-დან ჩნდება -ელ სუფიქსიანი გვარსახელები, ცოტა მოგვიანებით კი -ძე და -შვილი სუფიქსიანები. ასე რომ, ფორმანტების მიხედვით ჩვენ ქართული გვარსახელების მხოლოდ ორ ეტაპზე შეიძლება ვილაპარაკოთ და არა ოთხ ეტაპზე, როგორც ნ.ბერძენიშვილი წარმოიდგენდა. ამასთანავე, ხაზგასმით

უნდა ითქვას, რომ ქართული გვარების ზემოთ ჩამოთვლილი სუფიქსები, განსაკუთრებით მის პირველ ეტაპზე წარმოქმნილნი (-იან(-ან), -ურ(-ულ),-თ) მთელი საქართველოსთვის იყო დამახასიათებელი და აწარმოებდნენ ისინი ქართულ გვარსახელებს VIII ს-მდე. -ურ(-ულ) სუფიქსი დღეს რომ ძირითადად აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთისათვისაა დამახასიათებელი, ადრე საქართველოს ყველა მხარეში აწარმოებდა ქართულ გვარებს, რის დამადასტურებელ მონაცემებს ვხვდებით „ტბეთის სულთა მატიანესა" და სხვა ქართულ წერილობით ძეგლებში. იგივე შეიძლება ითქვას -იან(-ან) ფინალის შესახებაც. დღეს ეს სუფიქსი ქართულ გვარებს ხომ სვანეთსა და ლეჩხუმში, ნაწილობრივ რაჭასა და სამეგრელოში აწარმოებს. VIII ს-მდე ის მთელ საქართველოს მოიცავდა. ს.ჯანაშია შენიშნავდა, რომ გვარსახელის -იან(-ან, -უან) სუფიქსიანი ფორმა ფართოდ იყო გავრცელებული ძველად საქართველოს ყველა კუთხეში „და იგი აქ ფეოდალიზმმა (ფეოდალურმა ინდივიდუალიზმმა) ამოაგდო, როდესაც, კერძოდ, ფეოდალური საკუთრება საბოლოოდ დამკვიდრდა" (ს.ჯანაშია, შრომები, ტ. III, გვ. 37). განვითარებულ და გვიანფეოდალურ პერიოდში -იან(-ან) ფორმანტს ისეთივე დატვირთვა და შინაარსი ჰქონდა, როგორც -ძე და -შვილი სუფიქსებს. ზემოთაც აღვნიშნეთ და აქაც გვინდა გავიმეოროთ, რომ ერთსა და იმავე ქართულ საისტორიო საბუთებში გვაქვს არაერთი შემთხვევა, როდესაც ერთი და იმავე პიროვნების გვარსახელი იწარმოება ხან -ძე(-შვილი) და ხან -იან(-ან) ფინალებით. აღმოსავლეთ საქართველოს ხალხურმა სამეტყველო ენამაც დღემდე გვარსახელებში -იან(-ან) ფორმანტი შემოინახა. ამ ფაქტის შესახებ ჯერ კიდევ ადრე მიუთითა გ.ჩიტაიამ, რომელიც წერდა, რომ ქართლში „იშვიათად, მაგრამ მაინც გვხვდება ერთი გვარით გაშენებული სოფელი, რომლის სახელი მასში მოსახლე გვარის სახელიდანაა შექმნილი და როგორც თვით გვარის, ისე სოფლის სახელიც -იან სუფიქსითაა გაფორმებული" (გ.ჩიტაია, ქართლის ეთნოგრაფიული ექსპედიცია 1948 წლისა, "მიმომხილველი", I, თბ., 1949, გვ. 383). იგივე მოვლენა ასახულია XVIII ს-ის ხალხის აღწერის დავთრებში (აგრეთვე სხვა საბუთებში), როდესაც პიროვნებანი ნაცვლად უთნელიშვილისა, ძელყორაშვილისა, ბასიკაშვილისა, მახარაშვილისა, დვალიშვილისა, ყველაშვილისა, ოდიშვილისა, ჩაწერილი არიან -იან(-ან) სუფიქსიანი გვარებით: უთნელიანი, ძელყორიანი, ბასიკანი, მახარანი, დვალიანი, ყველიანი, ოდიანი (რ.თოფჩიშვილი, ქსნის ხეობის მოსახლეობის ზოგიერთი ეთნოისტორიული საკითხი, "მაცნე", ისტორიის... სერია, N4, 1987, გვ. 40-41). 1818 აღწერის დავთარში ერწოს სოფელ საყდრიონში ოჯახის უფროსები ასე არიან ჩაწერილი: "დავითო თოფჩიანთი", "ბერიკო

თოფჩიანთი" (ე.ი. თოფჩიშვილი), "გიორგი სიმონაანთი" (სიმონიშვილი), "ხახა მარაანთი" (მარაული), "ქიტია ნაცვლიანთი" (ნაცვლიშვილი), "მოსე გონჯილაანთი" (გონჯილაშვილი), "დავითო პატურაანთი" (პატურაშვილი), ვაგრანეთსა და ვეძათხევში: "ლეგა მამალაანთი", "ბაბხო ფეტვიანთი", "ნადირა ფეტვიანთი", "როსტომ და გუთია ორტოლანთი", "თევდორე პაპიანთი" (სცსსა, ფ. 254, ან. 1, საქ. N804). რაც შეეხება სამხრეთ საქართველოს (სამცხე), აქ ხალხურ სამეტყველო ენაში ოფიციალურად -შვილით ნაწარმოებ გვარებს ერთ-ერთი უძველესი ქართული ფინალი (-ათ, -ეთ) ცვლიდა. თამარაშვილის, პეტაშვილის, იველაშვილის ნაცვლად იტყოდნენ: თამარათი, პეტათი, იველათი. ასევე იყო ხევში: ბულაშვილი||ბულეთი, ქუშაშვილი||ქუშეთი, სუჯაშვილი||სუჯეთი...

